## პრეზიდენტი

### საქართველო კვლავაც შეინარჩუნებს განსაკუთრებული მნიშვნელობის სტატუსს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში



16 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანაშემწე რუსეთის, უკრაინისა და ევრაზიის საკითხებში ჯეფრი სტარი და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის უფროსი სამხედრო კონსულტანტი საქართველოს თავდაცვის სფეროში ოთარ შალიკაშვილი თანმხლებ პირებთან ერთად.

„ჩვენი ვიზიტის მიზანია გამოკვეთილად გამოვხატოთ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოსადმი და დავეხმაროთ მას უფრო ეფექტიანად წარმართოს სამხედრო რეფორმა", – განაცხადა შეხვედრაზე ჯეფრი სტარმა.

იხ. მე-2 გვ.

## სახელმწიფო მინისტრი

### იტალია საქართველოსთან თანამშრომლობით დაინტერესდა

ეკონომიკა, ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაციები, ენერგეტიკა, ტურიზმი, საბანკო სისტემა, მცირე და საშუალო ბიზნესი, საქმიანი წრეების მჭიდრო კონტაქტები, ერთობლივი საწარმოები, – ამ სფეროებში თანამშრომლობა გახდება საქართველო-იტალიის თვისებრივად ახალი ურთიერთობის პრიორიტეტები. 16 თებერვალს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა მიიღო იტალიის მრეწველობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის მინისტრი – სახელმწიფო მდივანი მაურო ფაბრისი.

– საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, პოტენციალმა და რესურსებმა, გლობალიზაციის პროცესში და საუკუნის ენერგეტიკულ პროექტებში მისმა მონაწილეობამ განაპირობა იტალიის დიდი ინტერესი თქვენი ქვეყნისადმი. იტალიის მთავრობა მხარს უჭერს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებას, – განაცხადა შეხვედრაზე მაურო ფაბრისიმ.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქმიანი წრეების წარმომადგენელთა თანამშრომლობას. როგორც მან თქვა, იტალიის ეკონომიკური წარმატება სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესთანაა დაკავშირებული.

იხ. მე-3 გვ.

**ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:**
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

**ხუთ დღეში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 8104 მკითხველი. მათ შორის, 60% აშშ-დან, 26% – საქართველოდან.**

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №39 (3780) შაბათი, 17 თებერვალი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.

## კანონმდებლები

### „ნულოვანი ვარიანტი" რატიფიცირებულია

16 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე განიხილა „რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ყოფილი სსრ კავშირის საგარეო სახელმწიფო ვალის და აქტივების მიმართ სამართალმემკვიდრეობის საკითხების მოწესრიგების შესახებ" 1993 წლის 14 სექტემბერს ხელმოწერილი შეთანხმების რატიფიკაციის საკითხი. განსაკუთრებით მწვავე დებატების შემდეგ, გვიან ღამით, პარლამენტმა 127 ხმით ერთის წინააღმდეგ ე.წ. „ნულოვანი ვარიანტის" შეთანხმებას რატიფიკაცია გაუკეთა. კენჭისყრამდე დარბაზი დატოვა საპარლამენტო უმცირესობამ.

დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა „ნულოვანი ვარიანტის" შეთანხმების კონსტიტუციასთან შეუსაბამობის თაობაზე სარჩელი შეადგინა საკონსტიტუციო სასამართლოში წარსადგენად. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ინფორმაციით, სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი არ არის.

პარლამენტმა კენჭისყრით მიიღო კვირის მანძილზე განხილული სხვა საკითხები.

საქინფორმი.

## ხმა ერის გასაგონად

### ჭაბუა ამირეჯიბი: „ედუარდ შევარდნაძე უნივერსალურად ნიჭიერი კაცია"

გაზეთ „განახლებული ივერიის" რედაქტორ-გამომცემელს, მწერალ **ჭაბუა ამირეჯიბს** ესაუბრება ამავე გაზეთის კორესპონდენტი **რამაზ ზარნაძე.**



– ბატონო ჭაბუა, გასული წლის ოქტომბერში ფინანსური წყაროების სრული ამოწურვის გამო „განახლებული ივერია" თავის მკითხველს გამოემშვიდობა. ორი-სამი თვის შემდეგ კი გამოცემის განახლებას აპირებთ. რისი ან ვისი იმედით შეიძლება იარსებოს ქართველი ერისთვის მეტად საჭირო ამ გაზეთმა? მოვიყვან ბატონი პრეზიდენტის შეფასებას: „ეს არის უმაღლესი დონის, უმაღლესი რანგის გაზეთი და ძალიან ვდარდობ, რომ მე პირადად არ მაქვს საშუალება დავეხმარო ისე, როგორც საჭიროა... მიმაჩნია, რომ აზრების სიღრმით, ანალიტიკური აზროვნების მრავალფეროვნებით ეს ერთ-ერთი ეტალონია ჩვენი პრესისა".

ჩნდება ასეთი კითხვა: რად ან ვერ ხედავენ ამ გაზეთს? ქართველი ბიზნესმენები – ფული შემოაკლდათ თუ გული?

– აქ არსებითად ორ შეკითხვაზე მომიწევს პასუხის გაცემა. პირველი ის, რომ კაცმა გასაჭირს ყოველგვარ ვითარებაში უნდა სძლიოს და არა გასაჭირმა კაცს. ეს მოსაზრება მთელი სიცოცხლის დევიზად რომ არ მქონოდა, აქამდე ჩემი „ბუნდღა" არ იქნებოდა. მოგახსენებთ, ცხოვრება ბრძოლაა და კაცის მოვალეობაა – გაიმარჯვოს, სძლიოს ყოველივეს, რაც მის გზაზე დაბრკოლებად აღიმართება. „განახლებული ივერიის" აღდგენა და ახალი რომანის – „გიორგი ბრწყინვალეს" დამთავრება, ალბათ, ჩემი უკანასკნელი გაბრძოლებაა. რამდენიმე თვეში ოთხმოცს „გადავალაჯებ". უნდა ვძლიო, დამარცხებული წავიდე „უმჯობეს სამყაროში"?! ჩემს მოდგმასა და ბედისწერაში ასე „არ მოდის".

მეორე შეკითხვაზე პასუხი ასეთია: თოთხმეტი ნომერი გამოვეცით, ვის ხარჯზე იყო? სპონსორების დახმარებით! თავის დროზე „განახლებული ივერიის" ერთ-ერთ პირველსავე ნომერში გამოვაქვეყნეთ სრული სია მათი, ვინც დაგვეხმარა და, მათიც, ვინც უარი გვითხრა, ან საერთოდ არ ჩათვალა საჭიროდ ჩვენთან ლაპარაკი. ბატონი ედუარდის თქვენს მიერ მოყვანილი ციტატა შეკვეცილია. კერძოდ, არ არის ხსენებული ასეთი ფრაზა – „...თუმცა, ახალი ბიუჯეტი რომ დამტკიცდება, პრეზიდენტის ფონდი იქნება და შევეცდები, აუცილებლად დავეხმარო"! მგონია, მაქვს უფლება ამის იმედიც ვიქონიო. დახმარებას გვპირდებიან სხვებიც – საავიაციო ქარხნის გენერალური დირექტორი ბატონი ვაჟა თორდია და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი ბატონი გიორგი ჭანტურიაც.

იხ. მე-3 გვ.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 14 თებერვალი ქ. თბილისი

**ნ. ზუბიაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პროცესში მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეთა შემუშავებასა და დანერგვაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ნათელა ზუბიაშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 14 თებერვალი ქ. თბილისი

**გ. სახტარიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქ. რუსთავის სამრეწველო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ღვაწლმოსილი ინჟინერ-მშენებელი **გიორგი სახტარიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

## პროკურატურა

### „ახალი გენერალური პროკურორისადმი ჩვენი საერთო მხარდაჭერა და თანადგომა წარმატების მნიშვნელოვანი პირობა იქნება"



16 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლექტივს ახლად არჩეული გენერალური პროკურორი გია მეფარიშვილი წარუდგინა.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ:

– თავიდანვე ვიტყვი, რომ ამგვარი შეხვედრების დანიშნულება ფორმალური მოვალეობით არ ამოიწურება. ნათქვამის ლასტურია ამ ბოლო დროს თითოეული თქვენგანის მრავალფეროვანი ემოციები და განცდები. მაგრამ, უმთავრესი და გამაერთიანებელია პასუხისმგებლობის გრძნობა. იგივე გრძნობა განსაზღვრავს ჩემს დღევანდელ შეხვედრას თქვენს დიდ კოლექტივთან.

იხ. მე-2 გვ.

## ინფორმაცია

### საუკუნის ლიდერები

პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ერთ-ერთი გმირი იქნება მეოცე საუკუნის დიდ პოლიტიკოსებზე გადაღებულ ფილმების ციკლში, სადაც ინტერვიუერად მოგვევლინება სსრკ პირველი და ბოლო პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი.

როგორც პრაიმ-ნიუსის მოსკოველი კორესპონდენტი „გორბაჩოვ-ფონდზე" დაყრდნობით იტყობინება, პროექტზე მუშაობა წლის ბოლომდე დასრულდება. 12-14 სერიანი ციკლის გადაღებებს უნგრულ-გერმანული კომპანია „ზოლცერი" ახორციელებს.

ედუარდ შევარდნაძის გარდა, სერიალის გმირები იქნებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი, აშშ ექსპრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უფროსი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნელსონ მანდელა, რომის პაპი იოანე პავლე მეორე, პალესტინის ლიდერი იასირ არაფატი, პოლონეთის ექსპრეზიდენტი ლეხ ვალენსა, გერმანიის ექსკანცლერი ჰელმუტ კოლი, განვლილი საუკუნის სხვა გამოჩენილი პოლიტიკოსები.

### ერთდღიანი ვიზიტი

საქართველოს სამთავრობო დელეგაცია სახელმწიფო მინისტრის გიორგი არსენიშვილის მეთაურობით სომხეთს დღეს ეწვევა ერთდღიანი ვიზიტით.

შეხვედრებზე განიხილება ტრანსპორტის, ვაჭრობის, საფინანსო, გაზმომარაგების, ელექტრომომარაგების სფეროებიდან ორმხრივ ინტერესებში შემავალი საკითხები.

### პოლიტიკური დიალოგისათვის

ევროკავშირის მაღალი დონის დელეგაცია, მისი თავმჯდომარე ქვეყნის – შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ანა ლინდის ხელმძღვანელობით, 20 თებერვალს ეწვევა თბილისს.

იგეგმება პოლიტიკური დიალოგი, რომელზეც ორმხრივი ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს საკითხებს განიხილავენ.

### გუშინ ბათუმში

დაიწყო ჩრდილოეთის საკალათბურთო ლიგის (NEBL) II დივიზიონის „ა" ჯგუფის სამდღიანი ასპარეზობა, რომელსაც „ჩელენჯ კაპის" ტურნირსაც უწოდებენ.

წარმატებით აიღო სტარტი საქართველოს ჩემპიონმა – ადგილობრივმა „ბასკომ", რომელმაც ბელორუსიის „გროდნო-93"-ს სძლია – 77:63. ესტონური კლუბების შეხვედრაში ტალინის „დელტამ" 18 ქულით მოუგო ტარტუს „ნიბიტს".

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

## გიხაროდენ!

### ოჯახში პატარა არ უნდა გამოილიოს



– ბავშვი ოჯახის სიხარულია, არ უნდა გამოილიოს, – იტყოდნენ ხოლმე მამა-პაპანი და ეს სიტყვები ერის გამრავლებაზე, მათ ზრუნვაზეც მიგვანიშნებდა.

– იმ ოჯახში, სადაც ბავშვების ჟრიამული არ ისმის, მოწყენილობაა! – ასეც დაიწყო თავისი შეტყობინება დედაქალაქის № 4 სამშობიარო სახლის პრესცენტრიდან ექთანმა ტატა ხუჭუამ – ჩვენთან 7 თებერვლიდან დღემდე 64 ბავშვი დაიბადა – 39 გოგო და 25 ბიჭი.

თბილისის № 2 სამშობიარო სახლის ბებიაქალმა მარინა გოგავამ კი გვაცნობა:

– 5 თებერვლიდან დღემდე ჩვენთან 26 ბავშვი დაიბადა, აქედან 10 გოგონაა და 16 ბიჭი, მოსალოდნელად კიდევ ორი მანდილოსანი გვიწევს, წუთი-წუთზე ველოდებით ახალი სიცოცხლის გაჩენას...

გაიზარდონ!

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## სამძიმარი

### ბატონ ირაკლი გოცირიძეს

ბატონო ირაკლი,

უდიდესი გულისტკივილით შევიტყვე თამაზის ტრაგიკული დაღუპვის მეტად სამწუხარო ამბავი.

თამაზ გოცირიძის სახით საქართველომ დაკარგა ნიჭიერი ხელოვანი, რომელსაც კიდევ ძალზე ბევრის გაკეთება შეეძლო ჩვენი ქვეყნის სასახელოდ.

თამაზ გოცირიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ახლობლებისა და მეგობრების გულში.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი.

ედუარდ შევარდნაძე.

## პარლამენტის თავმჯდომარე

### ამერიკელები ზურაბ ჟვანიასთან

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია შეხვდა აშშ თავდაცვის მინისტრის უფროს სამხედრო კონსულტანტს საქართველოს სამხედრო საკითხებში ოთარ შალიკაშვილს და აშშ თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის წევრებს. როგორც სტუმრებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, თავდაცვის საკითხებსა და საქართველოს სამხედრო ძალების რეფორმებზე ორი ქვეყნის თანამშრომლობა წარმატებით გრძელდება. ამერიკელ სამხედრო პირთა ვიზიტის მიზანია ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სფეროში არსებულ პრობლემებში გარკვევა, მონაწილეობა უსაფრთხოებისა და თავდაცვითი სტრუქტურების რეორგანიზაციისა და ამ სისტემის ძირეულ რეფორმაში, რაც მათი განცხადებით, აუცილებლად საქართველოს მრავალმხრივი სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

იხ. მე-2 გვ.

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

– სასამართლოს გადაწყვეტილებით, განქორწინებული ვარ მეუღლესთან, მყავს ორი შვილი, რომლებიც ალიმენტს იღებენ. არ მყავს სხვა კანონიერი მარჩენალი.

გთხოვთ, განმიმარტოთ, ვითვლები თუ არა მარტოხელა დედად და მეკუთვნის თუ არა სოციალური ე. წ. ოჯახური დახმარება?

ნანა სიხარულიძე.

– კანონის თანახმად, მარტოხელა დედად ის ქალი ითვლება, რომელსაც ბავშვის მამასთან რეგისტრირებული ქორწინება არ ჰქონია, არ ცხოვრობს მასთან ერთ ოჯახში, არ ეწევა საერთო მეურნეობას და დაბადების მოწმობაში შვილი ჩაწერილია თავის გვარზე.

თქვენ მარტოხელა დედად არ ითვლებით და ამდენად, ვერ ისარგებლებთ იმ შეღავათებით, რაც კანონით დაწესებულია მარტოხელა დედებისთვის.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.

შპს მაგთიკომი MAGTICOM Ltd

მაგთი MAGTI GSM

შესანიშნავი სიახლე მაგთი GSM-ის აბონენტთათვის!
(და არა მარტო მათთვის)
დამრგვალება — 5 წამამდე!
მონო-ბარათის მფლობელებს ვაცნობებთ, რომ 2001 წლის 15 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში განხორციელებული ყველა ადგილობრივი ზარი დამრგვალდება 5 წამამდე.
მონო-ბარათის სისტემის უპირატესობები:
მონო – დამრგვალება 5 წამამდე; მონო – არავითარი სააბონენტო;
მონო – უდეპოზიტო საერთაშორისო მომსახურება;
მონო – მომენტალური ჩართვა გააქტიურებისას; მონო – რეალიზაციის ფართო ქსელი.
და, რაც მთავარია, მაგთი GSM-ის უდიდესი დაფარვის ზონა და მომსახურების მაღალი ხარისხი სრულ კომფორტს უქმნის თავის აბონენტებს.
მაგთი GSM – მუდმივი კავშირის სამყარო.

## უკანასკნელ საათს



**აშშ-მ** და დიდმა ბრიტანეთმა განაცხადეს, რომ მათმა თვითმფრინავებმა დაბომბეს ერაყის ჰაერსაწინააღმდეგო ობიექტები ბაღდადის სამხრეთით, კერძოდ, სარადარო სადგურები და ცეცხლის მართვის საკომანდო პუნქტები.



## ინტერპანორამა



**გერმანიის** საგარეო საქმეთა მინისტრის იოშკა ფიშერის წინააღმდეგ დაიწყო გამოძიება ყალბი ჩვენებების მიცემის გამო. ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე. ეს დანაშაული გერმანიაში 5 წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება.



**კოსოვოში** ალბანელთა სრული მობილიზაცია მიმდინარეობს. აქ უაღრესად გამწვავდა ალბანელთა და სერბთა დაპირისპირება. სერბები მასობრივად ტოვებენ ამ მხარეს.



**ეჰუდ ბარაკი** დათანხმდა დაიკავოს ისრაელის თავდაცვის მინისტრის პოსტი არიელ შარონის ეროვნული ერთიანობის მთავრობაში.



**გუშინ** გავრცელებული ინფორმაციით ავღანეთში უმძიმესი ჰუმანიტარული კრიზისი დაიწყო. გაეროს წარმომადგენლის განცხადებით, მილიონ ავღანელს გარდუვალად ემუქრება შიმშილი, ხოლო 500 ათასი საკუთარი სამშობლოდან აიყარა.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 39. შაბათი, 17 თებერვალი, 2001 წელი.

## პრეზიდენტი

## „ბოინგი“ საქართველოში საქმიანობით კმაყოფილია

კომპანია „ბოინგის“ ხელმძღვანელობა დადებითად აფასებს ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზებთან“ ექვსწლიან პარტნიორობას და მიაჩნია, რომ ეს თანამშრომლობა ხელს უწყობს საქართველოში ავიაციის განვითარებას და აცხადებს, რომ ავიაციის დარგში წინსვლის თვალსაზრისით, რეგიონში საქართველოს ლიდერის პოზიცია უკავია. ეს ითქვა საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან 16 თებერვალს გამართულ შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებში დაგ გროსეკლოსი, ვიცე-პრეზიდენტი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში ვაჭრობის დარგში კრეგ ჯონსი და გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორი ვლადიმერ სილვერსტოუნი.

კომპანიის ხელმძღვანელები არ გამორიცხავენ, რომ, ამ წარმატებული თანამშრომლობის გათვალისწინებით, საქართველოში მომავალში კიდევ არა ერთი „ბოინგ“-737-500 ტიპის ავიალაინერი შემოვიდეს. გარდა ამისა, მათ გადაწყვეტილი აქვთ უფრო აქტიურად დაეხმარონ საქართველოს ავიაციის დარგის სპეციალისტთა მომზადებაში.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს ნაყოფიერი თანამშრომლობისა და კადრების მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დიდი აბრეშუმის გზის“ კონცეფციის ხორცშესხმის შედეგად, 2-3 წელიწადში ჩამოყალიბდება ტურიზმისა თუ ტვირთბრუნვის მძლავრი არხი, რომელზეც საქართველოს განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება. ამიტომაც ავიაციის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

ედუარდ შევარდნაძემ კომპანიის ხელმძღვანელობას მომავალშიც მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა.

საქინფორმი.

## საქართველო კვლავაც შეინარჩუნებს განსაკუთრებული მნიშვნელობის სტატუსს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში

(პირველი გვერდიდან)

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანაშემწემ თქვა, რომ ამჟამად საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ერთად მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა სწრაფად მოხერხდეს ამერიკული უსაფრთხოების დახმარების გადმოტანა საქართველოში. ამავე დროს გრძელდება მოლაპარაკება გენერალური შტაბის რეფორმის შესახებ. დახმარება, ასევე, ითვალისწინებს ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

როგორც ჯეფრი სტარმა განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ და ევროპის სარდლობამ საქართველოს შეიარაღებული ძალების რეფორმისათვის 5-წლიანი დახმარების პროგრამა შეიმუშავეს, რომლის შესაბამისად უკვე იენისში დაგეგმილია სამხედრო სწავლების გამართვა ფოთში. სავარაუდოდ, ივლისის დამლევს კი ქართველ სამხედროებს პროგრამის მონაწილე თურქეთი გადმოსცემს სამხედრო ვერტმფრენებს.

„საქართველოს არ შეიძლება ჰყავდეს დიდი არმია, მაგრამ აუცილებელია რაოდენობრივი სიმცირე ხარისხით იყოს კომპენსირებული. ჩვენ გვინდა შევქმნათ პატარა, მაგრამ მობილური, დასავლური ტიპის შეიარაღებული ძალები, ამ მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია“, — განაცხადა შეხვედრაზე ედუარდ შევარდნაძემ.

საქინფორმი.

## დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 14 თებერვალი ქ. თბილისი

### კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლების საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის შექმნასა და ფუნქციონირებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ ცენტრის თანამშრომლები:

**ღირსების ორდენით:**

**თეიმურაზ ჯორბენაძე** — ცენტრის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ღირსების მედლით:**

**ლიდია არსენიშვილი** — ჰისტოლოგ-ლაბორანტი;
**სვეტლანა ბასილია** — უფროსი ლაბორანტი;
**ქეთევან ედილაშვილი** — უფროსი ლაბორანტი.

ე. შევარდნაძე.

---

### გენერალი სიდორიჩევი სამსახურს შეუდგა

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების ახალი მთავარსარდალი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ სიდორიჩევი 16 თებერვალს წარუდგინეს სოხუმში ვლადისლავ არძინბასა და იქ მოქმედი მთავრობის ხელმძღვანელს ვიაჩესლავ ცუგბას.

„სამშვიდობო ძალები უნდა დარჩნენ კონფლიქტის ზონაში მის სრულ მოწესრიგებამდე“, — თქვა გენერალ სიდორიჩევთან შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ვიაჩესლავ ცუგბამ. მან აღნიშნა, რომ „აფხაზური ხელმძღვანელობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებისადმი კეთილმოსურნედ არის განწყობილი“.

16 თებერვალს ახალი სარდალი გაემგზავრა უსაფრთხოების ზონაში. იგი გაეცნობა სიტუაციას გალისა და ზუგდიდის რაიონებში.

### არძინბას თავის ტვინის სიმსივნე აქვს - სოხუმი ხელისუფლების შეცვლისათვის ემზადება

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერს ვლადისლავ არძინბას მედიკოსებმა თავის ტვინის სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. ამის შესახებ „იფრინდასათვის“ ინფორმირებული წყაროებიდან გახდა ცნობილი.

წყაროს ცნობით, არძინბას მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და მას ტკივილს ნარკოტიკული საშუალებებით უყუჩებენ.

კულუარებში უკვე დაიწყო საუბარი არძინბას მემკვიდრეზე. წინასწარი მონაცემებით, მის შემცვლელად პრემიერ-მინისტრი, გუდაუთის მკვიდრი ვიაჩესლავ ცუგბა მოგვევლინება. აღსანიშნავია, რომ ცუგბა არძინბას გუნდის წევრი და თანამოაზრეა.

### გადაკეთდება თუ არა გუდაუთის სამხედრო ბაზა სარეაბილიტაციო ცენტრად?

რუსეთი კვლავ აყენებს გუდაუთის სამხედრო ბაზის აფხაზეთში დისლოცირებული თავისი სამშვიდობო ძალების სარეაბილიტაციო ცენტრად გადაკეთების საკითხს, თუმცა ქართული მხარე ამ თემის განხილვისგან თავს იკავებს, ვიდრე არ დაზუსტდება გუდაუთისა და ვაზიანის ბაზებიდან მთელი ტექნიკის გატანის საბოლოო გრაფიკი, — უთხრა პრაიმ-ნიუსს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა.

მოსკოვი აღნიშნული წინადადებით პირველად შარშან გამოვიდა სამხედრო თემაზე ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების ბოლო რაუნდზე.

მენაღარიშვილის თქმით, რუსულმა მხარემ უკვე გამოგზავნა აღნიშნული ბაზებიდან დარჩენილი ტექნიკის პირველ ივლისამდე გატანის გრაფიკი, რომლის ანალიზიც ამჟამად საქართველოს ხელისუფლებაში მიმდინარეობს.

გარკვეული შენიშვნები ტექნიკის გატანის წარმოდგენილ გრაფიკთან დაკავშირებით რუსებს უკვე გაეგზავნათ და მისი საბოლოოდ დაზუსტება მარტში დაგეგმილ მოლაპარაკებათა მორიგ რაუნდზე იგეგმება, — თქვა მენაღარიშვილმა.

ეუთოს სტამბოლის სამიტის შეთანხმების თანახმად, საქართველოში დისლოცირებული რუსეთის ოთხი სამხედრო ბაზიდან ორი — გუდაუთისა და ვაზიანის — მიმდინარე წლის პირველ ივლისამდე უნდა დაიხუროს.

აღნიშნული ბაზებიდან ჭარბი ტექნიკის გატანა გასული წლის დეკემბერში დასრულდა.



— ამ ტრანსპორტით აპირებს რუსეთი თავისი ბაზებიდან შეიარაღების გატანას?!

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა და იფრინდამ.

---

## პროკურატურა

(პირველი გვერდიდან)

ამ აუდიტორიაში არ არის აუცილებელი დეტალური საუბარი პროკურატურის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე. ხაზგასასმელია მხოლოდ ის, რომ დემოკრატიული სისტემა განაპირობებს მისი მნიშვნელობის განსაკუთრებულობას. მხედველობაში მაქვს თვით სახელმწიფოებრივი წყობა, დემოკრატიული წყობა.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი გარდაქმნების ხანმოკლე, მაგრამ არსებითად ღრმა პროცესებმა დემოკრატიზაცია უქცევადი გახადა. ეს არის ჩვენი განვითარებისა და მოძრაობის მართებულობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასტური. საზოგადოების მოთხოვნილება დღეს იდეების ცხოვრებაში რეალურ დამკვიდრებას უკავშირდება. გარდაქმნათა განერცობასა და გაღრმავებას თავისთავად განაპირობებს თვით დემოკრატიულ ღირებულებათა ურთიერთკავშირი და დინამიკა. ამიტომაა, რომ დემოკრატია აუცილებელს ხდის სისტემის მუდმივ გაუმჯობესებას, გაჯანსაღებასა და სრულყოფას. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი მით უფრო ვერ იქნებოდა პროკურატურა.

განვითარების ყოველი ეტაპი და დრო შესატყვის მოთხოვნებს გვიყენებს. პროკურატურის რეფორმა ამგვარ კანონზომიერებაში თავსდება. მაგრამ ეს სრულებითაც არ გამორიცხავს წარსულსა და განვლილში პოზიტიურის დანახვას. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ პროკურატურის (და არა მარტო პროკურატურის) მიმართ დამოკიდებულებაში, ვფიქრობ, გარკვეული ცალმხრივობა მართლაც იყო. ერთია უმაღლესი სტანდარტებით ხელმძღვანელობა და მეორეა — არსებული სპეციფიკა და რეალური შესაძლებლობა და, თუ გნებავთ, თვით საზოგადოების მოთხოვნილებათა მომწიფება. თუნდაც იმის გამო, რომ დედამიწაზე არსებული თითქმის ყველა ქვეყანა მინახავს, ჩემთვის არაა უცხო უმაღლესი სტანდარტები, მსოფლიო სტანდარტები. მაგრამ დროთა კავშირიც და ის რეალური შესაძლებლობანიც, რომლებიც ქვეყანას აქვს, არცთუ იშვიათად თანამიმდევრულობის პრინციპის მაქსიმალურ დაცვას გვავალდებულებს. ამიტომ ჩვენს სინამდვილეში რეფორმატორობისა თუ ანტირეფორმატორობის გამომხატველ ცნებებს განსაკუთრებული სიფრთხილით შერჩევა სჭირდება.

რამდენადაც გაუმართლებელია სათანადო მომზადების გარეშე რეფორმის განხორციელება, იმდენად მცდარია განვლილის მხოლოდ ნეგატიურად შეფასება. რეფორმები, რომლებიც უახლეს პერიოდში პროკურატურაში უნდა დაიწყოს, შემზადებულია უახლეს წარსულში როგორც მთელი საზოგადოების, ისე იმათ მიერაც, ვინც ახლა ამ დარბაზში ზის, ალბათ, ძირითადად, თქვენს მიერ.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ შორის, საერთოდ, პროკურატურის სისტემაში, მრავლად არიან ჭეშმარიტი პროფესიონალი, სპეტაკი და მართლაც სახელმწიფოებრივი ინტერესებით განმსჭვალული პიროვნებები.

ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას გიხდით თქვენ და თქვენს კოლეგებს, რომლებიც დღეს აქ არ არიან, გაწეული მუშაობისათვის. მადლობას ვუხდი ბატონ ჯამლეთ ბაბილაშვილს. მისი პროფესიული უნარი, ერთგულება და თავდადება ქაოსისა და განუკითხაობის (და ჩვენ ყველას გვახსოვს ეს უმძიმესი და საშინელი წლები) დაძლევის, სახელმწიფოებრივი წესრიგისა და სტაბილურობის დამკვიდრების მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა. მისსავე ღირსებაზე მეტყველებს დროის მოთხოვნათა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაც, რაც ისევ და ისევ მის დიდსულოვნებასა და დელიკატურობაზე მეტყველებს.

სიამოვნებით ვასრულებ ჩემს საპასუხისმგებლო მოვალეობას და საქართველოს გენერალური პროკურორის თანამდებობაზე წარმოგიდგენთ ბატონ გია მეფარიშვილს.

გია მეფარიშვილი დაიბადა 1959 წლის 7 ივნისს ქალაქ ბაღდათში, მოსამსახურის ოჯახში.

1983 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1984-1987 წლებში სწავლობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში (ქალაქი მოსკოვი), რომლის დამთავრების შემდეგ იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

მინდა გითხრათ, რომ მე ძალიან კარგად ვიცნობდი ამ შესანიშნავ კოლექტივს. აქ იყვნენ უმაღლესი რანგის სწავლულები, პროფესიონალები. ბატონი გიას მიერ განვლილი ეს სკოლა უდავოდ ღირსშესანიშნავია.

1988 წლის იანვრიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.



„ახალი გენერალური პროკურორისადმი ჩვენი საერთო მხარდაჭერა და თანადგომა წარმატების მნიშვნელოვანი პირობა იქნება“

1988 წლის აპრილიდან დღემდე მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრაზე დოცენტად.

იყო საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის წევრი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლებრივი რეფორმების სამთავრობო კომისიის სამართალდამცავი ორგანიზაციის რეფორმების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე.

1996 წლის 7 ივნისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დანიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. 1996 წლის 15 აგვისტოს აირჩიეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ, მე-2 კოლეგიის თავმჯდომარედ.

1999 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პარტიული სიით აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად. 1999 წლის 7 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა აირჩია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარედ.

გამოქვეყნებული აქვს 33 სამეცნიერო ნაშრომი სისხლის სამართლის პროცესისა და იუსტიციის ორგანიზაციის პრობლემებზე.

არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ასეთია გენერალური პროკურორის გია მეფარიშვილის მოკლე ბიოგრაფია. ხოლო ჩემი გადაწყვეტილება მისი კანდიდატურის გენერალურ პროკურორად წარდგინების შესახებ, უწინარეს ყოვლისა, განაპირობა იმ პროფესიულმა და პიროვნულმა თვისებებმა, რომლებითაც ბატონი გია განსაკუთრებით გამოირჩევა. ვფიქრობ, რომ მისი ფართო განათლება, უმწიკვლო რეპუტაცია, სამართლიანი და ობიექტური პრინციპულობა, სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის პასუხისმგებლობის მაღალი მოქალაქეობრივი კულტურა სხვა ადამიანურ თვისებებთან ერთად დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულების გარანტი იქნება. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მას საკმაო პროფესიული გამოცდილებაც აქვს. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს მისი წვლილი სამართლებრივი რეფორმის საფუძვლების შემუშავებასა და განხორციელებაში.

მადლობას ვუხდი საქართველოს პარლამენტს მხარდაჭერისათვის და ეს მხარდაჭერა საკმაოდ ერთსულოვანი გახლდათ. ის ფაქტი, რომ უმრავლესობასთან ერთად ოპოზიციამაც მისალებად ცნო საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატურა, განსაკუთრებულად საგულისხმოა და კიდევ ერთხელ მარწმუნებს არჩევანის სისწორეში.

პირველი პირის მნიშვნელობისა და ნების მიუხედავად, პროკურატურის ფუნქციურ და სტრუქტურულ გარდაქმნათა აუცილებლობასა და ხასიათს განსაზღვრავს სამართლებრივი რეფორმის სტრატეგიული მიზანი. ამ მიზანთან პროკურატურის შესატყვისობის ხარისხზე პირდაპირ იქნება დამოკიდებული კანონის უზენაესობის, სამართლიანობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება. საერთოდ, სამართლებრივი რეფორმის შემდგომი წარმატება.

უმთავრესი ამოცანაა პროკურატურის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, ესე იგი სრული დამოუკიდებლობა ყოველგვარი ზემოქმედებისაგან. მისი განხორციელების გარეშე ცალფეხა დემოკრატია გვექნება. ამიტომ კონსტიტუციისა და სამართლის პრინციპების უპირობო დაცვის მექანიზმის ჩამოყალიბება პროკურატურის რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი უნდა იყოს.

მისი მიღწევა მოითხოვს სტრუქტურის კომპლექსურ გარდაქმნას. თქვენი მონაწილეობით, თქვენთან ერთად. ამჯერად საკითხის დეტალიზაციისაგან თავს ვიკავებ. დარწმუნებული ვარ, ბატონი გია ამ დღეებში თვითონ გაგაცნობთ სისტემაში გასატარებელი რეფორმის ძირითად პრინციპებს და მისი განხორციელების ეტაპებს. ეს არ იქნება დროში გაწელილი, მაგრამ არც ნაჩქარევი რეფორმა. კანონპროექტი საკმაო ხანს მუშავდებოდა. თუკი ბატონი გია მოისურვებს, კიდევ ერთხელ განვიხილავთ უშიშროების საბჭოზე. ეს ხომ ქვეყნის უშიშროების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია და საჭიროა, რომ უშიშროების საბჭო ყველა დეტალის საქმის კურსში იყოს. ამჟამად იგი მიყვანილია შესაბამის კონდიციამდე და, ვფიქრობ, განსხვავებულ აზრთა შეჯერების საფუძველზე იქნება ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი დღევანდელ სიტუაციაში, კოლექტივში გამოთქმულ ყველა ჯანსაღ აზრს ანგარიში უნდა გაეწიოს.

დღეს პარლამენტი განიხილავს და, იმედია, მიიღებს ცვლილებას კანონში „პროკურატურის შესახებ“, რომლის თანახმადაც პროკურატურის სისტემაში საკვალიფიკაციო გამოცდები გაიმართება 2001 წლის 15 ივნისიდან. ამასთანავე საქართველოს გენერალური პროკურატურის ცენტრში მათთვის უზრუნველყოფილი იქნება უფასო სასწავლო კურსების ორგანიზაცია.

ამავე დროს ჩამოყალიბდება პროკურატურის მუშაკთა თანამდებობაზე გამწესების ახალი პროცედურები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ობიექტურ და მაქსიმალურად გამჭვირვალე კრიტერიუმებზე. გამოცდების ჩატარების პროცესში გვერდს ვერ ავუვლით იუსტიციის საბჭოს აქტიურ მონაწილეობას, რომელსაც პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. გარკვეულწილად, ეს მე მიმაჩნია ობიექტურობისა და სამართლიანობის ერთ-ერთ გარანტად, ხოლო კანდიდატურას გენერალურ პროკურორს დასანიშნავად წარუდგენს ამ მიზნით მასთან სპეციალურად შექმნილი საკონკურსო კომისია. იგი დაკომპლექტდება პარიტეტულ საწყისებზე ქვეყნის პრეზიდენტის, პარლამენტისა და გენერალური პროკურორის მიერ და გადამწყვეტი ხმა გენერალური პროკურორის წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ წარდგენილი კანდიდატურების დანიშვნის საკითხში გენერალური პროკურორი ისარგებლებს სრული თავისუფლებითა და პასუხისმგებლობით. თანამდებობაზე გამწესება დამოკიდებული იქნება მის შეხედულებებსა და ნებაზე. ეს კი გენერალური პროკურორის დამოუკიდებლობისათვის დამატებით გარანტიებს შექმნის.

პროკურატურის ზოგადფუნქციურ ამოცანათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. და ეს საკითხთა საკითხია. უფრო მეტიც, პროკურატურა უნდა გახდეს ძირითადი ანტიკორუფციული ღერძი.

მაგრამ დღეს ჩემი მთავარი თხოვნა და, თუ გნებავთ, მოთხოვნაც — ეს არის პროკურატურის სისტემის განსაკუთრებული როლისა და ადგილის განსაზღვრა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთი განცხადების საფუძველს ისიც განაპირობებს, რომ ბატონი გია მეფარიშვილი უშუალოდ მონაწილეობდა ანტიკორუფციული პროგრამის ძირითად მიმართულებათა შემუშავებაში.

თქვენთვის, ალბათ, ყველაზე კარგადაა ცნობილი საზოგადოების ანტიკორუფციული განწყობილება და ის ხანგრძლივი და თანამიმდევრული მუშაობაც, რომელიც ხელისუფლებამ ანტიკორუფციული სამართლებრივი ბაზისა და პროგრამის მოსამზადებლად გასწია. ამ მხრივ ჩემი, როგორც პრეზიდენტის ნებაც და პოზიციაც არაერთხელ გამომიხატავს. უაღრესად მტკივნეული სენის დაძლევა არის ჩემი ურყევი მიზანი და მის განხორციელებაში პრეზიდენტის მხარდაჭერა არც საქართველოს გენერალურ პროკურორს, გენერალურ პროკურატურას, თითოეულ თქვენგანს არ მოაკლდება. ამავე დროს ყოველთვის ვიცავდი და დავიცავ სახელმწიფოებრივად ესოდენ მნიშვნელოვანი პროგრამის კანონიერი განხორციელების პრინციპს. ამით აიხსნება წინასწარ სამუშაოთა მასშტაბი, სამართლებრივი რეფორმისადმი ჩემი განსაკუთრებული ყურადღება და იგივეა პროკურატურის გარდაქმნისადმი ჩემი მხარდაჭერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივი. კატეგორიულად არ ვეთანხმები ცალკეულ პოლიტიკოსებს, რომლებიც რაღაც მასობრივ რეპრესიებს გვიწინასწარმეტყველებენ. ეს ასე არ იქნება. უნდა დაისაჯონ ისინი, ვინც მთავარი დამნაშავენი არიან, ხოლო მათ მიმართ, ვინც იძულებული გახდა, ამ ჭაობში დროებით ჩათრეულიყო, ჩვენ უნდა შევძლოთ გავატაროთ ის კურსი, რომელსაც პრეზიდენტი და სახელმწიფო გვეკარნახებს.

მესმის, რომ სტრუქტურის ძირეულ ცვლილებათა და ფუნქციურ ამოცანათა განხორციელების ერთდროულობა გარკვეულწილად რთულია. მაგრამ, ჩვენი რეალობაც და დემოკრატიის პრინციპებიც მეტ ძალისხმევასა და კანონის მაქსიმალურ დაცვას გვავალდებულებს.

შეიძლება ითქვას, რომ კორუფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია უკანონობა და კანონდაუმორჩილებლობა, დაუსჯელობის სინდრომი. ამიტომ მსგავსი მდგომარეობის დაძლევა, უწინარეს ყოვლისა, კანონიერების განმტკიცებას უკავშირდება. ალბათ, არ იქნება სწორი განვემარტო ამ საქმეში პროკურატურის, გენერალური პროკურორის როლი, მაგრამ, ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელება რომ თვით სამართალდამცავი სისტემის გარდაქმნით უნდა დაგვეწყო, ალბათ, საკამათო არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ამ დარბაზში. ვერავითარი ნება და მოქმედება, რაოდენ დიდი მონდომებაც უნდა გამოვიჩინოთ, ვერ მოიტანს სასურველ შედეგს, თუ კორუფცია თვით სამართალდამცავი სტრუქტურებს ვერ მოვაცილეთ. მარტო პროკურატურაზე არ არის ლაპარაკი.

მესმის, რომ ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელებას დიდი დრო დასჭირდება, დიდი ძალა და ენერგია, რადგან თვით კორუფციას საკმაოდ დიდი მასშტაბი აქვს. მაგრამ პირველი რეალური, განმსაზღვრელი და უმთავრესი ნაბიჯი უთუოდ უახლეს დროშია გადასადგმელი. საამისოდ თითქმის ყველაფერი გაკეთდა. ამას ელის ჩვენგან საზოგადოება, ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

რამდენიმე დღეში ხელს მოვაწერ „ზოგიერთ პირველი რიგის ანტიკორუფციულ ღონისძიებათა შესახებ“ ბრძანებულებას, რომელიც იქნება ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების პერმანენტული და შეუქცევადი პროცესის გზაზე გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. სწორედ მთელი ერის, მთელი სახელმწიფოს ამოცანაა კორუფციის დაძლევა, თუ გვინდა, რომ მომავალ თაობებს ჯანსაღი ქვეყანა დავუტოვოთ. ამ პროცესში, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პროკურატურას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ. ეჭვი არ მეპარება, რომ პროკურატურა, გენერალური პროკურორი იმუშავებენ სხვა სამართალდამცავ სტრუქტურებთან მჭიდრო კავშირში, ერთიანი ფრონტით, რა თქმა უნდა, პრეზიდენტთან და სხვებთან ერთად.

აქვე მინდა განვაცხადო, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრს უკვე მიეცით დავალება ბატონ გია მეფარიშვილთან ერთად წარმოიდგინოს პროკურატურის სისტემაში რეფორმების განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამა. თუ ასეთი უზრუნველყოფა არ იქნება, ღრმად ვარ დარწმუნებული, რეფორმები შედეგს არ მოგვცემს. და თუ ვერ გამოვძებნეთ საშუალება, მაშინ, ალბათ, ჯობია, დროს გადავხედოთ და დავიწყოთ მაშინ, როდესაც ქვეყანა მზად იქნება ამისათვის. ყველა, ვინც ჩააბარებს გამოცდებს და დაინიშნება პროკურატურის სისტემაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაღალი ხელფასით. ეს უძნელესი პრობლემაა დღევანდელი საქართველოსათვის, მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ წლის მეორე ნახევრიდან გარკვეული რესურსები გამოიძებნება.

ყოველივე, რაც გაკეთდა და კეთდება, მიზნად ისახავს ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ცივილიზებულ საფუძვლებზე დაფუძნებას. ცივილიზებული საზოგადოება კი შეუძლებელია კანონის უზენაესობის დამკვიდრების გარეშე. ჩვენ უნდა შევეგუოთ კანონის პატივისცემას და ავითვისოთ თანამედროვე კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი ნიშანი. მხოლოდ ასე შევძლებთ კორუფციის რეალურ მიზეზთა დაძლევას, დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს ღირებულებათა საქართველოს სინამდვილეში განხორციელებას.

დარწმუნებული ვარ, საქართველოს პროკურატურა და მისი ხელმძღვანელი ამ საქმეში ფლაგმანის როლს შეასრულებენ. თითოეული თქვენგანისათვის ეს საპატიო ვალი და საპატიო მისიაა.

გარდაქმნის, ცვლილებათა და მუდმივი განახლების აუცილებლობა ჩვენი ქვეყნისა და მომავალი თაობის ინტერესებით განისაზღვრება. მჯერა, რომ საკითხის სწორედ ამგვარი გაგება არის საფუძველი თითოეული თქვენგანის იმ მაღალი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობისა, რომელზეც დასაწყისში მოგახსენებდით.

იმედი მაქვს, რომ ახალი გენერალური პროკურორისადმი ჩვენი, უწინარესად, თქვენი დიდი კოლექტივის საერთო მხარდაჭერა და თანადგომა წარმატების მნიშვნელოვანი პირობა იქნება.

საქინფორმი.

---

## პარლამენტის თავმჯდომარე

## ამერიკელები ზურაბ ჟვანიასთან

(პირველი გვერდიდან)

შეხვედრაზე ისაუბრეს, აგრეთვე, აშშ-საქართველოსა და აშშ-საქართველო-თურქეთის შორის მიმდინარე სამხედრო პროგრამების მიმდინარეობაზე, უსაფრთხოების საკითხებში საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებზე და პენტაგონის მიერ მომზადებული რეფორმების პროგრამებზე, რომლებიც შეეხება როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო საზღვრის დაცვის საკითხებს. ითქვა ისიც, რომ ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში მეტად მნიშვნელოვანია სამხედრო განათლების პროგრამებზე მუშაობა.

როგორც ზურაბ ჟვანიამ შეხვედრისას აღნიშნა, საქართველოს სამხედრო ძალებში მიმდინარე რეფორმები, რომლებიც თავდაცვის სამინისტრომ წამოიწყო, პროგრესული ხასიათისაა და, სამწუხაროა, რომ ამ პროცესს ხელს უშლის ფინანსური პრობლემები. მოსაწესრიგებელია ჯარისკაცთა კვების საკითხიც. არსებული მდგომარეობა არა მხოლოდ საქმეში ჩახედული ადამიანებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც არის ცნობილი, მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის დამცველ ჯარისკაცებს საკუთარი მებრძოლი სული აძლიერებს, რაც უთუოდ არანაკლებ მნიშვნელოვანია. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, სიტუაციის შეცვლა მხოლოდ მოზიდულ ინვესტიციებზე დაყრდნობით შეიძლება, მისაღებია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებიც, რასაც საქართველოს პარლამენტარები აუცილებლად დაუჭერენ მხარს.

## სიკეთე

### „სამარიტელთა ქისა“

ქართული საქველმოქმედო ფონდი „მოწყალება“ და „ახალი მოძრაობა“ „სამარიტელთა ქისის“ პრეზიდენტს დევიდ კუკს მასპინძლობენ.

16 თებერვალს ბატონი კუკი რუსთავისა და მარნეულის სკოლა-ინტერნატებს ეწვია და პატარებს სასკოლო ინვენტარი და სხვა საჩუქრები დაურიგა. როგორც მან აღნიშნა, „ქველმოქმედება საქართველოში პროგრამული ხასიათის იქნება და ვიმედოვნებთ, რომ „ახალი მოძრაობა“ მხარს აქტიურად დაგვიჭერს“.

საქინფორმი.

## თაობა

## წყალტუბოს სემინარი

18-20 თებერვალს წყალტუბოში გაიმართება არასამთავრობო ორგანიზაცია „თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის“ მეორე სემინარი. მასში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ახალგაზრდა პოლიტიკოსები, პარლამენტარები, მეცნიერები, იურისტები, პოლიტოლოგები, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ა.შ. წყალტუბოში გამართულ სემინარზე, ასევე, თავს მოიყრიან, როგორც ქართული, ასევე უცხოელი ექსპერტები და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ეს სემინარი გახდება იმ შეხვედრის ლოგიკური გაგრძელება, რომელიც შარშან შემოდგომაზე წინანდალში შედგა და სადაც ადამიანის უფლებებს, სიტყვის თავისუფლების, საკუთრების უფლებისა, ზოგადად, დემოკრატიული ფასეულობების დაცვის პრობლემებს, ასევე, საქართველოსა და ევროპის საბჭოს ურთიერთობას მიეძღვნა.

ამჯერად, როგორც „თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის“ დამაარსებელმა და დირექტორმა არმაზ ახვლედიანმა გვაცნობა, წყალტუბოს სემინარი მიეძღვნება საარჩევნო სისტემების საკითხებს, ასევე საქართველოსთვის მტკივნეულ პრობლემას — კორუფციას და მის წინააღმდეგ ბრძოლას.

ამ ღონისძიებას ევროპის საბჭო და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ხმა ერის გასაგონად

# ჭაბუა ამირეჯიბი: „ედუარდ შევარდნაძე უნივერსალურად ნიჭიერი კაცია"

(პირველი გვერდიდან)

ვფიქრობ, დროთა ვითარებაში სხვებიც გამოგვეწევიან ხელს. სანაქებო აქტიობას იჩენს ფინანსთა მინისტრი ბატონი ზურაბ ნოღაიდელიც. ღმერთი მოწყალეა და ჭაბუა ამირეჯიბი —, გამოუსწორებელი ოპტიმისტი.

**— „საქართველო თავისი ადგილმდებარეობით და ისტორიით კავკასიის ყველაზე მგრძნობიარე სიმია" (ედუარდ შევარდნაძე). ამ სიმის ყველაზე მგრძნობიარე ნაწილი ყოველთვის იყო და არის ქართული მწერლობა. რას ფიქრობს დღევანდელ საქართველოში, ახალი საუკუნის და ახალი ათასწლეულის დასაწყისში „დათა თუთაშხიას" და „გორა მბორგალის" ავტორი, ოთხმოცი წლის ჭაბუა ამირეჯიბი ქართული ლიტერატურის აწმყოსა და მომავალზე?**

— საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობას თავის დროზე „შარიანი მიწა-წყალი" ვუწოდე, ხოლო თვით ქართველებს — „ობოლი ერი". ეს ჩვენი ბედისწერა და ხვედრია. ათასწლეულებს ითვლის ჩვენი გაძლება და სიდუხჭირეთა ძლევა, წარსულის გათვალისწინებით ვამბობ: კიდევ ათასწლეულების მანძილზე რომ გაგრძელდეს ის, რაც დღეს არის, ან წარსულში დარჩა, ქართველი ერი მაინც „მარადიულ" ერად დარჩება. ესეც ჩვენი ისტორიული ხვედრია.

ქართველი ერის ამ ოდისეაში (გნებავთ, მარათონი დაარქვით), მწერლობამ, მისმა ჟანრობრივმა მრავალფეროვნებამ, ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, მე ვიტყოდი, გადამწყვეტი, წარმმართველი საპატიო გზის მანათობელი როლი შეასრულა. სხვათა შორის, დღესაც ასრულებს, მიუხედავად სკეპტიკოსთა მოთქმისა და ჰეჯინებელთა ყეფა-გნიასისა — ქართული ლიტერატურა ჩაკვდა, რადგან როგორც არის, აღარავის სჭირდება და ვისაც სჭირდება, უკიდურესი გასაჭირის გამო, წიგნის ყიდვის შესაძლებლობას მოკლებულია. აბსურდია. რადგან მრავალი ახალი თუ ძველი გამომცემლობა მაღალმხატვრული ლიტერატურის მრავალ ნიმუშს სცემს და მათ პროდუქციას მყიდველი რომ არ ჰყავდეს, ისინი უბრალოდ ველარ იარსებებდნენ. ქართული მწერლობა ცოცხალია და იცოცხლებს, მით უმეტეს, რომ მას ახალი, უმნიშვნელოვანესი ტალღა შეუერთდა მწერალთა ახალი თაობის სახით. ნუ ჩამომათვლევინებთ, არ მინდა ვინმე გამომრჩეს, ან ვინმე წინ ვახსენო, ვინმე შუაში და ვინმე ბოლოში, ვკითხულობ მათ შემოქმედებას და გულს უხარია, რადგან მათს ტალანტში საქართველოს მომავალს ვხედავ.

გადახედეთ ქართულ ლიტერატურულ პრესას, საერთოდ, ლიტერატურულ პუბლიკაციებს და დაინახავთ, რომ ქართული მწერლობა აღმაღლობის გზაზეა. მარტო ის რად ღირს, რომ ქართველი პოეტები, პროზაიკოსები და კრიტიკოსები რუსული ტრამპლინის გამოუყენებლად უცხო ქვეყნებში — საფრანგეთში, ესპანეთში, შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებშიც იბეჭდებიან.

**— ბატონო ჭაბუა, ხომ ფაქტია, მეოცე საუკუნის მსოფლიო ისტორია ვერანაირად ვერ აუვლის გვერდს ორ ქართველს — იოსებ სტალინს და ედუარდ შევარდნაძეს. ნება მიბოძეთ ასეთი კითხვით მოგმართოთ: თექვსმეტი წლის სტალინმა დაწერა — „აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მხარეო" და ამავე ასაკში თქვა: „უმადური ბრბო აიძულებს პოეტს შესვას საწამლავი". თქვენი აზრით, მოერია მას ის საწამლავი?**

— მოერია. ეგ ის საწამლავია, რომელსაც რეციპიენტი პარანოიისა და შიზოფრენიის ზღვრამდე მიჰყავს. სტალინის მიერ მაგ საწამლავის მიღება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. პირველი — „ჟანრის სინდრომია". ამ ფსიქიკურ ვითარებამდე მწერალი, განსაკუთრებით კი პოეტი, მისი „გენიის" თანამედროვეთაგან სრული აღიარების ნაკლებლობას მიჰყავს. ჩემს ოჯახში მამაჩემისა და პაპაჩემის სტუმართა საუბრიდან მახსოვს, სოსო ჯუღაშვილი თავის მკითხველს ემდუროდა, — ვერ გამიგეს, ვერ დამაფასესო. ამავე საუბრებიდან ისიც დამახსომდა, რომ სტალინი ჭაბუკობაში და მერეც სხვებთან შედარებით ჩუმი და გადაჭარბებულად თავდაჯერებული ყოფილა. — ეს მეორე. მესამე ის, რომ ყველასა და ყველაფერზე გაბოროტებული კაცი ადვილად უნდა გაბმულიყო მარქსიზმის ხაფანგში, მით უმეტეს, რომ ამ ასპარეზზე თავის დამკვიდრებას რუსეთის უზარმაზარი იმპერიის მმართველ ელიტაში მოხვედრის პოტენცია გააჩნდა, რა თქმა უნდა, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგად, რისიც ყველა მარქსისტს ურყევი რწმენა ჰქონდა. „აყვავდი ტურფა ქვეყანავ..." იოსებ ჯუღაშვილის ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" ქართველი ერის, როგორც ეთნიკური მთლიანობის აბსოლუტური უარყოფით შეიცვალა. გაიხსენეთ, ქართველები, როგორც ერი, თურმე, ერთმანეთთან გენეტიკურად განსხვავებული ტომებისგან შედგებით.

საწამლავით განვითარებულმა პარანოიამ ეს დაბადებითვე გენიალური კაცი სადამდეც მიიყვანა, ამ თემაზე მრავალმა ავტორმა გამოთქვა აზრი, მათ შორის მეც „გორა მბორგალში", სხვაგანაც და აქ აღარაფერს ვიტყვი.

**— ოცდაორი წლის ედუარდ შევარდნაძემ ლექსების რვეულში ერთ ავტორს ექსპრომტად ჩაუწერა:**

**„კვლავაც ისმოდეს ას წლის შემდეგაც**
**რითმად წყობილი თქვენი ქართული,**
**დე, ჩურჩულებდეს,**
**ვინც რომ შეგხვდებათ —**
**„ხალხის მსახური", „ხალხის მსახური"...**

**პოლიტიკოსთა საქმეების შეფასებას დრო სჭირდება, — თქვენი აზრით, რჩება ედუარდ შევარდნაძე თავისი ჭაბუკობისდროინდელი სიტყვების ერთგული?**

— ედუარდ შევარდნაძე უნივერსალურად ნიჭიერი კაცია, რა გასაკვირია, ყველა ან თითქმის ყველა ქართველივით ლექსშიც ეცადა ბედი. სხვათა შორის, ვიტყვი, პირველი პარლამენტის სხდომებისას, ჯანსულ ჩარკვიანი ერთობ ყურადსაღებ კაფიებს თხზავდა, ზოგ მათგანს ბატონ ედუარდს უგზავნიდა და იქიდან გამოგზავნილი არანაკლებ ნიჭიერი კაფია არაერთხელ წამიკითხავს.

ედუარდ შევარდნაძის, როგორც პოლიტიკოსის შეფასებას, არავითარი დროის ფაქტორი არ სჭირდება. დროთა მსვლელობას მისი პიროვნების შეფასებაში მხოლოდ დადებითი მხარის შემატება შეუძლია. ამაში მე ღრმად ვარ დარწმუნებული. რაც „ხალხის მსახურებას" შეეხება, არ ვიცი, რა უნდა ეწოდოს ადამიანს, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე სწორედ ერისა და ხალხის სამსახურს შეალია და ახლაც ამავე სამსახურში დგას. ადვილი შესაძლებელია, სხვას სხვაგვარი შეხედულება ჰქონდეს, მე ჩემი და მრავალთა თვალსაზრისი მოგახსენეთ.

**— ამ შემთხვევაში სრულიად გეთანხმებით, სტალინთან დაკავშირებით კი — ცოტა გამიჭირდება... საქართველოს დამოუკიდებლობის შესაძლებლობა-ვერშესაძლებლობის საკითხზე შეიძლება... სტალინიც ფიქრობდა, არ გამოვრიცხავო — ედუარდ შევარდნაძე ამბობს ერთ ინტერვიუში („კვირის პალიტრა" №52, 1999 წ.). ბატონო ჭაბუა, თქვენ თუ გქონიათ შემთხვევა, ამ კუთხით გეფიქრათ სტალინის შესახებ?**

— არ მქონია. ვერც მექნებოდა, რადგან წარმოუდგენელია, იმპერატორმა თავისი საბრძანებლის ნაწილი საითმე გაუშვას, მით უმეტეს რუსეთის ქართველმა იმპერატორმა — საქართველო.

**— მავანი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ზვიად გამსახურდიას როლს აზვიადებს, თუმცა თავად მე არავისი დამსახურების დაკნინების მომხრე არა ვარ. თქვენი აზრი ამ რთულ საკითხთან დაკავშირებით?**

— ლათინური ანდაზა — „ე მორტუი, აუტ ბენე, აუტ ნიჰილ" — მკვდართა შესახებ ან კარგი, ან არაფერიო!

უარყოფითს არაფერს ვიტყვი მიუხედავად იმისა, რომ ბევრის თქმა შემიძლია... ამ კაცმა მართლაც დიდი სამსახური გაუწია საქართველოს დამოუკიდებლობას, თუნდაც ის რად ღირს, რომ მან და მისმა თანამებრძოლებმა ქართველ ერს დამპყრობლის მიმართ ეროვნული დაუმორჩილებლობა გაუმახვილეს, აქტიური წინააღმდეგობის სული გაუღვიძეს. ზვიად გამსახურდია უდავოდ ისტორიული პიროვნებაა და, ვიმედოვნებ, მომავალი პირუთვნელად შეაფასებს მისი მოღვაწეობის აქ-კარგს.

**— რას ხედავს მომავალ საქართველოში მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი?**

— პატარა, მაგრამ გლობალური მასშტაბის დამოუკიდებელ საქართველოს თავისი მაღალი სულიერებითა და შიდაეროვნული ძირითა სხვადასხვაობით არსებულ პრობლემატიკაში. ეს რომ არ მწამდეს, კაი ხნის წასული ვიქნებოდი უმჯობეს სამყაროში.

სახელმწიფო მინისტრი

# ახალი თაობის „ბოინგები" იფრენენ

„პაპაკ ლოიდის" მიერ სალიზინგო კონტრაქტით გამოყოფილი 737 ტიპის ორი „ბოინგი", ავიარეისები ევროპის წამყვან ქვეყნებში, მილიონ 200 ათასი ლარი, რომელიც ავიაციის სფეროში კადრების ტრეინინგს მოხმარდა, ტექნიკური დახმარება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავიაციო ინსტიტუტის 10 წარჩინებული სტუდენტისათვის 500 დოლარის ოდენობის სტიპენდიის გაცემა, — ყველაფერი ეს კომპანია „ბოინგსა" და საქართველოს ავიაკომპანია „აირზენას" ექსწლიანი წარმატებული თანამშრომლობის შედეგია.

— კომპანია „აირზენა" საქართველოში საუკეთესო გადამხდელთა ოცეულში შედის, ეს კი უდავოდ განაპირობა „ბოინგთან" ეფექტიანმა თანამშრომლობამ, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა 16 თებერვალს „ბოინგის" ვიცე-პრეზიდენტთან დაგ გროსეკლოსთან შეხვედრისას.

რაც შეეხება საქართველოში კომპანია „ბოინგის" საქმიანობის სამომავლო პერსპექტივას, როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მას შემდეგ, რაც სალიზინგო კონტრაქტს ვადა გაუვა, ამჟამად არსებულ ორ „ბოინგს", ახალი თაობის — 737-700 ტიპის სამი „ბოინგი" ჩაენაცვლება. როგორც „აირზენას" ხელმძღვანელმა თამაზ გაიაშვილმა აღნიშნა, ახალი „ბოინგების" შესყიდვა 2004 წლისათვის, ლიბერალური საფინანსო ხელშეკრულების საფუძველზე გახდება შესაძლებელი. ისინი უახლესი ტექნოლოგიის შესაბამისად იქნება დამზადებული და თავიანთი წინამორბედებისაგან განსხვავებით 30-ით მეტი მგზავრის გადაყვანას ითვალისწინებს.

— კომპანია „ბოინგი" გეგმავს საქართველოსთან, კერძოდ, კომპანია „აირზენასთან" აქტიური თანამშრომლობის გაგრძელებას, როგორც თვითმფრინავების დამზადების, ისე კადრების მომზადების თვალსაზრისით. ექსწლიანი თანამშრომლობის გამოცდილებამ უკვე გვიჩვენა პრაქტიკული შედეგები. დარწმუნებული ვარ საქართველოს საჰაერო სივრცეს სამომავლოდ ათობით ახალი თაობის „ბოინგი" გადასერავს, — აღნიშნა „ბოინგის" ვიცე-პრეზიდენტმა დაგ გროსეკლოსმა.

საქინფორმი.

# იტალია საქართველოსთან თანამშრომლობით დაინტერესდა

(პირველი გვერდიდან)

ამიტომაც, ქართველი და იტალიელი კოლეგები, ვიზიტის ფარგლებში განიხილავენ ერთობლივი საწარმოების დაფუძნების პერსპექტივას. იტალიის წამყვანი ფირმები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოში სამოქალაქო ავიაციის განვითარებისა და საავტომობილო მაგისტრალების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის გამართულ ტენდერში. მაურო ფაბრისიმ აღნიშნა, რომ ახლო მომავალში იტალიაში გაიმართება საქართველოს ბიზნეს-შესაძლებლობათა პრეზენტაცია, რაც ხელს შეუწყობს ახლად დამყარებული ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას. შეხვედრაზე ითქვა, რომ შეიქმნება საქართველო-იტალიის ეკონომიკური თანამშრომლობის საკოორდინაციო მუდმივმოქმედი ჯგუფი, დაფუძნდება იტალია-საქართველოს ერთობლივი სალიზინგო კომპანია.

შეხვედრის დასასრულ სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა მადლობა გადაუხადა მაურო ფაბრისის, იტალიის რესპუბლიკის მთავრობას საქართველოსადმი გამოჩენილი ინტერესისა და ქვეყანაში მრეწველობის პოტენციალის განვითარებისათვის გაწეული ძალისხმევისათვის. ქართველ და იტალიელ კოლეგებს კი წარმატებული თანამშრომლობა უსურვა.

საქინფორმი.

დოკუმენტი

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2001 წლის 14 თებერვალი ქ. თბილისი

**საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სტატუსის შესახებ**

„განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის I პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად:

1. საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი ჩამოყალიბდეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.
2. დამტკიცდეს საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის თანდართული წესდება.
3. ბრძანებულების პირველ პუნქტში მითითებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს განათლების სამინისტრომ.

ე. შევარდნაძე.

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 14 თებერვალი ქ. თბილისი

**ნ. ქარქაშაძის საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის რექტორად დამტკიცების შესახებ**

დამტკიცდეს **ნაპოლეონ ქარქაშაძე** საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის რექტორად.

ე. შევარდნაძე.

აქცენტი

# მგლის თავზე სახარების კითხვასავით...

15 თებერვალს, ოთხშაბათს, როდესაც თბილისში აღმასრულებელი ხელისუფლების მორიგი სხდომა მიმდინარეობდა და გარემოს დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე დარგში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებზე საუბრობდა, ბორჯომის რაიონის გამგებელი ემზარ ასპანიძე იქ, ბორჯომ-ბაკურიანის ხეობაში, ერთ-ერთ საგუშაგოზე იდგა და ხე-ტყით დატვირთული მანქანების გადაადგილების კანონიერებას ამოწმებდა. იმ დღეს გამგებელმა ორი სატვირთო მიაბრძანა „კონტრაბანდისტთა" საჯარიმო მოედანზე... მეორე დღესაც რამდენიმე მანქანა ყალბი დოკუმენტებით „ლიცენზირებული" ან სულაც უსაბუთო ტვირთი გამოიჭირა და... კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, ტელევიზიით საქვეყნოდ განაცხადა: ტვირთებს ადმინისტრაციული ორგანოების — პოლიციისა და უშიშროების თანამშრომლები მიაცილებდნენო!

იგივეს ამტკიცებენ საქართველოს სხვა რაიონების გამგებლები და მხარეთა გუბერნატორებიც! თუმცაღა, დამტკიცება, ზოგჯერ, არც ისე ადვილია. 15 თებერვალს, მაგალითად, ემზარ ასპანიძეს და მის თანამოაზრეებს, გაულენიანი გამცილებლის მანქანა თვალსა და ხელს შუა გაუსხლტათ — ისე უცებ გაუჩინარდა, გეგონებოდათ, მიწამ ჩაყლაპაო. ელოდებიან ახლა ტვირთის პატრონს, იქნებ გამოჩნდესო. მეტი არაა ჩემი მტერი, ერთი მანქანა ხე-ტყის გამო მან თავისი ვინაობა გაამჟღავნოს... ცოტა ხანს მიყუჩდება და მერე ისევ „აიშვებს". ხე-ტყის მაფია ხომ, ჯერჯერობით, ერთობ გულარხეინად და გამომწვევად მოქმედებს.

14 თებერვლის მთავრობის სხდომაზე საქართველოს ბუნებისადმი ბარბაროსულ დამოკიდებულებაზე ხაზგასმით ილაპარაკა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. მან ისიც კი აღნიშნა, რომ მდგომარეობა ერთობ საგანგაშოა და მას ხელისუფლება ველარ აკონტროლებს.

სწორედ ამ მიზნით შეიქმნა საგანგებო სამთავრობო კომისია, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი უხელმძღვანელებს.

ურთულესი პრობლემის ლოგიკური დასკვნა, სწორი ხედვა არსებობს, ახლა მთავარია საკანონმდებლო ბაზის განმტკიცება, პრინციპული და უშეღავათო პიროვნული დამოკიდებულება. როგორც ბორჯომის გამგებელი გვარწმუნებს, უპირველესად, ადმინისტრაციული ორგანოების ის ულირსი თანამშრომლები უნდა ვამხილოთ, რომლებიც ხელს უწყობენ კორუფციას და ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გაჩანაგებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ ლაპარაკი და შეგონება მგლის თავზე სახარების კითხვას დაემსგავსება.

სპარტაკ ძოწულია.

საუბრის გაგრძელება

**გუშინდელ ნომერში ბატონ სულხან მოლაშვილთან საუბარი (საქართველოში შექმნილ პარადოქსულ მოვლენაზე: გვაქვს უამრავი მაკონტროლებელი ორგანო, კორუფცია კი სულ უფრო და უფრო მძვინვარებს) იმ ადგილას გავწყვიტეთ, როცა კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლაპარაკობდა ისეთი ბერკეტის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს გახდის, თუ რატომ შედის ესა თუ ის შემმოწმებელი უწყება სარევიზიოდ ამა თუ იმ უწყებაში.**

**ვაგრძელებთ საუბარს.**

**— ბატონო სულხან, აი, თქვენ ამზადებთ პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტს, ასე ვთქვათ, მაკონტროლებელთა მეწარმეებზე „მეტევების" მოსაგერიებლად. რამდენადაც ვიცი, ამ საკითხზე იუსტიციის სამინისტროშიც მზადდება კანონის პროექტი...**

— იუსტიციის სამინისტრო, როგორც იქიდან ჩვენთან გამოგზავნილი წერილიდან ჩანს, მართლაც ამზადებს კანონს სამეწარმეო საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის შესახებ.

მაგრამ მის განხილვამდე ჩვენ პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტს შევთავაზებთ მთავრობას. გვინდა, რომ ეს პრეზიდენტის ინიციატივით გაკეთდეს. სხვათა შორის, სწორედ პრეზიდენტის ინიციატივით არის მომზადებული ის კანონპროექტიც იუსტიციის სამინისტროში. იგი ითვალისწინებს საწარმოში შესვლის სასამართლო ნებართვას, დაახლოებით ისე, როგორც ეს ხდება დაკავებაზე, ჩხრეკაზე. საწარმოში შესვლისათვის სასამართლო ნებართვის აღებისას უნდა დაასაბუთო, თუ რა აუცილებლობით არის გამოწვეული შემოწმების დაწყება. ამ სასამართლო პროცესში მონაწილეობს შესამოწმებელი ობიექტის წარმომადგენლობაც: ისინი თავის მხრივ, ასაბუთებენ, თუ რატომ არ უნდა შეევიდნენ მაკონტროლებელნი მათთან. ეს მოწესრიგების ერთგვარი ბერკეტი გახდება, მაგრამ ისიც შეიძლება იარაღად, რომ მეწარმეთა და კონტროლიორებს შორის გარიგების ცენტრმა შეიძლება სასამართლოში გადაინაცვლოს.

**— ანუ, ფაქტობრივად, არაფერი შეიცვალოს; არალეგალური ურთიერთობები „მოწესრიგდეს" უშუალოდ სასამართლოს ფარგლებში და საჭირო აღარ გახდეს სხვა ღონისძიებები...**

— ეჭვი არ არის უსაფუძვლო. მაგრამ ჩვენ მაინც მივიჩნევთ, რომ ეს მხარდასაჭერი, აუცილებელი ინიციატივაა. იმიტომ, რომ სახელმწიფომ უნდა დათქვას და მკაცრად დაამკვიდროს მეწარმეებთან „თამაშის წესები".

ამავე დროს, არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში არ უნდა აღმოვჩნდეთ. სამეწარმეო სფეროს მივცეთ იმდენი თავისუფლება, რამდენიც ეს კონსტიტუციით არის გათვალისწინებული, მაგრამ თუ ეს თავისუფლება სხვის უფლებებს ლახავს, თუ სახელმწიფო ბიუჯეტის ხელყოფის ფაქტები შეინიშნება, მაშინ კონტროლის ადეკვატური ღონისძიებებიც უნდა გაითვალისწინოთ.

**— ამ „ზედმეტ თავისუფლებაში" რას გულისხმობთ?**

— რას და, მაგალითად, ხელმძღვანელობენ რა კომერციული ბანკების შესახებ კანონის იმ დებულებით, რომ მათი შემოწმება სასამართლოს ნებართვის გარეშე არ შეიძლება (სასამართლო კი ამ ნებართვას იშვიათად იძლევა), კერძო სუბიექტები მაქინაციებს, ეგრეთწოდებულ „პრაკრუტებს" („დატრიალებებს"), ხშირად სწორედ კომერციული ბანკების მეშვეობით ახდენენ. ხედავთ, რაკი კომერციული ბანკი სახელმწიფო კონტროლისაგან ფაქტობრივად თავისუფალია, სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი თანხები აკლდება. დარწმუნებული ვარ, არც ერთი სახელმწიფო, რომელიც პატივს სცემს საკუთარ სიძლიერეს, სუვერენიტეტსა და ფინანსურ კეთილდღეობას, თავს ამის უფლებას არ მისცემს.



# ეკლექტიკური საშინელება

## დღეს საქართველოში ასამდე მაკონტროლებელი ორგანოა

## ნომრის სტუმარია საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი

ერთი სიტყვით, კონტროლის პალატა მომხრეა, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფარგლებში მტკიცედ იქნეს დაცული კერძო მეწარმეობის უფლებები და თავისუფლებები, მაგრამ არა სახელმწიფოს ინტერესების გაუთვალისწინებლობის ხარჯზე.

კარიკატურა თემაში



— ამდენი რამე რომ შეუკვეთეთ, მოერევით?
— 18 მილიონი მაქვს შეჭმული და ამას ვერ შევჭამ?

ვახტანგ კუციას ნახატი.

**— ანუ, მოსაუბრეა ისეთი შუალედი, რომელიც თანაბრად გამოადგება, ერთი მხრივ, — მეწარმეობას, მეორე მხრივ — სახელმწიფოს.**

— დიახ. სხვაგრივ არაფერი გამოვა. ერთ მაგალითს მოვიტან. 2000 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან ენერგეტიკის დარგისათვის გამოყოფილი ტრანსფერტიდან 2 მილიონ 350 ათასი ლარი სახაზინო სამსახურის, „საქართველოს საფოსტო ბანკის", მსხვილ გადამხდელთა ინსპექციისა და ენერგეტიკის საწარმოთა ხელშეწყობით, დატაცებულია შპს „მერას" მეშვეობით, რაზედაც პროკურატურას აღძრული აქვს სისხლის სამართლის საქმე.

**— ეს ცნობილი ფაქტია.**

— დიახ, თქვენმა გაზეთმა არაერთგზის დაწერა ამის შესახებ. მაგრამ აქ საინტერესო თვითონ მექანიზმია, თუ როგორ ხდებოდა ეს ყველაფერი. ჩვენი შემოწმებითა და ანალიზით, „საქართველოს საფოსტო ბანკის" კლიენტების — კავშირგაბმულობისა და ფოსტის საწარმოების და სხვა კერძო სამართლის სუბიექტების შემხვედრი შემოწმებით გამოიკვეთა საბიუჯეტო სახსრების დატაცების შემდეგი მექანიზმი: „საფოსტო ბანკმა" სხვადასხვა უკანონო ოპერაციით მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში თავი მოუყარა თითქოსდა ზედმეტად გადახდილ თანხებს (მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ენერგეტიკისთვის გამოყოფილ ტრანსფერტს — 2 მილიონ 350 ათას ლარს) მათი „დატრიალების", ეგრეთწოდებული „პრაკრუტის" გზით.

არ მინდა უდანაშაულობის პრეზუმფცია დავარღვიო, მაგრამ ასეთია წინასწარი მონაცემები.

წინასწარი შეთანხმებით, სათბობენერგეტიკისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, „საფოსტო ბანკისა" და შპს „მერას" საბანკო ანგარიშების გაელით, უკანონოდ გადაირიცხა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში, როგორც „საფოსტო ბანკის" დამატებითი ღირებულების გადასახადი, თუმცა იგი... არ წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს. ამის შემდეგ ბანკმა, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის დანაშაულებრივი თანადგომით, ზედმეტობა გადაიტანა გადამხდელთა, ანუ თავისი კლიენტების ბარათებზე და გადამხდელების მიერ საბიუჯეტო გადასახადების უზრუნველსაყოფად, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში წარდგენილ საგადასახადო დავალებათა იგნორირებით, ამ გაცოცხლებებისა და კიდევ სხვადასხვა გზით, კლიენტის ანგარიშიდან თანხა ჩამოწერა და არადანიშნულებით გადარიცხა. კლიენტს კი ეძლეოდა ბანკის გაყალბებული ამონაწერი თანხის თითქოსდა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში გადარიცხვის თაობაზე.

საბანკო ამონაწერთა სიყალბე მხოლოდ გადამხდელთა შემოწმებით ვლინდება. რაკი კომერციული ბანკების შემოწმება კანონით შეზღუდულია, ფაქტობრივად არ ხდება. ზემოთ ჩამოთვლილის მსგავსი მაქინაციები იწქმალება ხოლმე.

**— რამდენადაც ვიცი, მათი შემოწმების უფლება ეროვნულ ბანკს აქვს.**

— დიახ, მხოლოდ ეროვნულ ბანკს. მაგრამ ამას თავისი სპეციფიკა აქვს და არა სარევიზიო-საკონტროლო ან, თუნდაც, სისხლის სამართლის საქმის კუთხე. გავაგრძელებ: სხვადასხვა უწყების — კავშირგაბმულობისა და ფოსტის ზედამხედველობის სამსახურის, „ახტელის", „ეგრისის", „ახალი ქსელების", „ეგტელის", „სელკომის", „საქართველოს ტელეკომის", „მაცნეს", „საქტელეფონმშენის", „საქართველოს ელექტროკავშირისა" და მისი ფილიალების, კერძო თუ საჯარო სამართლის სუბიექტების შემხვედრი შემოწმებებით დავადგინეთ, რომ ამ ორგანიზაციებთან შეუთანხმებლად, მათი საგადასახადო დავალებებით, საბიუჯეტო გადასახადების უზრუნველსაყოფად 4 მილიონ 515 ათასი ლარი უნდა გადარიცხულიყო მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში. ფაქტობრივად, თანხები გადარიცხულია არადანიშნულებისამებრ. კერძოდ, 2 მილიონზე მეტი ლარი — „მერას" ანგარიშზე, საიდანაც ეს თანხა დაიტაცეს, 2,24 მილიონი ლარის მიმღები კი უცნობია, საერთოდ არ ჩანს, ვინ მიიღო ეს თანხა.

ამრიგად, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში საფოსტო ბანკის მიერ ჩარიცხულად ფიქსირდება მხოლოდ ხაზინიდან მიღებული 2,3 მილიონი ლარი, მაშინ, როცა გადამხდელების საბანკო ანგარიშებიდან „საფოსტო ბანკს" 4,52 მილიონი ლარი აქვს ჩამოწერილი. არსებული მონაცემებით, იმავე თანხაზეა ურთიერთჩათვლა განხორციელებული „საფოსტო ბანკსა" და მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას შორის.

2,24 მილიონი ლარის ზედმეტობის წარმოშობის წყაროს დასადგენად აუცილებელია „საქართველოს საფოსტო ბანკის", „ქართული სახლის", „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციისა და სხვა უწყებების საქმიანობის შემოწმება. რაც... ფაქტობრივად შეუძლებელია.

ასეთი მაგალითი უამრავია. მხოლოდ დღევანდელი საქაღალდით 5 ფაქტი შემომიტანეს. აწქარება და უკიდურესი ზომების მიღება არც ერთ შემთხვევაში არ ეგების — შეიძლება სახელმწიფომ მილიონობით ლარი დაკარგოს. ამიტომ მკვეთრად უნდა განვსაზღვროთ პრიორიტეტები.

**— თქვენ რა კონკრეტული მოდელი გაქვთ?**

— უნდა იყოს ორი ძირითადი და ძლიერი საკონტროლო უწყება: საგადასახადო ინსტიტუტი და სახელმწიფო აუდიტის, ანუ კონტროლის პალატის ინსტიტუტი. ყველა სხვა მაკონტროლებელს უნდა ჰქონდეს ორ ან სამ წელიწადში ერთხელ შემოწმების უფლება. ვთქვათ, ეკოლოგიის ან ხარისხის მდგომარეობისა. როგორ შეიძლება სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებობდეს რამდენიმე მაკონტროლებელი ორგანო და ცალ-ცალკე ამოწმებდეს კარტოფილის, სტაფილოს, კომბოსტოს თუ სხვა პროდუქტების ხარისხს. ასეთი საბაბით შედიოდნენ ჯერ მეურნეობებში, შემდეგ მაღაზიებში, კოოპერატივებში და ასე შემდეგ. ეს ყოვლად წარმოუდგენელია. ამიტომაც ვართ ასეთი მოდელის მომხრე: ორი უძლიერესი უწყება, რომელთაგან ერთი გადასახადებს მოემსახურება, მეორე — სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესებს, ანუ საგადასახადო ინსპექცია და კონტროლის პალატა, ყველა სხვა სუბიექტი მკვეთრად უნდა შეიზღუდოს თავის უფლებამოსილებაში.

ვფიქრობ, ასეთი მოდელის ამოქმედებით შედეგს მივაღწევთ.

**— კანონით, კონტროლის პალატას კერძო სექტორში შესვლის უფლება არ აქვს. ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენთვის ასეთი უფლების მონიჭება სახელმწიფოს ინტერესებს წაადგება.**

— კერძო სექტორში ჩვენ მხოლოდ შემხვედრი შემოწმებების დროს „შევდივართ", თუმცა, როგორც ვთქვით, ეს ერთობ სერიოზულ სირთულეებს უკავშირდება. კონტროლის პალატას მიაჩნია: თუკი სახელმწიფო ბიუჯეტი კერძო სტრუქტურაში ილექება, ან იქ სხვადასხვა მიზნით გადაირიცხება, კონტროლის პალატას უნდა ჰქონდეს ამ სახელმწიფოს სახსრების ხარჯვის რეალობის დადგენის უფლებამოსილება. კანონი მკვეთრად უნდა განსაზღვრავდეს ამას. ჩვენში უბრალოდ დამკვიდრდა ტრადიცია: მივყვებით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს და ვამოწმებთ, ზოგან გვიშვებენ, ზოგან — არა. მაგრამ საჭიროა, კანონმა დააკანონოს: თუკი სახელმწიფოს ინტერესებს ეხება, კონტროლის პალატის გარდა, სხვას არავის უნდა ჰქონდეს ამის დადგენის უფლება.

რა თქმა უნდა, მე არ ვგულისხმობ იმ შემთხვევებს, როცა დანაშაულებრივი ქმედებაა ჩადენილი, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და სახელმწიფო უშიშროება, პროკურატურა ან შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს გამოძიებას. მაგრამ, თავისთავად, ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ორგანიზაციები საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებს ამყარებენ კერძო სამართლის სუბიექტებთან, სერიოზულ ეჭვებს აღძრავს. ასეც არის: ასეთი გარიგების უმრავლესობა კერძო ინტერესების გათვალისწინებით არის შემდგარი. ჩვენი შემოწმებების პრაქტიკა ამას ადასტურებს.

ერთიც. როგორც ვიცი, ეკონომიკის სამინისტრო უკვე მუშაობს იმაზე, რომ სახელმწიფო შესყიდვები, ტენდერები იყოს არა კერძოდ რომელიმე სამინისტროს ან უწყების გადასაწყვეტი, არამედ ერთიან პოლიტიკაში მოაზრებული საქმე. მაგალითად, რატომ უნდა შემოიტანოს დაწესებულებამ, ვთქვათ, ავეჯი უცხოეთიდან, როცა ის შეიძლება გაკეთდეს ქუთაისის ფაბრიკაში, რატომ უნდა შემოიტანო რაიმე საქონელი, როცა შეიძლება აქვე დაამზადო, ან შეუკვეთო იმ ორგანიზაციას, რომლიდანაც სახელმწიფო მეტ მოგებას ნახავს...

ამიტომ ვამბობ, რომ აუცილებელია გაწონასწორებული დამოკიდებულება მაკონტროლებელთა შორის, მათს მუშაობაში პარალელიზმის აღმოფხვრა. სხვაგვარად საქართველოში გამეფებული ეკლექტიკური საშინელება ვერ აღიკვეთება.

ალეკო ასლანიშვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 39. შაბათი, 17 თებერვალი, 2001 წელი

## ეს ჩვენი ისტორიაა

# დაკარგული საფლავები

ტერორი XX საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმების დამახასიათებელი ნიშანია.

საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი ვ. ლენინი ტერორის აუცილებლობას „თეორიულადაც" კი ასაბუთებდა. ბოლო ხანებში ცნობილი გახდა მისი 1922 წლის 10 თებერვლის „მკაცრად საიდუმლო" წერილი პოლიტბიუროს წევრებისადმი საეკლესიო ქონების საყოველთაო დაუნდობელი ძარცვის დაწყების მიზანშეწონილობაზე (იგი ნათლად გვიხატავს ნამდვილ ლენინს – ულმერთოს, სასტიკს, ცინიკოსს, სისხლიანს, ძალაუფლების ჟინით შეპყრობილს, ნგრევის დიდოსტატს და საბოლოოდ აქარწყლებს ზღაპარს „ლენინურ კანონიერებაზე"). მასში მიუკიბმოუკიბავად არის ნათქვამი: „რეაქციული ბურჟუაზიისა და რეაქციული სამღვდელოების რაც უფრო დიდი რიცხვის დახვრეტას შეძლებთ, მით უკეთესია. სწორედ ახლა უნდა ვასწავლოთ ჭკუა ამ პუბლიკას, რათა მათ რამდენიმე ათეული წელიწადი რაიმე წინააღმდეგობაზე ფიქრიც კი ვერ გაბედონ".

დიდი რეპრესიების ბორბალმა 1934 წლის 1 დეკემბერს სმოლნში კიროვის მკვლელობამდე ბევრად ადრე დაიწყო ტრიალი (უშუალოდ მკვლელობის შემდეგ შეუდგნენ პარტიისა და სახელმწიფო დაწესებულებების ფარულ წმენდას).

1927 წლის ბოლოს დააპატიმრეს და დასაჯეს 4 ათასი პარტიული მუშაკი. ძირითადად სხვადასხვა ოპოზიციური ჯგუფისა და მიმდინარეობის წევრი.

1928 წელს შეიქმნა „შახტის საქმე". გამოიტანეს 150 სასიკვდილო განაჩენი.

1930 წელის – „პრომპარტიის საქმე". გამოიტანეს 305 სასიკვდილო განაჩენი, მხოლოდ ზოგიერთის მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

1931 წელი – „მენშევიკური პროცესი". ყველა მონაწილე დახვრიტეს.

1933 წელი – „ენერგეტიკაში მავნებლებისა და ჯაშუშების საქმე". 165 დაპატიმრებულიდან სიკვდილით დასაჯეს 83 კაცი, დანარჩენები გადაასახლეს სახალინზე და ტაიგაში.

უკვე 1934 წლის დეკემბერში და, განსაკუთრებით, 1935 წლის დასაწყისში დაიწყო პროცესების მთელი სერია, რომელთა დროსაც ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად აყენებდნენ ტერაქტების მომზადებას და მასში მონაწილეობას.

ერთი საინტერესო დაკვირვება: 1918-1935 წლებში რეპრესიები მოსახლეობის ყველა ფენას შეეხო, მათ შორის, გლეხობას, მუშებს, ინტელიგენციას; 1936-1938 წლების რეპრესიები კი – ძირითადად იმ ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლებაში 1917 წელს მოვიდნენ და თითქმის 20 წელიწადი მართეს ქვეყანა.

ამავე პერიოდის რეპრესიებს ეკუთვნის „მეორე კოლონის" სამხედრო ოპოზიციის განადგურებაც (ტუხაჩევსკი და სხვები). დამახასიათებელი შტრიხი: როგორც მ. შელია იგონებს, 1938 წლის 18 მაისს ჩეკისტებმა კრემლიდან პოსკრებიშევის ხელმოწერით მიიღეს საიდუმლო დირექტივა ოპერაციათა დაჩქარებისა და გამოძიებისათვის უმნიშვნელო სამხედრო პირთა ადგილზე განადგურების შესახებ. დირექტივის ბოლოს ნათქვამი იყო: „ნუ დაელოდებით ჩვენს ბრძანებას, ესროლეთ ყველას, ვინც სიკვდილის ღირსია".

სამხედროთა განადგურების II ეტაპი 1948-1949 წლებში განხორციელდა, მაშინ „გულაგის" ბანაკებს ომგადახდილთა ეშელონები ავსებდა.

კიდევ ერთი დამახასიათებელი შტრიხი, ამჯერად საქართველოს პრაქტიკიდან:

მანუჩარ შელია, საკავშირო მნიშვნელობის ჩეკისტი, გენერალი, ლ. ბერიას მარჯვენა ხელი თბილისშიც და რუსეთშიც, რომლის მემუარებიც „დილის გაზეთში" დაიბეჭდა 1999 წელს, იგონებს, რომ საქართველოში წმენდის ახალი ეტაპი დაიწყო 1925 წელს, როდესაც მოსკოვიდან ახალი დირექტივები მიიღეს. „საიდუმლო განყოფილების" კონსპირაციულ შეხვედრაზე 1925 წლის 18 თებერვალს ბერიამ თავის ხალხს უთხრა: „დღეს, როდესაც ჩვენი სამსახურის უშუალო ჩარევით მოგერიებულია მენშევიკთა აგრესია და დაძლეულია მოიერიშე ელემენტთა ყველა ქმედება, ქვეყანაში მაინც რჩება პოლიტიკურად არამყარი სიტუაცია – ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია კონტრრევოლუციური ძალების არსებობით, მათ შორის აღენიშნავ ეროვნულ-დემოკრატებს და მენშევიკებს. გარდა ამ პოლიტიკური ძალებისა, რომელთა განადგურებაც ჩვენი მთავარი ამოცანაა, მიზნად ვისახავ მოვახდინო იმ ძალების სრული ლიკვიდაცია, რომლებიც 1923-1924 წლებში ჩვენთან დამსმენ-ინფორმატორთა სახით თანამშრომლობდნენ. ეს ეხება პარტიულებს, ყოფილ სამხედროებს, მღვდლებს, დიაკვნებს, მასწავლებლებს და სხვ. ეს პოლიტიკურად არასტაბილური ელემენტები შესაძლოა კვლავ მტრის მხარეს გადავიდნენ. ამიტომ, რაც უფრო ჩქარა გავანადგურებთ მათ, მით უფრო ჩქარა შევძლებთ დარჩენილ პოლიტიკურ პარტიათა ლიკვიდაციას. ყველასგან სრულ მორჩილებას მოვითხოვ. არც ერთი სერიოზული ნაბიჯი ცენტრთან შეუთანხმებლად. არც ერთი შეცდომა და მივიწყებული საქმე. დღეს მივიღე დეპეშა: ამხანაგი სტალინი ჩვენი პარტიული მუშაობით კმაყოფილია და წარმატებებს გვისურვებს".

მაინც რამდენი ათასი ადამიანი მოსპეს, რამდენი მილიონი ჩაალპეს ულმობელი ტოტალიტარული სახელმწიფოს – სსრ კავშირის საკონცენტრაციო ბანაკებში?

სსრ კავშირში არავითარი ოფიციალური და არაოფიციალური სტატისტიკური მონაცემები „დიდი წმენდის" პერიოდში რეპრესირებულთა რაოდენობის შესახებ არასოდეს გამოქვეყნებულა.

ზუსტი ციფრები დღემდე საკამათო და სადისკუსიოა.

საერთოდ, რაც უფრო დიდი მასშტაბი აქვს ხოლმე დანაშაულს, მით უფრო მცირეა ალბათობა, რომ ბრძანება მკვლელობათა შესახებ წერილობით იყოს გაცემული. ამიტომაც რთულდება გამოანგარიშება.

ცნობილი რუსი (რუსულენოვანი) ეკონომისტი ნაუმ იასნი 1951 წელს, ემიგრაციაში ყოფნისას, წერდა, რომ „გულაგში" არ შეიძლებოდა ყოფილიყო 3,5 მილიონზე მეტი პატიმარი.

ემიგრანტები დალინი და ნიკოლაევსკი, რომელთა წიგნიც კლასიკურად ითვლებოდა, ამტკიცებდნენ, ბანაკებში მოხვდა 9-დან 15 მილიონამდე კაცი.

რობერტ კონკვესტი, ასევე კლასიკური წიგნის „დიდი ტერორის" ავტორი, ასახელებს სხვა ციფრს – 5-დან 9 მილიონს.

ა. ანტონოვ-ოვსეენკო – 16-18 მილიონს.

მ. გორბაჩოვისეული „პერესტროიკის" დროს უფრო დიდი ციფრები გამოჩნდა. ბოლშევიკური რეჟიმის მსხვერპლთა საერთო რაოდენობად ანგარიშობენ 60, ან სულაც – 100 მილიონს, ოღონდ მასში ჩართულია ომში დაღუპულებიც, მათი დაუბადებელი ბავშვებიც და ეპიდემიით დახოცილებიც კი.

პროფესორი იგორ ბესტუჟევ-ლადა „სტალინის მსხვერპლთა" რიცხვს 50 მილიონი კაცით განსაზღვრავს („ნედელია" 1988, 16 აპრილი).

ნობელის პრემიის ლაურეატი მწერალი ალექსანდრე სოლჟენიცინი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო რეპრესიისა და ტერორიზმის მსხვერპლი 1917 წლის ოქტომბრიდან 1958 წლამდე გახდა 66700000 ადამიანი.

სერგო ბერია 1994 წელს მოსკოვში გამოცემულ გახმაურებულ წიგნში „მამაჩემი ლავრენტი ბერია" წერს: რუსეთის უშიშროების სამინისტროს მონაცემებით, 1917-დან 1990 წლამდე ყოფილი სსრკ ტერიტორიაზე სახელმწიფო დანაშაულის ბრალდებით გასამართლებული იყო თითქმის 4 მილიონი კაცი, რომელთაგან 827995-ს დახვრეტა მიესაჯა. სინამდვილეში კი მათი რიცხვი, ვისაც „წითელმა ბორბალმა" გადაუარა, განუზომლად მეტია".

მანუჩარ შელია თავის მემუარებში მიანიშნებს, 1918-1922 წლებში დახვრეტილ 18 მილიონ ადამიანზე არანაირი საბუთი და სასამართლო საქმე არ არსებობს. ამ უკანონობათა ინიციატორს ვ. ლენინს ხელს არ აძლევდა სისხლიანი კვალის ოფიციალურ დოკუმენტად ქცევა. ამიტომ იმ წლებში სრული ადმინისტრაციული ანარქია სუფევდა. შემდეგ იგი პარტიული არქივის მონაცემებზე დაყრდნობით ასახელებს, მარტო 1930-1933 წლებში დახვრიტეს 10 მილიონი შეძლებული გლეხი, სრულიად უბრალო მუშების გამო – ისინი კულაკები იყვნენ, ხოლო 1937-1938 წლებში, როგორც „ხალხის მტრები", გაანადგურეს 8-9 მილიონი ადამიანი.

„გულაგის" პატიმართა საერთო კონტინგენტი, 1938 წლის 1 მარტის ცენტრალიზებული აღრიცხვის მონაცემებით, განისაზღვრებოდა 1953400 ადამიანით. აქედან, მარტო შრომა-გასწორების კოლონიებში 364 ათასი კაცი მუშაობდა.

დანაშაულთა ხასიათის მიხედვით, კრემლმა პატიმრები შემდეგნაირად გაანაწილა: კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის – 31,6 პროცენტი (რაც სხვა მონაცემებს ბევრად აღემატებოდა); მმართველობის წესის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის – 5,4 პროცენტი; სპეკულაციისათვის – 3,3 პროცენტი; ქურდობისათვის – 9,72 პროცენტი; სოციალისტური საკუთრების დატაცებისათვის – 1,5 პროცენტი; სამხედრო დანაშაულობებისათვის (იგულისხმება „მეორე კოლონაც") – 28,7 პროცენტი.

ერთი საინტერესო ციფრიც: 1939 წელს „გულაგის" ბანაკთა აგენტურულ-სამაუწყებლო ქსელის ხვედრითი წილი მოიცავდა პატიმართა 8 პროცენტს, ანუ – 139 ათას კაცს. მათ შორის 10 ათასი იყო რეზიდენტი, 4 ათასი – აგენტი, 65 ათასი – ინფორმატორი, 60 ათასი – გაქცევის საწინააღმდეგო აგენტურულ-სამაუწყებლო ქსელი.

1937 წლის 1 იანვრისათვის ბანაკებში ძირითადად ისინი იყვნენ, ვინც იქ 20-იან წლებში მოხვდნენ და 15-20 წელი ჰქონდათ მისჯილი, ე. ი. ისინი, ვინც რეპრესირებული იყვნენ არა „სტალინიზმის" დროს, არამედ „ტროცკიზმის მძვინვარების" ხანაში. მაშინ ხალხს სასაკლაოზე ძერჟინსკი აგზავნიდა, მოგვიანებით – ძერჟინსკი, იაგოდა და ეჟოვი. „გულაგის" უფროსი ამ დროს იყო კოგანი, რომელიც პარტიულმა ელიტამ ლეგენდად აქცია. ამ ადამიანს „ტროცკისეული" იდეები ამოძრავებდა, თუმცა არც „სტალინიზმისთვის" იყო გამოუსადეგარი.

„ტროცკისტების" განადგურების შემდეგ „გულაგის" სისტემის ბანაკები შეივსო 175 488 ადამიანით, მათ შორის თითქმის 80 პროცენტი იყო ის ხალხი, ვინც 1918-1923 წლებში სხვებს აგზავნიდა სასაკლაოზე და უღალატოდ აწერდა ხელს ყველა სისხლიან ბრალდებას.

პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, 1939 წელს გადაისინჯა ნასამართლევი მოქალაქეების საქმეები, რის შემდეგაც „გულაგიდან" გაათავისუფლეს 327 ათასამდე ადამიანი, მათ შორის ბანაკებიდან – 215 ათასი, კოლონიებიდან – 112 ათასი. ოღონდ ისიც აღსანიშნავია, რომ გათავისუფლებულ პატიმართა შორის შინ დაბრუნდა მხოლოდ 42 პროცენტი, რადგან 10-12-წლიანმა პატიმრობამ მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა, რომლებსაც დაგვიანებულმა რეაბილიტაციამ ვეღარ მოუსწრო.

რაც შეეხება სამხედრო დამნაშავეებს, სტატისტიკური მონაცემები ასეთია: 1936 წლის 1 სექტემბრიდან 1939 წლის 1 სექტემბრამდე საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დახვრეტა მიუსაჯა 32683 ადამიანს, ხოლო გადასახლება – 15620-ს. ხოლო 1934-1953 წლებში უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დახვრეტა მიუსაჯა 69980 ჯარისკაცსა და ოფიცერს.

ამჟამად, დღემდე სტატისტიკოსებს არ აქვთ აბსოლუტურად სანდო ციფრები, შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს, რამდენი ადამიანი ემსხვერპლა 20-იანი და 30-იანი წლების უკიდეგანო რეპრესიებს. თუ სტალინი იღებდა კიდეც ყოველკვირეულ ან ყოველთვიურ ანგარიშებს დაპატიმრებებსა და დახვრეტებზე (რაც ერთობ საეჭვოა), სავარაუდოა, რომ ეს დოკუმენტები არ შემონახულა.

**ალეკო ასლანიშვილი.**

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 38.



ამ საიდუმლო საძმო საფლავს 80-იანი წლების დასასრულს შემთხვევით მიაკვლიეს ყოფილ „კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძის" მიდამოებში. ქურდულად დახვრეტილი „ხალხის მტრებისთვის" ნაჩქარევად წაყრილმა მიწამ ბოლომდე არ შეინახა საიდუმლო და საამკარაოზე გამოიტანა ნაკაცართა ავბედითი ნამოქმედარი.

რამდენი ასეთი საძმო საფლავი იყო – ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიის პროფესორი ავთანდილ ციბაძე იგონებს: როცა ჩვენი სასწავლებლის შენობის საძირკველს თხრიდნენ 1948 წელს, უამრავი ძვალი და თავის ქალა ამოყარეს. ხალხი დაბეჯითებით ამბობდა, ესენი 1924 წლის მსხვერპლნი არიანო (ვაკის ეს ტერიტორია მაშინ ხომ ქალაქიდან გვარიანად იყო დაცილებული). ორგანოს მუშაკები მოცვივდნენ და სასწრაფოდ მიაფარეს თვალს უხერხული „ნივთმტკიცებაო".

დახედეთ ამ ფოტოს და თავი დახარეთ წამებულ ადამიანთა ნეშტების წინაშე.

ფოტო გადაღებულია 1990 წელს, დოკუმენტური კინოსტუდია „მემატიანის" მიერ მონაკვლევი კინომასალიდან.

## წიგნი

თავის მართლებას აზრი არ ჰქონდა, მით უმეტეს, სიმართლის თქმას. თავადაც რომ არ სურდა, ისე მოექცა ვითარებით დაგებულ მახეში. თავისი ყოველი კაპრიზის დაკმაყოფილებას მიჩვეულ ქალს არ ესმოდა, თუ მის დაჟინებას რატომ უარყოფდა ეს უცნაური ტიპი. სწორედ ეს გაუგებრობა აღვივებდა უფრო მეტ ინტერესს, იმის გარკვევის ინტერესს, თუ იგი ასე რატომ იქცეოდა.

– თქვენ ჩემს გამო მიემგზავრებით? ალბათ, ფიქრობთ, რომ მე მეტად დაჟინებული ვარ? – ოდნავ რომ გაწითლდა, ისე იკითხა ქალმა.

– რასაკვირველია, არა, – მძიმედ ამოიოხრა დრონგომ, – ასეთი რამ როგორ იფიქრეთ? სხვა დროსა და სხვა ვითარებაში მე ყველაზე ბედნიერად ჩავთვლიდი თავს. მაგრამ დღეს ყველაზე უბედური ადამიანი ვარ დედამიწაზე იმის გამო, რომ იძულებული გავხდი, ასე მოვიქცე. მაპატიეთ და გამიგეთ, თუ შეგიძლიათ.

ქალი მას შეჰყურებდა და უკვე აღარაფერს ეკითხებოდა. შემდეგ უცებ ადგა სავარძლიდან.

– მომიცადეთ, – თქვა მან, – ჩემთან, ნომერში ორქიდეა მაქვს, თქვენ გაჩუქებთ. ჩემს სამახსოვროდ დაგრჩებათ.

ის სწრაფად გაიქცა თავისი ნომრისაკენ. დრონგო ადგილზე გამეშებული იდგა. ერთი წუთის შემდეგ ქალი დაბრუნდა და მას ყვავილი გაუწოდა.

– ის უკვე გახმა, ამიტომაც სუნი აღარ აქვს, სამაგიეროდ დიდხანს შეინახება, – თითქოს თავს იმართლებსო, ისე თქვა ქალმა.

დრონგომ ნაზად გამოართვა ყვავილი, ჩადო პატარა ჩანთაში, მუდამ თან რომ დაჰქონდა.

– მე მას შევინახავ, – დაჰპირდა იგი.

– მე პარიზში სახლი მაქვს, – უთხრა ქალმა, – აი, ჩემი სავიზიტო ბარათი, აქ მითითებულია მისამართი და ტელეფონი. თუ როდესმე პარიზში იქნებით, შეგიძლიათ, დამირეკოთ.

მან ბარათი გამოართვა, ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ დაიხარა და ხელზე აკოცა. ქალმა რაღაცნაირი მოძრაობა გააკეთა, თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ დერეფანში მისი მცველები გამოჩნდნენ და მანაც ნებისყოფა რომ მოიკრიბა, გამოსამშვიდობებლად მხოლოდ გაუღიმა.

– ნახვამდის.

დრონგომ უცებ გაიფიქრა, რომ შეუძლია, ყველაფერი მიატოვოს და დარჩეს. დარჩეს ამ ოტელში კიდევ ერთი დღე და კიდევ ერთი ღამე. ბოლოს და ბოლოს, ის ცოცხალი ადამიანია და უფლება აქვს, ჩვეულებრივი ადამიანივით იცხოვროს. მაგრამ თუ აქ დარჩება, მაშინ მკვლელებს „ნეგრესკოში" მოსვლაც შეუძლიათ. ხოლო მაშინ მორიგ მსხვერპლად, შეიძლება, ეს ლამაზი ქალი იქცეს, მას ასე რომ მოსწონს.

დრონგომ მშვენივრად იცოდა, რომ ეს ყველაზე რეალურია ამ სიტუაციაში. სწორედ ამიტომაც კიდევ ერთხელ ნაძალადევად გაიღიმა და ლიფტისაკენ წავიდა.

დაბლა, ჰოლში, მას მოუთმენლად ელოდა პურგინასი. ლიფტიდან გამოსული დრონგო რომ დაინახა, მის შესახვედრად გაეშურა.

– ვიფიქრე, რაღაც დახმარება დაგჭირდებოდათ, – ხმადაბლა თქვა პურგინასმა, – იქნებ, პირადი იარაღი გჭირდებათ თავდასაცავად? ამის გაკეთება შემიძლია.

– გმადლობთ, – თავისი ბარგი შვეიცარს რომ გადასცა, დრონგომ გასასვლელისკენ გასწია, – მე უიარაღოდ ყოფნას ვამჯობინებ. ასე უფრო მშვიდად და იმედიანად ვარ.

– კი, კი, რასაკვირველია, – დაეთანხმა პურგინასი, უკან რომ მისდევდა.

სადარბაზოსთან დრონგოს ტაქსი უკვე ელოდებოდა. ის შემობრუნდა, რათა პურგინასს გამომშვიდობებოდა, ამ მომენტში მან იკივლა:

– დაწექით!

იქვე მიმავალი მანქანიდან სროლა გაისმა. ხუთი-ექვსი გასროლა. პურგინასმა ხელი ჰკრა დრონგოს და თვითონაც მიწაზე გაიშხლართა. მანქანა, საიდანაც უცნობი ისროდა, სწრაფად გაქრა, დრონგომ თავი წამოსწია და მოასწრო დაენახა, რომ თეთრი „ნისანი" იყო.

ის ფეხზე წამოდგა. ირგვლივ ყვიროდნენ და წრიალებდნენ.

– სასწრაფოდ გაემგზავრეთ, – უბიძგა მანქანისკენ პურგინასმა, – თქვენს გვერდით დგომაც კი სახიფათოა.

– გმადლობთ ხელის კვრისათვის, – დრონგომ მას ხელი გაუწოდა და მაგრად რომ ჩამოართვეს, იგი მანქანაში ჩაჯდა, – მონტე-კარლოში, – უბრძანა მძღოლს.

უკვე რომ დაიძრნენ, მან დაინახა, როგორც უხსნიდა რაღაცას პურგინასი წამოსწრებულ პოლიციელებს.

### თავი XXXIX

მონაკოში ისინი ნახევარ საათში ჩავიდნენ. ტურისტული ბიურო აღარ მუშაობდა და დრონგომ სთხოვა მძღოლს ცნობილი კაზინოს გვერდით მდებარე ოტელ „მალიბუში" წაყვანა. თვით კაზინოს შენობა ორი იყო. ერთი, დიდებული სასახლის მსგავსი, სანაპიროზე გადიოდა და ფასიანი იყო. მაგრამ მონტე-კარლოს სამი ყველაზე ძვირი ოტელის, „მალიბუს" ჩათვლით, კლიენტები შესასვლელ ფულს არ იხდიდნენ, რადგან ეგრეთ წოდებული „სტუმრის ოქროს ბარათს" ფლობდნენ.

მეორე კაზინო, სახელწოდებით „პარიზული კაფე" დიდი შენობის მარცხნივ იყო. მასში უფასოდ უშვებდნენ. აქ ძირითადად პოკერს, ბლეკ-ჯეკსა და სხვა მსგავს თამაშებს თამაშობდნენ. ვესტიბიულში იყო სუვენირების პატარა მაღაზიები, სხვადასხვა ნაყალბევით რომ ვაჭრობდნენ.

ოტელ „მალიბუში" რომ მივიდა, მან ნომერი აიღო და სხვა, ორ სასტუმროში დარეკა, რათა პორტიესაგან გაეგო, რომელიმე მათგანში ხომ არ ცხოვრობდა სტუმარი – ვიარად სემიონოვი. მას გაუმართლა.

– ცხოვრობს, – თავაზიანად აცნობა ოტელ „ერმიტაჟის" პორტიემ – მეხუთე სართულზე, ამ დილით ჩამოვიდა.

– გმადლობთ, – უთხრა დრონგომ. ახლა ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა.

მან ჩემოდანი „მალიბუში" დატოვა, ჩანთა აიღო და ოტელიდან გავიდა. ყველგან ანათებდა კაზინოს რეკლამის ნეონის სინათლე. შენობის წინ მოედანი ლუქსის კლასის ძვირფასი ავტომანქანებით და სარბოლო მანქანებით იყო გაჭედილი. დაცვის თანამშრომლები ფუსფუსებდნენ. სათამაშო დაწესებულებიდან ცოტა ზევით შადრევნები იყო. მაგრამ პარკებში კაციშვილი არ დადიოდა. აქ იმიტომ კი არ ჩამოდიოდნენ, რომ დასვენებით დამტკბარიყვნენ. აქ ჩამოდიოდნენ ერთადერთი ჟინით აღგზნებულნი. თამაშის ჟინით.

მან გულგრილად ჩაუარა ენებით აქოთქოთებულ შენობას. კაზინოში ღამის ცხოვრება ჩქეფდა. ოტელი „ერმიტაჟი" მეზობელ ქუჩაზე მდებარეობდა. ეს იყო დაბალი, უცნაურად დაგრეხილი შენობა, რომლის ფანჯრები ყურეზე გადიოდა. ოტელში გადასარევი რესტორანი იყო და ლაჟვარდოვანი სანაპიროს სხვადასხვა მხრიდან აქ ჩამოდიოდნენ, რათა მეგობრებთან ევახშმათ ან ესადილათ. ამ დაწესებულების ფუფუნება და კომფორტი ისევე კარგად იყო ცნობილი, როგორც ოტელი „ნეგრესკო" ნიცაში.

დრონგო შევიდა და სთხოვა ნომრის გამოყოფა სადღაც მეხუთე სართულზე. პორტიეს ასეთი თხოვნა არ გაკვირვებია.

დრონგომ მიიღო ხუთას ორმოცდამეხუთე ნომრის მაგნიტური ბარათი და ლიფტისკენ წავიდა. პორტიეს არ გაკვირვებია, რომ სტუმარს ბარგი არ ჰქონდა და მხოლოდ ერთი ჩანთით მოვიდა. ზოგიერთი მოთამაშეს ისე გაიტაცებდა ხოლმე თამაში, რომ ამჯობინებდნენ უახლოეს ოტელში გაჩერებას, რათა მეორე დღეს ისევ დაეწყოთ თამაში.

დრონგო ლიფტით მეხუთე სართულზე ავიდა. გრძელ, რამდენადმე მოღუნულ დერეფანში იგი დიდხანს მიდიოდა თავისი ნომრისაკენ. ყველა სართულზე ცნობილი ხალხი ცხოვრობდა. დრონგოს ნომრის გვერდით იყო პრინც ლუი დე პოლინიაკის აპარტამენტები, რასაც კარზე მიკრული ფირნიში მოწმობდა. დრონგომ ბარათი ამოიღო და კარი გააღო. ფართო ჰოლი, დიდი ოთახი სარკიანი კარადებით და ყურეზე გამავალი ორი აივნით, ოთახს სასახლის ანსამბლის რაღაც ნაგლეჯის იერს აძლევდა. სამყაროს ამ ნაწილში მეცხრამეტე თუ მეთვრამეტე საუკუნიდან რომ შემონახულიყო.

ახლა სემიონოვის ოთახის შემოწმება იყო საჭირო. მან ტელეფონის ნომერი აკრიფა, მაგრამ მან არ უპასუხა. ალბათ, მონტე-კარლოს აზარტი ყოფილ ლიკვიდატორსაც გადაედო. თუ მაირი სწორია, მაშინ ის ახლა კაზინოში უნდა იყოს. დრონგომ საათზე დაიხედა. დილის ხუთი საათია. მას ჩანთაში ედო პატარა დეშიფრატორი, მაგნიტური ბარათის გარეშე ყველა კარის გაღება რომ შეეძლო. მან დეშიფრატორი აიღო და დერეფანში გავიდა. დილის ხუთ საათზე ოტელებში ჩვეულებრივად სიწყნარე მეფობდა. ის მივიდა ნომერთან, რომელშიც სემიონოვი ცხოვრობდა, დარეკა. ყოველ ნომერს თავისი ინდივიდუალური ზარი ჰქონდა, რათა სხვა სტუმარი არ შეეწუხებინათ. ერთხელ კიდევ დარეკა. ისევ არავინ უპასუხა. მიმოიხედა. დრონგომ დეშიფრატორი ამოიღო და საკეტს მიადო. საკეტი გატკაცუნდა, ის ნომერში შევიდა, იქ არავინ იყო. ჩვეულებრივი ნომერია, მისას რომ ჰგავს, მხოლოდ ერთი აივანი აქვს. მან სარკიანი კარადა გააღო და ორი დიდი ტყავის ჩემოდანი დაინახა.

დრონგო ჩემოდნების წაღებას არ ჩქარობდა. მან ისევ დაკეტა კარადის კარი. წინ ბრძოლის მთავარი რაუნდი იყო. მისთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ დოკუმენტების პოვნა კი არ იყო, მისთვის უმთავრესი იყო დაემტკიცებინა თავისი, როგორც საუკეთესო ანალიტიკოსის, რენომე, ახლაც მთელი სიტუაცია თავიდან ბოლომდე რომ გაითვალა.

იგი მაგიდასთან მივიდა და უბის წიგნაკი დაინახა; ალბათ, სემიონოვს დარჩა. მასში მისი მეგობრებისა და ნაცნობების ტელეფონები ეწერა, მხოლოდ ტელეფონები მისამართებისა და გვარების გარეშე. დაინტერესებულმა დრონგომ უბის წიგნაკი გადაფურცლა. მისი ყურადღება ერთმა ტელეფონმა მიიპყრო. ის იყო ტელეფონი ვილნიუსში და დრონგომ იცოდა, ვის ეკუთვნოდა ის. თანდათან ყველაფერი თავის ადგილს იკავებდა. მან უბის წიგნაკი თავის ადგილზე დადო და ნომრიდან გავიდა.

თავისი ნომრის კარზე ჩამოკიდა ფირფიტა „არ შემაწუხოთ" და დრონგო დაბლა ჩავიდა. სანამ ქუჩაში გავიდოდა, მორიგე გააფრთხილა, – არ შეეწუხებინათ ხვალ დილით და საღამოსაც. ის ინგლისურად ელაპარაკებოდა. ქალიშვილმა კი მოულოდნელად რუსულად უპასუხა.

– ყველაფერი მესმის, – თქვა ქალმა. – თქვენი პასპორტი ვნახე, თქვენ აქამდე ისევ საბჭოთა კავშირის პასპორტი გაქვთ?

– მგონი, ასეა, ასე კარგად საიდან იცით რუსული ენა? – დაინტერესდა დრონგო.

– მე ჩეხი ვარ. ლუისა მქვია და აქ ვმუშაობ. საფრანგეთში ვცხოვრობ, მონაკოში კი ვმუშაობ.

– არ გიჭირთ?

– უკვე მივეჩვიე, – გაიღიმა ქალიშვილმა, – დილით შევიცვლები.

– წარმატებას გისურვებთ, ლუისა, – უთხრა დრონგომ გამომშვიდობებისას.

– თქვენც, – თქვა გაღიმებულმა ქალიშვილმა.

ის ოტელ „მალიბუში" დაბრუნდა და მკვდარივით დაიძინა. თავი იჩინა ბოლო დღეების დაძაბულობამ. დღის სამი საათისათვის გაეღვიძა. პირდაპირ ნომერში ისადილა. არავის ნახვა და მოსმენა არ უნდოდა.

შემდეგ მაირ კასლანლის დაურეკა „ნეგრესკოში".

– ყველაფერი მიატოვე და ჩემთან ჩამოდი. ოღონდ გზად ორი დიდი ჩემოდანი იყიდე. სასურველია, ფირმა „დელსეის" ან მისი მსგავსი იყოს. თან ჩამოიტანე.

– ცარიელი ჩემოდნები? – გაუკვირდა მაირს.

– არა, ცარიელი კი არა. გზაში, რაც კი შეგხვდება, იყიდე ძველი გაზეთები და ჩემოდნები გატენე.

– კარგი, ჩამოგიტან, სად გაჩერდი?

– ოტელ „მალიბუში".

– მე კი მეგონა, „ოტელ დე პარიში" – გაიცინა მაირმა. ეს ორი ოტელი, „ერმიტაჟთან" ერთად, შეადგენდა მონაკოს ოტელების „დიდ სამეულს", იქ ცხოვრება დღე-ღამის ნებისმიერ დროს კაზინოში უფასოდ შესვლის უფლებას იძლეოდა.

თარგმნა **ვალიკო სიმონიშვილმა.**

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" 2000 წ. № 313-321, 323-334, 337, 339; 2001 წ. № 2-6, 8-28, 30-32, 34-38.

**ჩინგიზ აბდულაევი**

## „გუშინდელი დღე მოძს ხვალეს"



## გვეხმაურებიან

# ენერგეტიკის გადარჩენა ქვეყნის დამოუკიდებლობის გადარჩენაა

წლეულს, 17 იანვარს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა ბატონ ჯემალ გახოკიძის წერილი „ქართული სახელმწიფოს მშენებლობა და ქვეყნის უსაფრთხოების „მცირე კონსტიტუცია"". წერილი იმდენად აქტუალური და სიღრმისეულია, გადავწყვიტე, გამოვეხმაურო.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ წინასაარჩევნო პროგრამაში ჩამოყალიბებული ოთხი უზოგადესი პრინციპიდან, რომელიც პრაქტიკულად ოთხ პრიორიტეტულ მიმართულებას განსაზღვრავს, ყურადღებას ერთზე გავამახვილებ, კერძოდ, პირველ პრიორიტეტულ მიმართულებაზე, რომელიც უშიშროების პოლიტიკის შემუშავება გახლავთ.

ამ მიმართულებით ძალზე საყურადღებოა ბატონ ჯემალ გახოკიძის იმ პროგრამული თეორიული პრინციპის გამოყენებით პოლიტოლოგიური ფორმით მოცემული ინტერპრეტაცია, რომელიც ეხება საქართველოს პრეზიდენტის მიერ გლობალურად დაყენებული ახალი პოლიტიკის შემუშავების ამოცანას. საკითხი ეხება იმას, რომ ახალი პოლიტიკის შემუშავების გლობალური ამოცანა გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე ეს ქვეყნის თავდაცვა და უშიშროებაა. თუ ამოვალთ იქიდან, რომ ქვეყნის უსაფრთხოება ეს არის, ქვეყნის სახელმწიფოებრივად ორგანიზებული სისტემის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ღონისძიებათა კომპლექსი, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის უსაფრთხოება, ქვეყნის თავდაცვასა და უშიშროებასთან ერთად, წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ქვეყნის სოციალური უსაფრთხოების არა უბრალო არითმეტიკულ ჯამს, არამედ მრავალმხრივ, მრავალჯერად და მრავალგვარ სინთეზს, რომელიც ძალზე მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც მხოლოდ თავის ერთ-ერთ სფეროდ მოიაზრებს ქვეყნის თავდაცვასა და უშიშროებას. სწორედ ამიტომ, რამდენადაც „ახალი პოლიტიკის შემუშავება" პრეზიდენტის მიერ გლობალურ ასპექტში არის განხილული, პრეზიდენტის პროგრამის ეს პირველი პრიორიტეტული მიმართულება უნდა გავიაზროთ, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების „მცირე კონსტიტუცია".

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის უსაფრთხოება შინაარსობრივად მოიცავს ქვეყნის უშიშროებასაც და ამასთანავე, იგი გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებასაც. საკითხი იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება, ვთქვათ, ეკონომიკური უსაფრთხოების ქვეშ, ეს ცალკე თემაა, ისევე როგორც სოციალური უსაფრთხოება და ამაზე ახლა არ შევჩერდებით. აქ მთავარია იმის კარგად გააზრება, რომ შინაარსობრივად ქვეყნის უსაფრთხოება მოიცავს ქვეყნის უშიშროებას.

თუ გავითვალისწინებთ ამ ორი სიტყვის „უსაფრთხოება" და „უშიშროება" ეტიმოლოგიას, ისინი სინონიმებს წარმოადგენენ. მაგალითად, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში" სიტყვა „უშიშროება" განმარტებულია, როგორც „მდგომარეობა, როდესაც რისიმე საფრთხე არ არსებობს" (გვ. 436), ხოლო სიტყვა „უსაფრთხოება, უსაფრთხოობა იგივეა, რაც „უსაშიშროება". სიტყვა „უსაშიშროება, უსაშიშროობა – 1. უსაშიშროს თვისება. 2. საშიშროებისაგან დაცვის უზრუნველყოფა" (იქვე, გვ. 433).

რუსულში, ყველა შემთხვევაში გამოიყენება სიტყვა „безопасность", რომელიც ოჟეგოვის რუსული ენის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „положение, при котором не угрожает опасность кому-чему-л" (გვ. 33).

ინგლისურად „безопасность" – არის „Safty", „государственная безопасность" – „State security", მაგრამ „охрана государственной безопосности" – ეს არის „Defence", ანუ ქართულად – თავდაცვა.

ამგვარად, შინაარსობრივი განსხვავება ტერმინებში „ქვეყნის უსაფრთხოება" და „ქვეყნის უშიშროება" ნამდვილად არსებობს იმ გაგებით, რომ პირველი მოიცავს მეორეს ზემოთგანხილული აზრით. მიუხედავად იმისა, რომ ეტიმოლოგიურად სიტყვა „უსაფრთხოება" სიტყვის „უშიშროება" – სინონიმია, ქართული ენა, რუსულის და ინგლისურისგან განსხვავებით, საშუალებას გვაძლევს თითოეულ შემთხვევაში განსხვავებული სიტყვა ვიხმაროთ.

შეიძლება დაიბადოს კითხვა, თუ რატომ უნდა ვიხმაროთ მაინცდამაინც სიტყვა „უსაფრთხოება" უფრო ფართო ცნების აღსანიშნავად და არა სიტყვა „უშიშროება". აქ, ჩვენი აზრით, ორი არგუმენტი შეიძლება მოვიყვანოთ პირველის სასარგებლოდ. როგორც ბატონი ჯემალი წერილის დასაწყისში მიუთითებს „.... ყველა ხალხი სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძვლად, უპირველეს ყოვლისა, უსაფრთხოებას ხედავდა". ანუ ეს საკითხი ისტორიულად, ათასწლეულების მანძილზე, ასე განიხილებოდა – უსაფრთხოების ქვეშ ხალხი როგორც გარეშე მტრებისგან თავის დაცვას, ასევე შიდა პრობლემების გადაჭრასაც გულისხმობდა. რაც შეეხება უშიშროებას, ამის ქვეშ ტრადიციულად ქვეყნის თავდაცვა, ანუ გარეშე მტრებისგან ქვეყნის დაცვა იგულისხმებოდა.

ამ გარემოების შემდეგ, ჩვენი აზრით, უკვე ყველაფერი ნათელი და ადვილად გასაგები ხდება. მართლაც, „მცირე კონსტიტუცია", რომელსაც პრეზიდენტის პროგრამაში უშიშროების კონცეფცია ეწოდება, წარმოადგენს არა ძველსაბჭოურ სამხედრო დოქტრინას, რომელიც მთლიანად დამყარებული იყო ძალაზე და ძალოვან სტრუქტურებზე, როგორც ამას სავსებით სამართლიანად შენიშნავს ავტორი, არამედ იგი „.... შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მიმდინარე გარდამავალი პერიოდის არა ცალკეული რომელიმე სფეროს, არამედ ქვეყნის სამომავლო საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების მთელი კომპლექსის ამსახველი დოკუმენტი". ანუ, თუ ავტორისვე სიტყვებით ვისარგებლებთ, ეს არის ის გლობალური დოქტრინა, რომელსაც ჩვენს მიერ ზემოთგანხილული მიდგომის აღიარების შემთხვევაში „ქვეყნის უსაფრთხოების დოქტრინა" შეიძლება ვუწოდოთ.

მეორე საკითხი, რომელსაც აქ შევეხებით, გახლავთ ის, რომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ (დიახ, ვისწავლოთ) ჩვენს მეზობლად, ღვთის განგებით განსაზღვრული, ტერიტორიულად და მოსახლეობითაც ჩვენზე გაცილებით დიდ ქვეყნებთან თანაარსებობა.

მიუხედავად იმისა, და, ალბათ, სწორედ იმიტომაც, რომ ჩვენი ქვეყნის სამხედრო-თავდაცვითი პოტენციალი, როგორც სხვა მრავალი მცირერიცხოვანი ერების, გარკვეულწილად შეზღუდულია, ჩვენ უნდა ვისწავლოთ თანაარსებობა დიდ (ზემოხსენებული აზრით) მეზობელ ქვეყნებთან. ამისთვის კი, როგორც აღნიშნავს ავტორი, ქვეყნის უსაფრთხოება უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარებისადმი, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი კომპლექსურ და დაბალანსებულ მიდგომას.

საშინაო პოლიტიკაში პრიორიტეტებზე საუბრისას ავტორისეული მიდგომა ენერგეტიკის მნიშვნელობაზე სრულიად სამართლიანი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ძალზე დროულია. ის სრულიად წარმოუდგენელი და ამასთან, გაუგებარი ენერგეტიკული კრიზისი, სადაც კორუფცია თავის აპოთეოზს აღწევს, ქვეყნის უსაფრთხოებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე „.... წმინდა სამხედრო-თავდაცვითი ღონისძიებები".

არ იქნება გაზვიადებული, თუ ვიტყვით, რომ დღეს ენერგეტიკის გადარჩენა ქვეყნის დამოუკიდებლობის გადარჩენაა; მისი ამუშავება და ხალხის სამსახურში ჩაყენება – საქართველოს გადარჩენაა, მისი უკეთესი ხვალინდელი დღის საწინდარია.

სწორედ ამიტომ, „ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში" ამ პრობლემის გადაჭრას განსაკუთრებული ყურადღება და ადგილი უნდა დაეთმოს. დღეს კი, საკითხის განუზომელი მნიშვნელობის გამო, ენერგეტიკის სფერო უშიშროების საბჭოს უშუალო დაქვემდებარებაში უნდა გადავიდეს, მასში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბების წინაპირობით.

**თამაზ აძუბარდია,**
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# სახიობა

თეატრალური გაზეთი

„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველთვიური დამატება

2001 წ. 17 თებერვალი.

№2 (38)


...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა [illegible] ერისათვის. [illegible] რა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

**სანდრო ახმეტელი.**

**მოგონებანი ავტოგრაფითურთ**

**რუბრიკას უძღვება ნანა ღვინეფაძე**

# მისი სახე ცოცხლობს მაყურებელთა ხსოვნაში



ა. ხორავას ხსოვნის საღამო. 1975 წ.

...დღემდე ვინახავ ერთ ძვირფას რელიკვიას – ეს გახლავთ ი. ალტმანის მონოგრაფია – „აკაკი ხორავა“ (მოსკოვი, 1947 წ.), რომელიც მომიძღვნა ბატონმა აკაკიმ ასეთი წარწერით:

„ჩემო გოგი! დიდი იმედი მაქვს შენი. დარწმუნებული ვარ, რომ შენ უთუოდ გახდები დიდი სასახელო მოღვაწე-მსახიობი ქართული თეატრისა კერძოდ და საბჭოთა ხელოვნებისა საერთოდ. მე მჯერა შენი. იბრძოლე იმისათვის, რომ მომავალმა შენმა თაობამ არ გაიმეოროს ის შეცდომები და ნაკლები მუშაობაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაიც გააჩნდა და გააჩნია ჩემი თაობის სცენის მოღვაწეთ. შენი მოღვაწეობის საზეიმო დღეებში მომიგონებდე როგორც შენს მოსიყვარულე ამხანაგს და მეგობარს“.

**აკაკი ხორავა.**

1947 წ. 24X.



ქართული თეატრის ტიტანთა შორის აკაკი ხორავას ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ადგილი უკავია.

იჩო, კარლ მოორი, ბერსენევი, ანზორი, პლატონ კრეჩეტი, არსენა, ოტელო, დიდი ხელმწიფე, გენერალი მურავიოვი, ოიდიპოსი... და მაინც, ყველაზე დიდი საოცრება მისი ოტელო იყო.

აკაკი ხორავამ ოტელო პირველ წარმოდგენებზე ვერ მოდრიკა. მერე კი თანდათან მეთოდურად დაძლია და უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. შეიძლება ითქვას, რომ მე მომსწრე ვარ ხორავას ოტელოს თანდათანობითი ზრდისა და მისი საქვეყნოდ აღიარებისა.

აკაკი ხორავა მაშინ 44 წლის იყო. ათლეტური აგებულებისა, ახოვანი, მაღალ ფეხებზე მდგარი, წელში გამოყვანილი, ოდნავ გამხდარი. განუმეორებელი ხმის ტემბრი ჰქონდა. ბევრი მსახიობი მინახავს სცენაზე, მათ შორის ბევრი საინტერესო და დიდებული სცენური მონაცემების მქონე, მაგრამ აკაკი ხორავას ხმის ტემბრის მსგავსი არსად შემხვედრია. ასეთი ხმა მხოლოდ ხორავას ჰქონდა. საოცრად სასიამოვნო, მუსიკალური და ხავერდოვანი.

თვალწინ მიდგას ერთი შეხვედრა. მეცხრე კლასის მოსწავლე ვიყავი, მე და მამაჩემი, მწერალი და თეატრალი ლადო გეგეჭკორი, რუსთაველის გამზირზე მოვდიოდით. გზად ორი უზარმაზარი კაცი შემოგვხვდა. მამამ გამაცნო – შალვა დადიანი და აკაკი ხორავა იყვნენ. საშინლად ავღელდი. ჩემს წინ იდგა ორი ბუმბერაზი. აღელვება და განცვიფრება გაორკეცდა, როდესაც მათ საუბარში მამაჩემიც ჩაერია და ლაპარაკი მეგრულად განაგრძეს.

1940 წლის სექტემბრიდან რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი. ამ დღიდან მოყოლებული „ოტელოს“ არც ერთი წარმოდგენა არ გამიცდენია, ხოლო მომდევნო წლებში, როცა უკვე რუსთაველის თეატრის მსახიობი ვიყავი, წილად მხვდა ბედნიერება აკაკი ხორავასთან ერთად გამოვსულიყავი სცენაზე. „ოტელოში“ ჯერ მონტანოს ვთამაშობდი, ხოლო შემდეგ, 1957 წელს მოსკოვში მსახიობთა სახლში გამართულ აკაკი ხორავას შემოქმედებით საღამოზე იაგო ვითამაშე. ეს სცენა მაშინ მოსკოვის ტელევიზიითაც გადასცეს.

1947 წელს რუსთაველის თეატრი მოსკოვს ეწვია საგასტროლოდ. წარმოდგენები სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის შენობაში იმართებოდა. დარბაზში 1800 კაცი ეტეოდა. წარმოდგენებს დიდი წარმატება ხვდა წილად. მაგრამ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ეს გასტროლები მაინც აკაკი ხორავას ბუმბერაზ მსახიობად აღიარების დიდებული დადასტურება იყო.

პირველ წარმოდგენაზე ანტრაქტის დროს კულისებში შემოვიდნენ გიორგი ტოვსტონოგოვი (იგი ახალი გადასული იყო თბილისიდან მოსკოვში) და სოლომონ ვირსალაძე (მან ჩვენი სპექტაკლი „დიდი ხელმწიფე“ გააფორმა). ორივე აღელვებული და გახარებული იყო.

ტოვსტონოგოვმა დაბეჯითებით განაცხადა: აკაკი ხორავა ბრწყინვალე რეპერტუარით წარსდგა მოსკოველების წინაშე – დიდებული ივანე მრისხანე და გენერალი მურავიოვი, ტრამპლინია უდიდესი ნახტომისათვის, ოტელოსათვისო. მისი წინასწარმეტყველება გამართლდა.

დიდძალი ხალხი დაესწრო „ოტელოს“. გეგმით ოთხჯერ უნდა წარმოგვედგინა, მაგრამ თეატრალური საზოგადოებრიობის მოთხოვნით ხუთჯერ ვითამაშეთ.

იმ დღეს წარმოდგენიდან თავისუფალი ვიყავი და თვალყურს ვადევნებდი სცენას და მაყურებლებს, – როგორც იტყვიან, დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა. ვინც კი ბილეთი იშოვნა, „დიდი ოტელოს“ სანახავად მოვიდნენ.

იმ წარმოდგენის ყველა მაყურებელი დამემოწმება, რომ მსგავსი სასწაული იშვიათად უნახავს. როგორც არასდროს, ისე იყო მობილიზებული წარმოდგენის ყველა მონაწილე, ხოლო აკაკი ხორავა – ოტელო და აკაკი ვასაძე – იაგო ხომ რაღაც განსაკუთრებული შთაგონებით თამაშობდნენ. ასე მკვეთრად და თანამიმდევრულად არასოდეს ჩაუტარებიათ ეჭვიანობის ჩასახვის სცენა მესამე და მეოთხე მოქმედებაში, როგორც იმ საღამოს... სცენაზე იდგნენ კოლოსები, განსაკუთრებით ოტელო – ხორავა...

თითქოს ქარიშხალი ამოვარდაო, ერთხმად დაიგრგვინა მთელმა დარბაზმა და არც აპირებდა გაჩერებას; ვერ მოვთვლი, რამდენჯერ გახსნეს და დახურეს ფარდა... „ხორავა! ხორავა! ხორავა!“ – ისმოდა ყოველი მხრიდან.. წასვლა არავის უნდოდა...

კულისებში აკაკი ხორავას საკაბინეტოსთან ხომ ტევა არ იყო, ვის არ ნახავდით იქ – გამოჩენილ მწერლებს, კომპოზიტორებს, რეჟისორებს, მსახიობებს, მხატვრებს, მეცნიერებს... ყველანი მდაბლად უხრიდნენ თავს დიდებულ ხორავას.

გარეთ, ქუჩაში დემონსტრაცია გეგონებოდათ. გამოვიდა ბატონი აკაკი და ატყდა ტაში. სასტუმრო „მოსკოვამდე“ მიაცილეს თაყვანისმცემლებმა და ახალგაზრდა სტუდენტებმა დიდ მსახიობად აღიარებული აკაკი ხორავა...



აკაკი ხორავა – ივანე მრისხანე, გიორგი გეგეჭკორი – ივანე ბატონიშვილი („დიდი ხელმწიფე“).

სოლოვიოვის „დიდ ხელმწიფეს“ (დადგმა ა. ვასაძისა) რუსთაველის თეატრის რეპერტუარში მეტად თვალსაჩინო ადგილი ეჭირა.

მე ივანე ბატონიშვილს ვთამაშობდი. ორ სცენაში ვიყავი დაკავებული. მეოთხე სურათში პირველი სცენა შუისკისთან მქონდა (მას შესანიშნავად ანსახიერებდა ბატონი აკაკი ვასაძე), შემდეგ ივანე მრისხანესთან. ეს იყო მამის დარიგება, ხელმწიფის ალერსი. ხორავა – მრისხანე დაბალ სავარძელში ჯდებოდა, მომიხმობდა, მე მუხლს ვიყრიდი მის წინაშე, მას კი ორივე ხელით ჩემი სახე ეჭირა. თვალებში შემომცქეროდა და ჭკუას მარიგებდა. მერე მკერდზე მიმიკრავდა და მოფერებით მიამბობდა რუსეთის ბედზე, მომავალზე, თავის დიდ მიზნებზე. სულგანაბული ვუსმენდი ხოლმე, როგორც ბატონიშვილი ივანე და ამავე დროს, როგორც მსახიობი. ვნეტარებდი მისი ხმის გამგონე: ყური ხომ მის ფართე მკერდზე მქონდა მიდებული. ამ მკერდიდან ისეთი ხმა მოედინებოდა, გეგონებოდა ორკესტრი ჟღერსო და უხილავი რეზონატორები ამ საზღაპრო მუსიკალური ხავერდოვანი ბუბუნის ექოს გამოსცემენო. იმ წუთებში მე ამ განსაცვიფრებელი ხმის ტყვე ვიყავი.

ამ სპექტაკლთან დაკავშირებულია რამდენიმე კურიოზული შემთხვევა: მეცხრე სურათი „დიდი ხელმწიფიდან“. ბოიარების თავყრილობა მეფის სასახლეში, პოლონელთა ელჩის მოსვლა, მისი გამოწვევა, ხელთათმანის გადმოსროლა, კრიალოსნის გაწყვეტა, ივანე ბატონიშვილის ამხედრება შუისკის წაქეზებით, ხელმწიფის განრისხება, აურზაური, კვერთხის მოქნევა და ამ არეულობაში ივანე ბატონიშვილის მოკვლა.

ეს სცენა დიდებულად იყო დადგმული და შესრულებული. იგი წარმოდგენის ერთ-ერთ კულმინაციურ სცენად ითვლებოდა. და აი, ერთი რიგითი წარმოდგენის დროს... სცენა მეფის სასახლის მისაღებ დარბაზში... ხელმწიფე შუაში, დიდ სავარძელში იჯდა. მარჯვნივ მე – ივანე ბატონიშვილი, მარცხნივ ბატონიშვილი თეოდორე (ანდრო კობალაძე), უფრო მოშორებით, ხელმარჯვნივ სამღვდელოება, ხელმარცხნივ დიდგვაროვანი ბოიარები, სულ ქვევით კი, ავანსცენაზე, ზურგით მაყურებლისაკენ – რიგითი ბოიარები და, როდესაც პოლონელთა ელჩი (მას თეიმურაზ ტატიშვილი ანსახიერებდა) რკინის ხელთათმანს გადაუგდებდა ხელმწიფეს, რათა გაეხელებინა, ბოიარები აირეოდნენ, შეიქმნებოდა ჩოჩქოლი.. მე, ივანე ბატონიშვილი, წინა პლანზე გამოვვარდებოდი, აკაკი ვასაძე – შუისკი ფეხდაფეხ გამომყვებოდა, შემაჩერებდა, იქვე სავარძელში დამსვამდა, ჩემი ხელი ეკავა, მეფერებოდა, თან მაქეზებდა.

პაუზა... სიჩუმე... ელიან ხელმწიფის რეაქციას... მან სიბრაზისაგან კრიალოსანი გაწყვიტა და სიჩუმეში ყოველი მძივი საბედისწერო კაკუნით გორდებოდა კიბე-დანადგარზე... ისევ პაუზა... პოლონელთა ელჩი პასუხს ელის, შემდეგ ამბობს – „რა მოეახსენო მე ჩემს ხელმწიფეს – ბრძოლას თანხმდები, თუ მშვიდობასა; ვერ გამიგია?!“

თეიმურაზ ტატიშვილმა (პოლონელთა ელჩმა) იმ წარმოდგენაზე პირველი სიტყვები ასე წარმოთქვა: „რა მოვახსენო მე ჩემს ხელმცუას...“

ამის თქმა იყო და სცენაზე თითქმის ყველას სიცილი აუტყდა – ბოიარებს, კათალიკოსებს, აკაკი ვასაძე და მე მაყურებლისაკენ სახით ვიდექით, ამიტომ ყველაზე ცუდ დღეში ჩვენ ვიყავით. მან ჩურჩულით მითხრა – ეს რა თქვა ტატიშვილმა – ხელმცუასო... – არ ვიცი, რა სასწაულით შევიკავე თავი, ვასაძე კი მიბრუნდა, გულიანად ჩაბჟირდა. თეიმურაზ ტატიშვილი, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, აგრძელებს სცენას, ამბობს მომდევნო სიტყვებს და ელის ხელმწიფის პასუხს. აკაკი ხორავა ცდილობს არ აჰყვეს საერთო განწყობილებას, არადა, ბოიარებმა ქურქებში და წვერებში ჩამალეს სახეები, მიბრუნდნენ ზურგით მაყურებლისაკენ და ვეღარ ჩერდებიან, ხორავამ გახედა მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ, თვალები დაკვესა, მერე ჩუმად თქვა: – კარგით ახლა! გეყოფათ!..

მაგრამ სიცილი არ წყდებოდა.

ხორავამ დაატყო, რომ საშველი აღარ იყო, კვერთხი იატაკზე დაჰკრა და რაგომლაც რუსულად დაიყვირა: „Замолчите!“ ამან ყველა გამოაფხიზლა და სცენაც თავისი ჩვეული გზით წავიდა.

რიგითი მსახიობის შემოქმედება ქრება მისი სცენიდან წასვლის შემდეგ. მაყურებელი თანდათან ივიწყებს მას. აკაკი ხორავა გამონაკლისია, რჩეულია, მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები ყოველთვის გამოირჩეოდა მასშტაბურობით, ამაღლებულობით, რომანტიკულობით... მისმა შემოქმედებამ და პიროვნებამ ახალი სიცოცხლე დაიმკვიდრა თანამედროვეთა მეხსიერებაში, რაც უფრო დიდია მსახიობი, მით უფრო ხანგრძლივად ცოცხლობს მისი სახე მაყურებელთა ხსოვნაში. ასეთი იყო აკაკი ხორავა.

გოგი გეგეჭკორი


**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

იუბილე

ცნობილი რეჟისორისა და დრამატურგის სანდრო მრევლიშვილის კარიერა სამოციან წლებში დაიწყო და აი, ლამის ოთხი ათეული წელია, რაც ამ გზაზე მოღვაწეობს. სამოცდაათიან წლებში მან დააარსა ახალი თეატრი, თბილისის მუნიციპალური მეტეხის თეატრი, იგივე „ძველი სახლი“ და დღემდე უდგას სათავეში. მისი პიროვნება და შემოქმედებითი მრწამსი ბავშვობიდან ყალიბდებოდა თეატრალურ და მწერლურ გარემოცვაში – მამის, ცნობილი დრამატურგის, მიხეილ მრევლიშვილის, მამიდის, სასცენო მეტყველების დიდი სპეციალისტის მალიკო მრევლიშვილის, ბიძის, ცნობილი თეატრალური მოღვაწის პოკო მურღულიასა და მათი დიდი სამეგობროს გვერდით. ხელოვანის შემოქმედება იმთავითვე გამოირჩეოდა ექსპერიმენტული ძიებებით, გამომგონებლობით, ფანტაზიით, დრამატურგიულ-სცენური ხედვით, რაც ჩანდა არა მარტო საკუთარ პიესებში, არამედ მის მიერ ინსცენირებულ ნაწარმოებებშიც.



ბევრი პიესა აქვს დადგმული როგორც ქართულ, ისე უცხოურ სცენაზე. საკუთრივ ავტორია მრავალი პიესისა („მოდი, ვნახოთ ვენახი“, „შეშლილთა ხომალდი“, „ლადო კეცხოველი“, „სიკვდილმისჯილთა თეატრი“, „ჟამი განწმედისა“, „კოლაელ ყრმათა წამება“, „საბა ხუროთმოძღვარი“, „დამიბრუნეთ ყვავილები“...). აღიარებაც ბევრჯერ მოსულა.

ბატონ სანდროს ახლა საიუბილეო დღეები აქვს, 60 წელი შეუსრულდა, თუმცა, მისი შემხედვარენი ამას ნაკლებად იჯერებენ. ამ საბაბმა გადამაწყვეტინა მასთან საუბარი.

# სანდრო მრევლიშვილი: მე არა მაქვს ბიოგრაფია, თავიდან ვიწყებ...

**– მამაკაცები ასაკს არასოდეს მალავენ, პირიქით, უმეტესობა, დაგროვილ წლებს დიდ სიმდიდრედ მიიჩნევს, – ასე რომ, 60 წელი ხელოვანისთვის სიბრძნის ასაკია. რას გრძნობთ, ბატონო სანდრო, რა შეიცვალა ცხოვრებისადმი დამოკიდებულებაში, რა აღასრულეთ და რა დაგრჩათ განსახორციელებელი?**

– სახარება გვასწავლის: როცა სახნისზე მარჯვენას დადებ, უკან აღარ უნდა მოიხედო, მეც ამ შეგონების მიმდევარი ვარ, უკან მოხედვისას შეიძლება წაბორძიკდე. ბიოგრაფია ბიოგრაფიაა, წარსული წარსულია, მომავალზე უნდა ვიფიქრო. კაცმა რომ თქვას, მთელი ცხოვრების გასაკეთებელი საქმე, ავად თუ კარგად, უკვე გავაკეთე. ბედი ყველას არ არგუნებს თეატრის შექმნას, მე კი მარგუნა. მართალია, ეს დიდ შრომას მოითხოვდა, მაგრამ მაინც სიხარულის მომგვრელი იყო და საბოლოოდ კმაყოფილი ვარ. ეს ოცნება ავისრულე, თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სიახლეს არ ვესწრაფვი, დიდი თეატრალური გამოცდილება ამ ხნის მანძილზე რომ შევიძინე, იმის სურვილს აღმიძრავს, რომ დავასრულო ჩემი ძიებანი და ერთ მძლავრ თეატრალურ ესთეტიკაში ჩამოვაყალიბო, ეს არის ახლა ჩემი ამოცანა.

**– თქვენს შემოქმედებით ბიოგრაფიაში, ახალი თეატრის დაარსებამდე, რამდენიმე პერიოდი იკვეთება, დავიწყოთ თავიდან, ბედმა აქაც გაგიღიმათ და თქვენი, სრულიად ახალგაზრდა რეჟისორის დებიუტი რუსთაველის თეატრში შედგა...**

– დიახ, 22 წლისამ დავდგი უილიამ გიბსონის „სასწაულმოქმედი“. საინტერესო პიესა იყო ერთ ცნობილ ყრუ და ბრმა ქალზე, ელენ კელერზე, როგორ შეძლო მან ურთიერთობა ადამიანებთან. არ ვიცი, როგორ ვთქვი მაშინ ჩემი სათქმელი, მაგრამ ერთ რამეს კი ნამდვილად მივხვდი, რომ არც ისე ადვილი საქმე იყო ჩემი პროფესიული არჩევანი – რეჟისორობა.

**– ახლა სოხუმის ხანა გაიხსენეთ.**

– სოხუმში სამი თეატრალური სეზონი ვიმუშავე და ვფიქრობ, ჩემთვის ერთ-ერთი საინტერესო პერიოდი იყო. რამდენიმე სპექტაკლი დავდგი. მათ შორის ა. სულაკაურის „წყალდიდობა“, ი. ვაკელის „ჭიმჭიმელი“ და ჰაშეკის „ჯარისკაცი შვეიკი“. შვეიკს თამაშობდა აწ განსვენებული მსახიობი შოთა გაბელაია. მაშინ ამ სპექტაკლმა და მთავარი როლის შემსრულებელმა ჩეხური დრამატურგიის დათვალიერებაზე პირველი პრიზი მოიპოვა. შოთა მიიწვიეს პრაღაშიც და იქ თამაშობდა ამ როლს.

რაც შეეხება შემდგომ მარჯანიშვილის თეატრში მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი მეგობარი შევიძინე და კარგი ურთიერთობები მქონდა მსახიობებთან, იმ წლებში მათთან შემოქმედებითი კონტაქტი არ გამომივიდა. მე სხვა თეატრი მინდოდა, იმ წლების თეატრი კი სხვა თეატრი იყო. ამან დიდწილად განაპირობა, რომ დამოუკიდებელი თეატრის შექმნის გადაწყვეტილება მიმეღო. დამოუკიდებელი შემოქმედებითი ცხოვრების რთულ ეტაპზე აგერ უკვე ლამის სამი ათეული წელია, რაც ედგავარ.

**– თუ კაცი თვალს გადაავლებს თქვენს მიერ ხორცშესხმულ სპექტაკლებს, უთუოდ შეამჩნევს, რომ თქვენი შემოქმედების უმთავრეს ძარღვს ეროვნული დრამატურგიის ერთგულება ასაზრდოებს...**

– სპექტაკლის ეროვნულობას არ განსაზღვრავს მარტო ეროვნული დრამატურგია, შეიძლება ინგლისური პიესა იყოს, მაგრამ ქართულ სცენაზე ქართულ პიესად აჟღერდეს. ეს არ არის განმსაზღვრელი. თუმცაღა, ეროვნული დრამატურგია უფრო ხშირად და კარგად გამოხატავს ერის სატკივარს, ვიდრე უცხო. რადგანაც დრამატურგიაზე ვსაუბრობთ, არ შემიძლია არ ვთქვა, როგორ მიყვარს მწერლობა, სიტყვა. ბევრჯერ მინდოდა თავი დამენებებინა ყველაფრისათვის და მხოლოდ მეწერა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებისათვის ნებისყოფა არ მეყო. ბევრი ჩემი ახლობელი მეუბნება, რომ გაცილებით უკეთ ვწერ, ვიდრე ვდგამ. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ცუდად ვდგამ. უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს სიტყვასთან ჭიდილი, ჩემს შემოქმედებაზე საუბრისას ვერ ველევი ლიტერატურული მოღვაწეობის მხარეს.

**– ზოგი რეჟისორი ამბობს, რომ არ უყვარს თავისი დადგმული სპექტაკლები, თქვენ?**

– პრემიერის შემდეგ ჩემთვის ყველა სპექტაკლი უკვე წარსულია და შეიძლება ვთქვა, რომ აღარ მიყვარს. გამონაკლისია გერმანიაში, ქალაქ ზაარბრიუკენში დადგმული ტოლსტოის „ცხენის ისტორია“. მასზე მუშაობის პერიოდს რომ ვიხსენებ, მსიამოვნებს. მას კარგი გამოხმაურებაც ჰქონდა. მახსოვს იქაური, სსრ კავშირის მიმართ მტრულად განწყობილი გაზეთი „ველტი“ წერდა, რომ ისეთი სპექტაკლი, როგორც ეს სანდრო მრევლიშვილმა დადგა, გერმანელ რეჟისორებს ან არ უნდათ, ან არ იციან როგორ დადგან. მაშინ საბჭოთა რეჟისორებზე ასე არ წერდნენ. რაც შეეხება ჩემს დანარჩენ დადგმებს, ჩემი რწმენით, მათზე მუშაობის პროცესი სიამოვნება უნდა იყოს. ამიტომ არც ერთ სპექტაკლს არ დაუტოვებია ჩემთვის მწარე განცდა.

სპექტაკლზე მუშაობა ზეიმი უნდა იყოს, დინჯად, წყნარად, ურთიერთსაყვედურების გარეშე. გიყვარდეს თეატრი – ნიშნავს – ვინც იქ მუშაობს, ყველა გიყვარდეს. თუ ეს რეჟისორის მთავარი პრიციპი არ არის, მუშაობა ტანჯვად გექცევა.

**– რას ემყარება თქვენი თეატრალური ესთეტიკა?**

– უწინარესად, თეატრის არსს, თანამედროვეობას და პიროვნულ ხედვას, როგორი უნდა იყოს მომავლის თეატრი? ალბათ, მომავლის თეატრი ნიშნავს თავისუფალ ურთიერთობებს მაყურებელსა და მსახიობს შორის.

**– დღევანდელი ქართული თეატრის შესახებ რას იტყვით?**

– ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით დღეს თეატრი ყველაზე კარგად გამოხატავს თავის არსს. თუკი ასეთ პირობებშიც ცოცხლობს ქართული თეატრი, როგორიც დღეს არის, ეს იმას ნიშნავს, რომ ვერაფერი მოერევა ვირტუალური ხელოვნების განვითარებას. დღეს, ჩემი აზრით, საბოლოოდ გამოიკვეთა თეატრის საწყისი და უმთავრესი დანიშნულება. იგი არც შოუა, არც კინოეფექტები. აქ ადამიანის სულის მოძრაობაა და სწორედ ეს აქცევს მას ხელოვნების თავისებურ დარგად.

**– ახლახან თქვენ მაყურებელს ახალი პრემიერა შესთავაზეთ, დავით კლდიაშვილის „როსტომ მანველიძე“ ამავე სახელწოდების ესკიზის მიხედვით რომ გაასცენიურა და გაათანამედროვა რეზო კლდიაშვილმა, ადრეც დაგიდგამთ დავით კლდიაშვილის „უბედურება“, რამ განაპირობა თქვენი დღეს კლდიაშვილის თემასთან დაბრუნება?**

– დავით კლდიაშვილი ყოველთვის თანამედროვეა. ერთი საუკუნის წინანდელი ტკივილი ტკივილად დარჩა. ჩვენი ქვეყანა ძალიან ჰგავს როსტომ მანველიძის ოჯახს, რომელსაც კლდიაშვილისეული ენით რომ ვთქვათ, ჩამოსათლელი და ჩამოსაჭრელი აღარაფერი დარჩა. ამჯერად, საზოგადოებრიობის ბედი, ჭირი თუ ლხინი პიროვნების ცხოვრებაში აისახება. სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება ინსცენირების ავტორმაც.

**– თქვენს ახალ ჩანაფიქრებსაც ხომ არ გაგვიზიარებდით?**

– თუ ბედი მიწყალობებს, როგორც უკვე გითხარით, ის ესთეტიკა, რომელიც წლების მანძილზე ჩემი ძიებების შედეგად შევიმუშავე, მინდა ჩამოვაყალიბო სრულად. ეს არის ახლა ჩემი მიზანი. და კიდევ, სახარების იმავე შეგონება მინდა გავიმეორო: თუ მარჯვენას სახნისზე დადებ, უკან აღარ უნდა მოიხედო. მე არა მაქვს ბიოგრაფია. და მე თავიდან ვიწყებ.

ესაუბრა
**რუსუდან მუხიგულაშვილი.**



**სურათზე: სანდრო მრევლიშვილი და სცენა სპექტაკლიდან – „როსტომ მანველიძე“.**

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ნაბიჯები

# ”ორნი საქანელაზე“



ყოველმა ჩვენგანმა კარგად იცის, თუ როგორ არის ერთმანეთში გადახლართული მარტოობის, მოწყალების, მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობები და მათი გათავისება და განხორციელება ადამიანის ცნობიერების გალვიძებისთანავე მის სულიერ წვრთნას მოითხოვს. ძნელია ამქვეყნად გქონდეს ამაღლებული განწყობა, როცა ცხოვრების უძირო ბინძურ ჭაობში ეფლობი და თან ერთგულ მოსიყვარულე არსებას ებღაუჭები. რატომ?! როცა ირგვლივ ყველაფერი გაქვს, რაც გსურდა და რაც ფულით მოგართვეს, სანაცვლოდ მარიონეტად გაქციეს, მეობა წაგართვეს, დაგამცირეს, გაგთელეს, მაშინ უიმედობის სივრცეში ვარდები, მარტოობის გრძნობა გახრჩობს, უკიდურესობამდე აღწევ და გგონია, ცხოვრებას ამთავრებ, ამიტომ სულიერად დაღლილი უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებ, ეთხოვები იმ მხარეს, სადაც კაცად არ ჩაგთვალეს, ბედის ანაბარა, მარტოდ მიმავალი გზას გაჰყურებ, უცხო ქალაქში შეაბიჯებ და იმედის ნაპერწკალი ახალი ცხოვრების დაწყებისკენ გიბიძგებს, სადაც კეთილი ფერიის თანადგომითა და დახმარებით, კონფლიქტებისა და მთელი რიგი პრობლემების გადალახვით, ცხოვრების რიტმს უბრუნდები, მაგრამ რაღაც კიდევ გაწუხებს...

შემდეგ შენგან სიყვარულს ელიან, შენ კი მისგან გარბიხარ, ის კი თავს იკლავს და ხვდები და ნანობ, თუ რაოდენ ძვირფასი არსება დაკარგე... რატომ?! ეს არ არის იოლი პროცესი, არც მარტივად ხდება და არც დროის განზომილება აქვს. ეს ალბათ, მარტოობის, სიკეთისა და სიყვარულის მარადიული გადაძახილია, რადგან ასე გათანამედროვებული დავინახე და მოვისმინე ამერიკელი დრამატურგის უილიამ გიბსონის ღრმა ფსიქოლოგიური ტრაგიკომედია „ორნი საქანელაზე“ თეატრალური ინსტიტუტის დრამისა და კინოს სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტების გიორგი ფილფანისა და მერი გვენცაძის მონაწილეობით. მათი დებიუტი და პრემიერა ერთობლივად შედგა. დამდგმელი რეჟისორია ასიკო გამსახურდია, მხატვრობა ეკუთვნის ნინო ყამბარაშვილს, მუსიკალური გაფორმება კი – ლევან კალანდიას, რომლებმაც ერთობლივი ნამუშევარი წარმოგვიდგინეს თეატრალურ ინსტიტუტში, რეჟისორ ასიკო გამსახურდიას სახელოსნოში. აქ ტრადიციულად იზრდება მომავალ მსახიობთა და რეჟისორთა გაერთიანებული ჯგუფი იმ სპექტაკლებით, რომლებიდანაც აღსანიშნავია თამაზ ჭილაძის „ეხეთქებოდა თოლია ლოდებს“, ჩეხოვის „ეოდევილები“, რობერტ ტომას „მახე“ და ა. შ.

საკურსო, ორმოქმედებიანი სპექტაკლი „ორნი საქანელაზე“ მაყურებლის ყურადღებას იპყრობს იმით, თუ როგორ ვითარდება მასში მოქმედ პირთა ცხოვრების პროცესი და საბოლოოდ რა სახეს მიიღებს. მსახიობებიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავისი სცენური გმირის ყველა სურვილი თუ მიზანი სიღრმისეულად განიცადონ და სრულად გამოავლინონ და დაიცვან ის ესთეტიკური მრწამსი, რასაც მათი პედაგოგი ასიკო გამსახურდია უნერგავს და ამკვიდრებს. ამაში სამივე გვარწმუნებს, – სცენის მიღმა დარჩენილი რეჟისორი და სცენაზე მყოფი ორი მსახიობი, მეტყველიც და უტყვიც, მხოლოდ ქცევით, მხოლოდ მოქმედებით, ანუ სასცენო ხელოვნების ენით.

პიესის მოქმედ პირთა ცხოვრების გზები ათასნაირად ეხსოვებიან ერთმანეთს და განვლილი გზა სიყვარულს წარმოშობს მათ შორის. აქ კი მთავარი მოქმედი პირი ჯერი რაიანი თავის გრძნობაში გამოუტეხელი და ნაკლებად დაჯერებული აღმოჩნდება, რაც მას საბოლოოდ გაანადგურებს, იმ საყვარელ და ძვირფას არსებას დააკარგვინებს, რომელმაც ყველაფერი მისთვის გაიღო და მსხვერპლადაც იქცა.

სპექტაკლი მთავრდება პოლონელი მოცეკვავე ქალისთვის სიცოცხლეში ნანატრი და საოცნებო სიტყვებით „მე შენ მიყვარხარ, გიტერ...“

**მზეხა მახარაძე.**

**სურათზე: მერი გვენცაძე (გიტერ მოსკა) და გიორგი ფილფანი (ჯერი რაიანი) გიბსონის პიესაში – „ორნი საქანელაზე“.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

გამოიცა

# კაცი, რომელიც სრულიად საქართველომ შეიყვარა




„ხელოვანის ბედი. მისი ნამოღვაწარის აღიარებისკენ მიმავალი გზა. ყველა შემოქმედისთვის თავისებური. ერთნი ხელოვნებაში მოდიან უაზროდ, სულ რომ არ უფიქრიათ ისე, და შემდგომ გააზრებული მოქმედებითა და შრომით თავიანთ კეთილდღეობას ქმნიან. ზოგისთვის ეს გზა ბედის უზვეულო ტრიალი, საკუთარი „მეს“ მტანჯველი ძიებაა. სხვები წლობით მოთმინებით ელიან იმ ბედნიერ დღეს, როდესაც ბოლოს და ბოლოს მათთანაც მოვა აღიარება. მაგრამ რამდენი შემოქმედი შეიძლება დავასახელოთ ისეთი, პირველივე ნაბიჯი გამართულად რომ გადადგა, თავისი განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ხელოვანთა სამყაროში და პირდაპირი გზით, შეუფერხებლად იარა ხანდაზმულობამდე ისე, თითქოს ზებუნებრივმა ძალამ მას დაბადებასთან ერთად აუნთო გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი. შორიდან ეს გზა ერთგვარ თვითმავალ კიბედ მოჩანს, სულ ზევით, მაღლა და მაღლა, შეუმჩნევლად რომ მიიწევს დიდი სიმაღლისაკენ.

დაახლოებით ასეთად წარმოგვიდგება ქართული კინოსა და თეატრის თვალსაჩინო მოღვაწის, მსახიობ ედიშერ მაღალაშვილის აქტიორული ბიოგრაფია“.

სწორედ ამ მრავლისმომცველსა და მრავლისმთქმელ შეფასებას ამოიკითხავს მკითხველი ახლახან გამოცემული წიგნის „ედიშერ მაღალაშვილის“ წინათქმაში. წიგნისა, რომლის ავტორია ინესა ნასარიძე, რედაქტორი ვაჟა ძიგუა. და არ იფიქროთ, რომ ასეთი აღმატებული, თუმცა, სრულიად სამართლიანი და საფუძვლიანი შეფასებები წიგნში ცოტაა. არა! პირიქით, მაგრამ უმთავრესია და დიდად დასაფასებელი, რომ ლამაზ დითირამბებშიც კი არ იკარგება ზომიერების გრძნობა და შესაბამისად, მკითხველიც სიამოვნებით უერთდება წიგნის პათოსს, რამეთუ ედიშერ მაღალაშვილი ჩვენი სამსახიობო კოჰორტის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია და პიროვნულადაც ის კაცი, რომელიც უყვარს საქართველოს.

კარგად აქვს გააზრებული ინესა ნასარიძეს წიგნის არქიტექტონიკა, რომლის ორი პოლუსი ასეა დასათაურებული „პირველი ნაბიჯები“ და „მოგონებანი გარდასულ დღეთა“ (თუმცა, ეს არის მოგონებანი დღევანდელი გადასახედიდან, რადგან ვიმედოვნებთ, რომ დღეის შემდეგაც ბევრი დაუგროვდება მოსაგონარი ბატონ ედიშერს). მართლაც, თანმიმდევრობით და რაც მთავარია, ძალზე საინტერესოდ იშლება მკითხველის წინაშე ედიშერ მაღალაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, შემოქმედების სხვადასხვა ეტაპები დაწყებული 1949 წლის 4 თებერვლიდან, როდესაც ფართო აუდიტორიამ პირველად იხილა ედიშერ მაღალაშვილი-მერკუციო მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე ვახტანგ ტაბლიაშვილის მიერ განხორციელებულ შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში“, ვიდრე დღემდე, როდესაც რობერტ სტურუას თქმით მსახიობმა „გამოცადა ყველა ჟანრში, ტრაგედია იქნება ეს თუ კომედია, ლირიკული გმირი თუ „საზიზღარი“ უარყოფითი პერსონაჟი, ბრწყინვალედ ჩააბარა“. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ინესა ნასარიძისეული პოზიციაც რომელიც, სწორედ ბატონ რობერტის აღნიშნულ ციტატას მოსდევს: „მე კი, ბატონ ედიშერის შემოქმედებით გზას თვალს რომ გადავავლებ, უკმარისობის გრძნობა მეუფლება, ხოლმე. იქნებ იმიტომ, რომ მეცოტავება სახასიათო როლები, ქართული, ეროვნული სახეები; ჩვენი დიდი წინაპრების პორტრეტებითაც მსურს გამდიდრდეს მის მიერ განსახიერებულ გმირთა გალერეა. ოცნებად მაქვს გადაქცეული ე. მაღალაშვილის ხილვა და მოსმენა პოეზიის საღამოზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთხელ... მოვისმინე მის მიერ წაკითხული რამდენიმე სტროფი გ. ლეონიძის ლექსისა „ყივჩაღის პაემანი“. ვფიქრობ, ეს სიყვარულითა და ედიშერ მაღალაშვილის შემოქმედებითი ძალმოსილების გათვალისწინებით ნათქვამი სიტყვებია, რომლებიც გვაიმედებს, რომ წიგნის ავტორის და ალბათ, მსახიობის მრავალი თაყვანისმცემლის სურვილიც ასრულდება...

სიტყვა ოდნავ გამექცა და კვლავაც წიგნს მივუბრუნდები. ავტორს საინტერესო ფორმა მოუძებნია ამ მიმართებითაც. თავისი პოზიციის გამოხატვასთან ერთად, იგი გვაცნობს ბატონ ედიშერთან დიალოგს, რომლის მეოხებით ჩვენს წინაშე იშლება მსახიობის გულისთქმა, მრწამსი, მოგონებები, სამყაროს ხედვა, კოლეგებთან და მეგობრებთან ურთიერთობა, სამშობლოსადმი დამოკიდებულება. დასაფასებელია ისიც, რომ ავტორს მოუპოვებია, შეუგროვებია ედიშერ მაღალაშვილის თანამედროვეთა მოგონებები, მიძღვნილი მსახიობისადმი და დიდი, თვალსაჩინო ადგილიც დაუთმია მათთვის წიგნში. ვის არ შეხვდებით აქ – ვახტანგ ტაბლიაშვილს, ვერიკო ანჯაფარიძეს, სესილია თაყაიშვილს, გიგა ლორთქიფანიძეს, რობერტ სტურუას, მიხეილ თუმანიშვილს, თემურ ჩხეიძეს, ლიანა ასათიანს, ელენე ყიფშიძეს, ზინა კვერენჩხილაძეს, რეზო ესაძეს, თამაზ ჭილაძეს, ლილი იოსელიანს, გურამ ბათიაშვილს, გიორგი ქავთარაძეს, თენგიზ გოშაძეს, ლალი ყურულაშვილს, კოტე ნინიკაშვილს, ვაჟა ძიგუას, გივი შაჰნაზარს, ლამარა თელიას, ალექსანდრე ორლოვს და სხვებს, – იმ ავტორიტეტულ შემოქმედთ, რომელთა თვალით დანახული ედიშერ მაღალაშვილის სხვადასხვა შტრიხები ფართო პანორამას ქმნიან და განუმეორებლობის ხიბლს სძენენ მსახიობის პორტრეტს. ამიტომაც, ინესა ნასარიძის წიგნს, ალბათ, სიამოვნებით გაეცნობიან ის ადამიანებიც კი, ვინც კარგად უწყიან ედიშერ მაღალაშვილის ცხოვრებაც და შემოქმედებაც. ცხადია, ინტერესს აღვივებს ის უამრავი ფოტომასალაც, რომელიც თავმოყრილია წიგნში და მთელი სისავსით წარმოაჩენს მსახიობს და ვიზუალური შთაბეჭდილებების მეოხებით სამუდამოდ აღგვიბეჭდავს საუკეთესო გრძნობებს.

ამდენად, ინესა ნასარიძის წიგნი „ედიშერ მაღალაშვილი“, ვფიქრობ, კიდევ ერთი ძვირფასი შენაძენია არა მხოლოდ თეატრალებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებრიობისთვისაც, მსახიობისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი ძეგლი.

ზურაბ ოიკაშვილი.

ფელეტონი

# თხის, მგლის, კიკილოსა და მიმოზას პარალელები

**ინტერესით** ვადევნებთ თვალს დრამატურგ სილიბისტრო ჯღამაძის ერთობ ნიჭიერად ინსცენირებულ რომანს – „თხამ თავი ისახელა“, რომელიც ამ ცოდვილ დედამიწაზე დატრიალებულ ათასნაირ ჯანდაბასა და უბედურებას ასახავს. ეს დიდებული ქმნილება თეატრის ცხოვრებაში მობრძანებული პროგრესული მოვლენაა და სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, შეიძლება ითქვას, მლელვარედაც კი ვითარდება. დადგმა ექსპერიმენტულია.

დრამატურგ ს. ჯღამაძეს დიდად ხელეწიფება სიუჟეტის გართულება, ჩახლართ-ჩაგრეხ-ჩამარყუჟება, მთელი რიგი სიტუაციების გადაკვარახჭინება. ვერავინ ვერ უნდა მიხვდეს, რატომ დაიდგა სცენაზე ეს მდიდარი მასალა და რა ამოცანა ამოძრავებს მას. ეჭვსგარეშეა, ვერც ის უნდა შეიტყოს ვინმემ, რომ წარმოდგენა ქართველი სცენის ოსტატებმა ქართულად წარმოადგინეს. სირთულეების გაუვალ ლაბირინთებში ჩაძირული გმირები იმდენად იკარგებიან ბუნდოვანი სამყაროს ნისლეულებში, რომ ძნელად ახერხებენ სააშკარაოზე გამოსვლას. თუ სამი საათის განმავლობაში სავარძელზე მყარად მიგაჯაჭვეს და მაინც ვერაფერს გებულობთ, ეს უთუოდ ავტორის გამორჩეულ ინტელექტზე მეტყველებს. ასეთი წარმოდგენები ზოგადად დიმედროლზე უკეთ მოქმედებენ ადამიანის ფსიქიკაზე და თუნდაც ნახევარი საათით ხვრინვიანი წაძინებაც, მთელ სიცოცხლედ ღირს.

„თხამ თავი ისახელა“ ღრმა აზროვნულ-ფსიქოლოგიური ნიუანსებით დატვირთული ქმნილებაა, თავიდან ბოლომდე გოზინაყივით ათას „იზმში“ ამოვლებული. აღნიშნული ვითარება და აგრეთვე ის, რომ ნაწარმოები ერთობ ორიგინალურ ასპექტში პოულობს ასახვას, რეჟისორს საშუალებას აძლევს ფანტაზია შესაფერისად გაშალოს. ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, გრიგოლ შეწირულმა უხვად გამოიყენა დრამატურგის მიერ შეთავაზებული სიკეთე და ცალკეული ეპიზოდებისათვის მეტი დამაჯერებლობის მინიჭების თვალსაზრისით სცენაზე ცხოველები შემოიყვანა.

... ფერდობს მკრთალი შუქი ეფინება. ნორჩ ნეკერს თხა აკნატუნებს. სინათლე ქრება. ყურადღება უმალ ავანსცენაზე გადაგვაქვს. ქალიშვილი ჰამაკში ნებივრობს. ერთი შეხედვით, საფრთხე არ იგრძნობა, მაგრამ ამ დროს ღობიდან ისკუპებს კიკილო მოლიპულაშვილი, ფრიად საეჭვო ელემენტი და ქალიშვილს მიეჭრება.

ქალი შეჰკივლებს. შუქი ახლა ფერდობს ეცემა. მოულოდნელად თხას მგელი ესხმის თავს. ეტყობა, ფულიანი მგელია. კონკრეტულ შემთხვევაში აშკარაა წვრილბურჟუაზიული, მერკანტილური ხერხების გამოყენება მერვეკლასელი ბეკეკას დასათრგუნავად. ცხადია, მგელი პატიოსნების განსახიერება სულაც არ გახლავთ, თორემ ჩირგვზე მიბმულ ცხოველთან აბა რა ესაქმება? თხა თავგანწირვით კიკინებს.

კაცობრიობამ მგელი ბოროტებისა და კაცთმოძულეობის სიმბოლოდ აღიარა. ეს ყველამ ვიცით. ერთფეროვანი ცივი გამოხედვით უცილობლად ადასტურებს მხოლოდ ერთი მიზნის აკვიატებას – შენი შეჭმა მსურს! დღეს ამ თვალით იმზირება სულ ცოტა, კაცობრიობის ნახევარი (თუ მეტი არა). სათნოდ მომლიმართა სრულიად საწინააღმდეგო მხარეს ადვილად შეიცნობს ყველა სულიერი, მაგრამ ბოროტებაც ბუნებრივი კანონზომიერებაა. არავითარი ანტინომია! აბა, ამდენ სასახლეებს რომ აშენებს მავანი და ამის ფონზე ასჯერ მეტს კუჭი შიმშილით ეწვის, კანონზომიერება არ არის? არის და მერე როგორი. დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონის ჩარჩოებში ეტევა. არავითარი გადახვევა! ზნეობა? უზნეობა ახალი ათასწლეულის დასაწყისის ჭეშმარიტი ზნეობაა. ასეა, აბა! კაცობრიობა თამაშობს კომედიას (შექსპირი). საძრახისი არც ამაშია არაფერი! არსებობს კეთილი, არსებობს ბოროტი! გრიგოლ შეწირულმა სწორედ ეს თემა გააღრმავა, დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი მიუსადაგა, რომელიც ისე მკაფიოდ არსად გამჟღავნებულა, როგორც აქ, მუყაოს დეკორაციებსა და არაბუნებრივ სივრცეში. ისიც უნდა ითქვას, რომ ბუნება ერთობ ტევადი კრიტერიუმია. ცხოვრების არსი, თუ შეხედულება ყველას თავისი პირადი ამოცანის განხორციელებას კარნახობს. ასე იბადება ეს ძლევამოსილი კანონი – ჩვეულებრივად, ძალდაუტანებლად. ფილოსოფიის სამყაროში იგი კონკრეტდება, მაგალითად, მგლისა და თხის ურთიერთობით, მათ შორის ვითარების უკიდურესი გამწვავებით, მაგრამ ამავე დროს, თანაარსებობით. რაც უფრო ძლიერია ლტოლვა საკუთარი გენეტიკური თუ უფრო შემდეგ შეძენილი ფარული მიზნების აღსრულებისა, მით უფრო სახიერია პრინციპი: მე უნდა შეგჭამო! ან, არ უნდა შეგჭამო! ის, რომ საბოლოოდ ყველაფერი მაინც სტომაქს უკავშირდება და, რაღა თქმა უნდა, ბიოლოგიურ ასპექტში განიხილება, როგორც ფილოსოფოსები განმარტავენ, არც ეს გარემოებაა მაინცდამაინც დამანგრეველი და ბუნების ხელმყოფი, რადგან ყოველთვის იყო და ახლაც მოიაზრება მართალი და მტყუანი, დღე და ღამე, დაბოლოს, ჩვენი მგელი და ბეკეკა, რომელთა ინტერესები, ზნეობრივი ფორმები და საკითხისადმი მიდგომის ინტელექტუალური ფაქტორი დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. საშიში უფრო სხვა მოვლენაა: მღელვარებამ ლოკალური ხასიათი თუ არ მიიღო, მაშინ თქვენს მტერს, მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კონფრონტაციაში გადაიზრდება ერთი შეხედვით მშვიდი გარემოება. აქაც ზუსტად ასეა. მოკიკინე თხასთან პირისპირ დარჩენილი ავაზაკი მგელი შედეგს არ დაგიდევთ. გამარჯვება უნდა იზეიმოს, რომ ამ დროს ტელესერიალში ჩართული რეკლამის მსგავსად ყურადღება კვლავ ქალიშვილსა და კიკილო მოლიპულაშვილზე გადაგვაქვს.

**ვაჟი:** მიყვარხარ, მიმოზა. შენი გაცნობის დღიდან დავკარგე მოსვენება, კაცი ზეზეულად ჩამოვხმი.

**ქალი:** მართლა რომ გყვარებოდი, მამაჩემს გალახავდი, დედაჩემს ჩერჩეტს უწოდებდი?

**ვაჟი:** მამაშენმა 200-დოლარიანი ბროლის თასი თავზე გადამამსხვრია.

**ქალი:** რატომ სირცხვილით არ იწვი?

**ვაჟი:** საკუთარი ხელით უნდა დამეხრჩო.

**ქალი:** რატომ, რისთვის?

**ვაჟი:** ხორცმეტი მიწოდა.

**ქალი:** განა იცრუა?

**ვაჟი:** ყინულის გული გაქვს, მიმოზა და თუ ბიჭი ვარ, მაგ ყინულს დავადნობ!

განრისხებული კიკილო ჯიბიდან გამარმარებულ ცივ იარაღს იშიშვლებს და ქალის წინ დაიჩოქებს:

... იქ, ბექობზე თხასა და მგელს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლაა გაჩაღებული.

უწიგნურნიც კი უწყიან სიტყვა „ანანკეს“ მნიშვნელობას (ბერძ. „ბედისწერა“). ჰიუგომ ამ ერთ სიტყვაზე ააგო „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ – თავისი უკვდავი ქმნილება. ჩვენ სინამდვილეში კი ალექსანდრიის შექსპირისეული გაბრწყინდა წარმოდგენის კულმინაცია – სიტყვა „ახვარი“, ბეკეკას მიერ მგლისადმი თქმული. იგი მეხის გავარდნას ჰგავდა. ბეკეკამ მგელს დემოკრატიული თანაარსებობის პრინციპი შეახსენა. სხვაგვარად ვერ ახსნით მის სითამამეს. ბექობზე ამაყად ყელმოღერებულმა „ახვარ მგელს“ გაუხსენა, – ბებიაჩემის ორი თვის პენსია მოითვისეო, ჰუმანიტარულ დახმარებას ჟონგლიორივით ყლაპავო, ელექტროენერგიის გამორთვაზე თვალები გაქვს დაჭაჩულიო. ამას ცხოველთა დაცვის ფედერაციას მივწერო.

მგელი აიჩეჩა. ყლაპ და, ერთ წამში გაქრებოდა თიკნის სახსენებელი. აქედან დაიკარგეო, დაიკიკინა ბეკეკამ. შენ სამშობლო არ გიყვარსო, დაურთო მრისხანედ. ფიჭური ტელეფონი მოიმარჯვა, ახლავე გოგია პანტაშვილს დავურეკავო. მგელს ფერი ეცვალა. ამას რას მოვესწარიო, წაიდუდღუნა და ვრცელი მონოლოგი წარმოთქვა. დარბაზში კრიტიკოსები აჩურჩულდნენ:

„ნაწარმოები სიმბოლურია. მომხიბლავია თხის, მგლის, მიმოზასა და კიკილოს პარალელები“, „მგელი აგკაცობის საუკუნეობრივად დაკანონებული კატეგორიაა“, „ასეთი ელემენტებს მხოლოდ ეგზისტენციალიზმის გზაჯვარედინზე შეხვდებით“, „თხას თუ ნიპილიზმი დაეუფლა, საქმე წახდენილია, ძალმომრეობა სძლევს უცილოდ“, „ჭეშმარიტად სარტრის თეატრის ანალოგიაა – მგელი პასუხს აგებს გარკვეული სიტუაციის წინაშე და არავითარ შემთხვევაში ისტორიასთან“, „ნუთუ ასე უბრალოდ დაიღუპება“?, „ეს არ მოხდება, ბეკეკა ეგზისტენციალიზმის გმირის ბედს არ გაიზიარებს, იმის მიუხედავად, რომ ჩვენი პარლამენტარებივით სწორედ ორ გმირს შორის არის გაუთავებელი მსჯელობა და ამავე დროს უცილობლად მხოლოდ ერთი სიტუაციაა“.

დაძაბულობის განსამუხტავად დარბაზიდან პირდაპირ სცენას მოევლინება სახელმწიფომარჯვებული პოლიციის სერჟანტი ქენადი ჩხიკვაძე (ესეც ლამაზი ნაფიქრია) და მქუხარედ დაიგრგვინებს:

– არ მოგცემთ, ვაჟბატონო, პატიოსანი ადამიანის შევიწროების უფლებას. კარგა ხანია გითვალთვალებ. ვეჭვობდი, კეთილი სული არ უნდა ყოფილიყავი. აკი გამართლდა. დაე, პასუხი მართმსაჯულებას გაეცი. თქვენ კი მიმოზა, გარანტირებული გაქვთ სიმშვიდე. თქვენ წინ ტრანსცენდენტული სივრცეა გადაშლილი. მონახეთ შესაფერისი მეგობარი.

... იქ, ბექობზე მყვლე გოგია პანტაშვილი ღიდ ამბავშია, ინტრიგების ქსელში აბამს მგელს.

დარბაზიდან ალტაცებული გავდივარ. რეჟისორი სახელდახელო ინტერვიუზე დავიყოლიეთ, ვკითხეთ, მომავალში რას დადგამს თეატრი, კიდევ რით გაგვახარებს? გრიგოლ შეწირული ამ კითხვაზე ამომწურავად გვიპასუხებს: „სტანისლავსკის მოდელის გვერდის ავლით, ხედვითი და სმენითი ფაქტორების უარყოფით წარმოვადგენთ მხოლოდ დრამატურგის თვალსაჩინო ნიმუშებს: „ძაღლის თავზე წაკითხული სახარება“, „გამარჯვებული თიკანი“, „მოლიპული გზის დასასრული“, რომელსაც უთუოდ სავასტროლო რეპერტუარში შევიტანთ“.

თამაზ ანთაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 39. შაბათი, 17 თებერვალი, 2001 წელი.

მუსიკა

# განახლებული ნაცნობობა

თამარ გურევიჩი, ანუ როგორც მას ბავშვობიდან ვეძახდით, თამუნა, ჩვენი ცნობილი მუსიკოსი – პედაგოგების, თბილისის კონსერვატორიის პროფესორის ემილ გურევიჩისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის როზალია როჟოკის შვილიშვილია.

სწორედ თავისი ბებიის ხელმძღვანელობით და, ცხადია, ბაბუის მეთვალყურეობით სწავლობდა იგი ნიჭიერთა ათწლედში, სადაც ყურადღება მიიპყრო ჩინებული მუსიკალური და პიანისტური მონაცემებით.

ბედი სწყალობდა თამუნას თავისი სწავლისა და პროფესიული ფორმირების შემდგომ ეტაპებზეც. თბილისის კონსერვატორიაში მისი ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი ქართველი პიანისტი და პედაგოგი თენგიზ ამირეჯიბი, ხოლო კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, 1992 წელს, იგი შემდგომი სრულყოფისათვის აშშ-ში გაემგზავრა, სადაც ინდიანას უნივერსიტეტში ქ. საუთ-ბენდში მეცადინეობდა სახელოვან ლექსო თორაძესთან.

უნივერსიტეტის საშემსრულებლო ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1994 წ.) თამუნა კიდევ სამი წელიწადი მეცადინეობდა ასპირანტურაში და მაღალი პროფესიული კვალიფიკაციაც შეიძინა. ამ ხნის მანძილზე მან მოასწრო გამხდარიყო პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი მემფისსა (აშშ) და პორტოში (პორტუგალია). თამუნა გასტროლებს მართავს მრავალ ქვეყანაში და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ქ. ნოტრ-დამში (საუთ-ბენდის მახლობლად). დროდადრო პიანისტი ჩამოდის მშობლიურ თბილისში, კვლავ იღებს კონსულტაციებს თავისი ყოფილი პედაგოგის – პროფესორ თ. ამირეჯიბისაგან, მაგრამ მხოლოდ ახლაღა, კონსერვატორიის დამთავრების თითქმის ცხრა წლის შემდეგ, იგი კვლავ წარსდგა თბილისელი მსმენელების წინაშე.

ცხრა წელიწადი, რაღა თქმა უნდა, ძალიან დიდი დროა, განსაკუთრებით, როდესაც საქმე გვაქვს ახალგაზრდა მზარდ მუსიკოსთან. მით უფრო საგულისხმოა, რომ ყველანი, ვინც კი ესწრებოდნენ თ. გურევიჩის ამჟამინდელ კონცერტებს (სიმფონიურსა და სოლოს) ერთხმად აღნიშნავდნენ არა მარტო მისი პიანისტური ტექნიკური ოსტატობის სრულყოფას, არამედ საგრძნობ შემოქმედებით ევოლუციას, რომელიც გამოიხატა საკუთარი საშემსრულებლო ხელოვნების გაკეთილშობილებასა და ამაღლებული სულიერებით განმსჭვალვაში.

ზემოთქმული შეიძლება დავადასტუროთ ორივე კონცერტის მაგალითზე. სიმფონიურ ორკესტრთან, რომელსაც უძღვებოდა ჩვენი სახელოვანი მაესტრო ჯანსუღ კახიძე, თამუნამ შეასრულა ს. რახმანინოვის „რაფსოდია პაგანინის თემაზე“ – ბრწყინვალე ვირტუოზული ნაწარმოები. სწორედ ასეთია მისი ტრადიციული საშემსრულებლო ინტერპრეტაციაც (ამას მოითხოვდა თვითონ ავტორიც). თ. გურევიჩს, შეიძლება ითქვას, „ყველაფერი რიგზე აქვს“ ამ თვალსაზრისით, მაგრამ თავის შესრულებაში იგი თანმიმდევრულად სწევს წინა პლანზე რახმანინოვის მუზის ლირიკულ „იპოსტასს“, რითაც ფრიად შთამბეჭდავ მხატვრულ შედეგს აღწევს.

ინტერესით მოველოდით ჩვენი ახალი შთაბეჭდილებების დადასტურებას პიანისტის სოლო კონცერტზე. ძალზე შეესატყვისებოდა მისი საშემსრულებლო ხელოვნების ახალ წახნაგებს ფ. შუბერტის ერთ-ერთი დიდებული გვიანდელი საფორტეპიანო სონატის (დო მინორი) მხატვრული შინაარსი, განსაკუთრებით – პირველი ნაწილის ლირიკული ფურცლები, მთელი შთაგონებული მეორე ნაწილი (ადაჟიო) და სხვა.

ს. პროკოფიევის გრანდიოზული მე-6 სონატის (სრული კონტრასტი შუბერტის მუსიკისა) შესრულება მისი შინაარსის ადეკვატურ გაქანებასა და დინამიზმს მოითხოვს. ბევრ ჩვენგანს სამუდამოდ ჩაგვრჩა მეხსიერებაში ფორტეპიანოს ტიტანის სვიატოსლავ რიხტერისეული „სუპერშესრულება“ ამ სონატისა. მასთან გატოლება, ცხადია, არავის ძალუძს, მაგრამ ვფიქრობ, რომ თამუნას ინტერპრეტაცია დააკმაყოფილებდა პროკოფიევის მუსიკის მკაცრ დამფასებლებსაც. იგი იყო პიანისტურად კარგად დამუშავებული, დინამიკური, მხატვრული კონტრასტები მკაფიოდ გამოვლენილი, დრამატურგიული კონცეფცია დამაჯერებლად იყო რეალიზებული მუსიკალურ სახეებში.

ზემოაღნიშნული ნაწარმოების გარდა, თ. გურევიჩმა შეასრულა შუბერტის ექსპრომტი სოლ ბემოლ მაჟორი და „ბისზე“ – დ. სკარლატის „არია“.

ამგვარად, თამუნა გურევიჩის ხელოვნებასთან ხელახალმა ურთიერთობამ ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. კმაყოფილნი იყვნენ მსმენელები, კმაყოფილი იყო მისი შესანიშნავი პედაგოგი – თენგიზ ამირეჯიბი და ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ ბედნიერები იქნებოდნენ მისი ბებია და ბაბუა, ამ დღეს რომ მოსწრებოდნენ.

**გულბათ ტორაძე.**

ქრონიკა

# „აწმყო შობილი წარსულისაგან...“

აკაკი წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრი 106 წლისაა. XIX საუკუნეში ფეხადგმულმა, XX საუკუნის ათასგვარ ჭირ-ვარამსა და ისტორიულ ქარ-ცეცხლში გამობრძმედილმა, ფარდადაუშვებელმა ჭიათურის თეატრმა ამაყად შეაბიჯა XXI საუკუნეში.

დღეს, საუკუნეზე უხნეს ამ თეატრს ახალგაზრდა ენთუზიასტი ქალბატონი ნანა წერეთელი მეთაურობს. ახლახან, მისი თაოსნობით, თეატრის ერთგულ გულშემატკივრებს მესვეურთა საბჭოს დაარსების აუცილებლობა აუწყეს დამფუძნებლებმა; გამგეობამ თავმჯდომარედ რაიონის მთავარი არქიტექტორი ილო ჩიქვილაძე აირჩია.

ბარაქიანი რეპერტუარით წარდგა თეატრის დასი მაყურებელთა წინაშე. პროფესიული ოსტატობით შეასრულეს ნაწყვეტები სპექტაკლებიდან: „ყვარყვარე თუთაბერი“, „ეზოში ავი ძაღლია“, „კაცია-ადამიანი?!“ „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ამიკო“.

რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა: აკაკი ბაქრაძემ, როდერ ჩაჩანიძემ, ომარ მაღრაძემ, ქეთევან შარიქაძემ, გივი მოდებაძემ, ლილი თავაძემ, მსახიობებმა თენგიზ კურცხალიამ, თინათინ კუპატაძემ, თამარ ირემაძემ, ნანი კუზმენკომ და სხვებმა სადღეისო პრობლემების მიუხედავად, კიდევ ერთხელ დაუდასტურეს ერთგულ მაყურებელს, რომ „ხელოვნებაა თავად უკვდავება“.

ერთურთს ერწყმოდა სიტყვა და ლექსი, საინტერესო მოგონებანი, სულში ჩამწვდომი სიმღერები, იყო მონატრების ცრემლები, ვარდ-ყვავილთა თაიგულები და დახმარებაც – ამიერიდან, ჭიათურის თეატრის შენობის შეკეთებისათვის საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი 113 ათას ლარს გაიღებს. სამუშაოთა გარკვეულ წილს კისრულობს ჭიათურის რაიონის გამგეობა. და თუ ამ სიკეთეს დასის სახელფასო დავალიანებების ანაზღაურებაც მოჰყვა, ჩინებული ტრადიციების მქონე საუკუნოვანი თეატრი არც მომავალში დარჩება ვალში ერთგული მაყურებლის წინაშე.

**სოზარ კუპატაძე,**
„სრ“ საკ. კორ.

**P. S. ამ ინფორმაციას ფოტოც მოჰყვა სპექტაკლიდან „ყვარყვარე“, მაგრამ იგი ბნელი და უსახური გამოდგა იმის გამო, რომ ჭიათურელებისათვის ელექტროდენი კარგა ხანია თურმე დავიწყებას მიეცა.**

ჩაუმქრალი ვარსკვლავები



მაკო საფაროვა-აბაშიძე.



ელისაბედ ჩერქეზიშვილი.



ნუცა ჩხეიძე.

თაოზა

# ენკი და ბენკი ჯადოსნურ სამყაროში



ამ დღეებში ბავშვთა საოჯახო თეატრმა „ენკი-ბენკიმ“, რომელიც უკვე შვიდი წელია რაც არსებობს ლამარა და თამაზ იმნაიშვილების ოჯახის მეოხებით, მორიგ პრემიერაზე მიიწვია პატარა მაყურებლები. ნოდარ დუმბაძის სახელობის საყმაწვილო თეატრის სცენაზე ბავშვებმა რამდენჯერმე გაითამაშეს საშობაო-მუსიკალური წარმოდგენა „ენკისა და ბენკის საოცარი თავგადასავალი“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა დავით ხუნწუკაშვილმა, მუსიკალურად გააფორმა კახა ცაბაძემ და ლილიკო ნემსაძემ. ქორეოგრაფები არიან ეკა გესლაიძე და მერი გურგენიძე. სცენარზე ერთობლივად იმუშავა სადადგმო ჯგუფმა.

მოქმედება ვითარდება ერთ ტრადიციულ ქართულ ოჯახში, რომელიც მესამე ათასწლეულს ისეთივე პრობლემებით ხვდება, როგორც ყველა. ამ პრობლემების ფონზე ოჯახის მამა, ახალგაზრდა მეცნიერი, ცდილობს ისეთი რამ გამოიგონოს, რომ სინათლე ჰქონდეთ. ბავშვებს არ სჯერათ. ხდება ისე, რომ ბავშვები – ენკი და ბენკი ხვდებიან ჯადოსნურ სამყაროში. თავისი გამჭრიახობით, სიკეთით, ისინი თავს დააღწევენ ბევრ დაბრკოლებას, რომელიც ამ სამყაროში ხვდებათ და ზუსტად 12 საათზე, ახალი წლის მიჯნაზე, ბრუნდებიან შინ, ბავშვები დაიჯერებენ, რომ სასწაულები თურმე მართლაც ხდება.

მსუბუქი იუმორით შეზავებული სპექტაკლი სანახაობრივად ლამაზი გამოვიდა. ყმაწვილების უშუალო თამაშს ამშვენებდა კარგი დეკორაციები და კოსტიუმები, მშვენიერი სიმღერები. მთავარი როლები შეასრულეს ნინო იმნაიშვილმა, გიორგი კალანდარიშვილმა, ანანო არონაშვილმა, მირანდა დვალმა... და ცხადია, ბებიამ და ბაბუამ, რომლებსაც ტრადიციულად ამ თეატრის დადგმებში განასახიერებენ ხოლმე სცენის ცნობილი ოსტატები ელენე ყიფშიძე და ლეო ანთაძე.

სპექტაკლებს დაესწრო დიდძალი მაყურებელი, მათ შორის იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველი ოჯახები, სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლის აღსაზრდელები, თბილისის სკოლების წარჩინებულნი, ყველა მათგანი თეატრმა ტკბილეულით დაასაჩუქრა.

როგორც თეატრის დამფუძნებელმა და პროდიუსერმა ლამარა იმნაიშვილმა ბრძანა: „ეს წარმოდგენა არ გაიმართებოდა, რომ არა ნოდარ დუმბაძის სახელობის საყმაწვილო თეატრის კოლექტივის მხარდაჭერა. თეატრის სულისჩამდგმელია რეჟისორი გია კიტია, რომელიც თეატრს დაარსებიდან მხარში უდგას და უანგაროდ ილწვის მისთვის. მადლობა ეთქმის ბავშვთა ფედერაციის პრეზიდენტს კობა გილაშვილს; მან „ენკი-ბენკის“ ბავშვებს ფედერაციის შენობაში სამეცადინოდ უფასოდ დაუთმო ოთახები მაშინ, როდესაც თეატრი ძველი სამყოფელიდან, გრიბოედოვის სახელობის თეატრიდან რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა ქუჩაში გამოაძევა.

თეატრი უზომოდ მადლიერია ფონდისა „ღია საზოგადოება საქართველოს“ (სოროსი) ფინანსური მხარდაჭერისათვის.

**რუსუდან მუხაძე.**

**სურათზე: სცენა სპექტაკლიდან – „ენკისა და ბენკის საოცარი თავგადასავალი“, მზის ასული – ნინო იმნაიშვილი, კატა – მირანდა დვალი.**

ინფორმაცია

## დიურენმატის გმირები ქართულ სცენაზე

თანამედროვე შვეიცარიელი მწერლის ფრიდრიხ დიურენმატის პიესის „მილიონერი ქალის ვიზიტის“ გმირები ალაპარაკდნენ სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე.

– ამ მწვავე ტრაგიკომედიამ ჩემი ყურადღება მიიპყრო დასმული პრობლემით: პიროვნება და საზოგადოება,– გვითხრა დამდგმელმა რეჟისორმა დავით ანდღულაძემ, – ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ ბოროტება ბადებს კიდევ უფრო მეტ ბოროტებას, ღალატი კი ბოროტმოქმედებას, სამყაროსავით ძველია. ასე მგონია, რომ ეს თემა საინტერესო იქნება დღევანდელი მაყურებლისათვის... მთავარი როლის შემსრულებლად რეჟისორმა მიიწვია რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი ნანა ფაჩუაშვილი.

## „უსახელო ვარსკვლავი“ ოთარ ეგაძის ინტერპრეტაციით

დაამთავრა თუ არა მუშაობა კომედიაზე „კულისებს მიღმა“, რეჟისორი ოთარ ეგაძე შეუდგა „თეატრალურ სარდაფში“ რუმინელი დრამატურგის მიხეილ სებასტიანუს პიესის „უსახელო ვარსკვლავის“ რეპეტიციებს. ეს არის მოთხრობა სიყვარულის, ადამიანის პიროვნების თავისუფლებაზე...

სპექტაკლში მთავარ სახეებს ქმნიან გია როინიშვილი, ნინო ბურდული, ბაია დვალიშვილი, ბესო ბარათაშვილი და სხვები.

**საქინფორმი.**

სარედაქციო კოლეგია:
გურამ გოგიაშვილი, ნანა ღვინეფაძე (რედაქტორი), რუსუდან მუხიგულაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ზურაბ ოიკაშვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საინფორმაციო მოზაიკა
BBC, CNN, საქინფორმი.

### „კურსკი" ტორპედოს ჩაუძირავს

„კურსკ" ატომური წყალქვეშა ნავი ტორპედოს აფეთქების შედეგად ჩაიძირა. ეს განაცხადა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ხომალდის დაღუპვის გარემოებათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის წევრმა, სათათბიროს დეპუტატმა, ვიცე-ადმირალმა ვალერი დოროგინმა. მისი თქმით, ერთ-ერთი ტორპედოს საწვავის კომპონენტთა პირველ აალებას მოჰყვა მეორე, მძლავრი აფეთქება. წინა ნაკვეთურებში მყოფი მეზღვაურები მაშინვე დაიღუპნენ, ხოლო კიჩოს მყოფმა ეკიპაჟის წევრებმა, ალბათ, ექვსიდან ცხრა საათამდე გაძლეს, აღნიშნა დოროგინმა. ამასთანავე, დასძინა: „ჩვენ, ალბათ, საბოლოოდ მაინც ვერ დავადგენთ, რის შედეგად მოხდა პირველი აფეთქება". დოროგინის თქმით, შესაძლოა ავარიის გამომწვევი მიზეზების სამი ვერსია: შინაგანი უწესივრობა, ნაღმის აფეთქება ან უცხოურ წყალქვეშა ნავთან შეტაკება.



### ბუში მექსიკას გაემგზავრა

ჯორჯ ბუში გუშინ პირველად გაემგზავრა საზღვარგარეთ როგორც შეერთებული შტატების პრეზიდენტი. იგი მექსიკაში ჩავიდა პრეზიდენტ ვისენტე ფოქსთან მოლაპარაკებისათვის. დღის წესრიგშია სასაზღვრო საკითხები, კერძოდ, მიგრაცია, ვაჭრობა და ნარკოტიკების კონტრაბანდა. აშშ პრეზიდენტს სთხოვეს, მისცეს ვიზები ასიათასობით მექსიკელს, რომლებიც არალეგალურად მუშაობენ შტატებში, რის პასუხადაც ბუშმა მექსიკას პირობად წაუყენა ღონისძიებათა მიღება ნარკოტიკების კონტრაბანდის მესაწყვეტად.



### დეპოპულაცია — რუსეთის მთავარი პრობლემა

ხუთშაბათს რუსეთის მთავრობას წარუდგინეს 2015 წლამდე რუსეთის დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეფციის პროექტი. პრემიერ-მინისტრ კასიანოვის თქმით, დემოგრაფიული კრიზისი დღეს ქვეყნის უმთავრესი პრობლემაა. მისი მონაცემებით, რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობა გამუდმებით კლებულობს: მარტო 1999 წელს რუსები თითქმის 800 ათასით დაცოტავდნენ. დეპოპულაციას ამწვავებს მოსახლეობის დაბერება, შობადობის შემცირება და ნაადრევი სიკვდილიანობა. მთავრობისათვის წარდგენილი მოხსენება ამ მოვლენების მიზეზად მიიჩნევს საბჭოთა ხანის სოციალური ინფრასტრუქტურის დაშლას, ლოთობას და ჯანდაცვის დაბალ დონეს.





### შარონი და ბარაკი შეთანხმდნენ

ეჰუდ ბარაკი, რომელიც ისრაელის პრემიერ-მინისტრის პოსტს ტოვებს, დათანხმდა, დაიკავოს თავდაცვის მინისტრის პოსტი ეროვნული ერთიანობის მთავრობაში, რომელსაც არჩევნებში გამარჯვებული არიელ შარონი აყალიბებს. საბოლოო გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებს შრომის პარტიის წევრთა თათბირი.

# მკვლელობა როგორც ცენზურის საშუალება

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენელმა მასმედიის თავისუფლების საკითხებში ფრაიმუტ დუვემ მოუწოდა ეუთოს წევრ-სახელმწიფოებს, ყველაფერი იღონონ, რათა ბოლო მოეღოს ჟურნალისტთა მკვლელობას, როგორც ცენზურის განხორციელების საშუალებას იმათ მიმართ, ვისთანაც დევნა, მოტაცება და წამება არასაკმარისი აღმოჩნდება ხოლმე. დუვეს თქმით, ეუთოს მოქმედების ზონაში ყოველწლიურად აღინიშნება „მკვლელობის გზით ცენზურის" განხორციელების ათამდე შემთხვევა.

„ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები — ბიზნესმენები, მაფიის წარმომადგენლები, ტერორისტები თუ მთავრობისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლები, ცდილობენ, გააჩუმონ ისინი, ვინც კრიტიკით გამოდის, როდესაც ხედებიან, რომ პროტესტის ხმა შეიძლება, ყურად იღოს საზოგადოებამ. ჟურნალისტთა მკვლელობები ხდება არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ ყველგან, სადაც კანონის ძალაუფლება სუსტია, და ცდილობენ, ჩაახშონ კრიტიკა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა გაიცნობიერონ, რომ ჟურნალისტური გამოძიებების მონაწილეთა დაცვა — ეს არის მათი ქვეყნის მომავლის დაცვა", — ხაზი გაუსვა დუვემ.

2000 წელს ეუთოს რეგიონში მოკლეს 11 ჟურნალისტი, თქვა მან შემდეგ. მათ შორის არის გიორგი ღონღაძე, რომელიც კიევში გაქრა 16 სექტემბერს. ღონღაძის საერთაშორისო მკვლელობას მოჰყვა პოლიტიკური კრიზისი უკრაინაში, რომლის შედეგადაც აქ გაძლიერდა ზეწოლა სიტყვის თავისუფლებაზე. უკრაინელი ექიმი ვალერი იეასიუკი, რომელიც საპარლამენტო კომისიას ეხმარებოდა ღონღაძის საქმის გამოძიებაში, ქვეყნიდან გაიქცა და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა ბრიტანეთში, ვინაიდან მოკვლით ემუქრებოდნენ.

მოხსენებაში დუვეს მოჰყავს ჟურნალისტებისათვის ანგარიშის გასწორების სხვა ფაქტებიც. კერძოდ, იტალიელი რადიოჟურნალისტის ანტონიო რუსოს მკვლელობის ამბავი, რომელიც თბილისიდან გადასცემდა რეპორტაჟებს ჩეჩნეთის კონფლიქტის შესახებ, რუსეთის OPT ტელეკომპანიის ოპერატორის დიმიტრი ზაველსკის უგზოუკვლოდ დაკარგვის შემთხვევა, გამოცემა „ელ მუნდოს" ჟურნალისტის ხოსე ლუის ლოპეს დე ლა კალეს მკვლელობისა და სხვა ფაქტები.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია არის პირველი რეგიონული გაერთიანება, სადაც 1998 წლიდან მუშაობს წარმომადგენელი, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების საკითხს უძღვება. მისი ოფისის საქმიანობა მიზნად ისახავს, დაეხმაროს ეუთოს წევრ სახელმწიფოებს, მხარი დაუჭირონ თავისუფალ, დამოუკიდებელ და პლურალისტურ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ფრაიმუტ დუვე, წამყვანი გერმანელი პოლიტიკოსი და გამომცემელი, ეუთოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების საკითხებში პირველ წარმომადგენლად დაინიშნა ეუთოს მინისტრების საბჭოს კოპენჰაგენის სხდომაზე 1997 წლის დეკემბერში.



**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ნათქვამია აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობაში, მსურველთ შეუძლიათ მიმართონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების საკითხთა წარმომადგენლის ოფისს. ტელეფონი: +43-1-512 21 45-0, ფაქსი: +43-1-512 21 45-9.**

# კალინინგრადი — პუტინის ტროას ცხენი

წელს რუსეთს უკვე მეორედ დასდეს ბრალად ბირთვული იარაღის გადაწევა ქვეყნის ყველაზე დასავლეთი საზღვრებისაკენ. „ვაშინგტონ ტაიმსი" ამტკიცებს, რომ ამერიკის ჯაშუშმა თანამგზავრებმა გასული წლის 3 იენისს აღბეჭდეს ფირზე რაკეტები პეტერბურგის საგარეუბნო რკინიგზაზე, ხოლო სამი დღის შემდეგ რაკეტების სურათები უკვე კალინინგრადში გადაიღეს.



ამერიკის პრესაში გაჩნდა პუბლიკაციები, რომლებშიც ამტკიცებენ, რომ რუსეთს ბირთვული იარაღი გადააქვს დასავლეთის საზღვრებისაკენ. „ვაშინგტონ ტაიმსი" იმოწმებს თანამგზავრის მეშვეობით მიღებულ ფოტოსურათებს, და ხაზს უსვამს, რომ მარშან 6 იენისს კალინინგრადის ოლქში ტაქტიკური ბირთვული რაკეტები გადაიტანეს, და ამერიკელი სამხედროებისათვის ცნობილია ამ რაკეტების ზუსტი ადგილსამყოფელი. გაზეთის პუბლიკაცია, რომელიც უარყო რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, ზუსტად დაემთხვა ევროკავშირის დელეგაციის მოსკოვის ვიზიტს.

ბირთვული რაკეტების ამ ისტორიაში ბევრი რამ ბუნდოვანია. გაზეთი „ვაშინგტონ ტაიმსი" არ არის ყველაზე რესპექტაბელური გამოცემა შეერთებულ შტატებში, ნათქვამია „НТВ. РУ"-ს ცნობაში, მაგრამ იგი ცნობილია ახლო კავშირით სამხედრო და სადაზვერვო უწყებებთან. გარდა ამისა, ეს ინფორმაცია დაიბეჭდა იმ დღეს, როდესაც მოსკოვში ევროპის კავშირის ლიდერები განიხილავდნენ კალინინგრადის პრობლემას, რომელიც მეზობელი ქვეყნების კავშირთან შეერთების შემდეგ, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. მეორე მხრივ, ამერიკის პოლიტიკოსთა უკანასკნელი მკაცრი განცხადებების კონტექსტით, რომლებიც სამხედრო სფეროს შეეხებოდა, ყველაფერი სავსებით ლოგიკურად გამოიყურება. მაგრამ რჩება კითხვა: ნამდვილად არის კალინინგრადში ბირთვული იარაღი?

„ვაშინგტონ პოსტის" სტატიის ავტორი ამტკიცებს, რომ საგაზეთო ინფორმაციის საფუძველია სამხედრო თანამგზავრების მთელი არმიის მონაცემები, და ახლა პენტაგონის ექსპერტები ცდილობენ, განსაზღვრონ სახელდობრ, რა რაკეტებია ჩატანილი კალინინგრადში.

კარიბის კრიზისთან სრული მსგავსებისათვის ამერიკელებს ახლა ისღა დარჩენიათ, რომ მოსკოვს ფოტოსურათები წარუდგინონ, გუშინ კალინინგრადის გუბერნატორმა ვლადიმერ ეგოროვმა თქვა, რომ „ბირთვული მხილება ევროპის ინტეგრაციის მტრების მოგონილია".

ბრიტანულმა გაზეთმა „გარდიანმა" კალინინგრადს უწოდა პუტინის ტროას ცხენი ევროკავშირის ციხესიმაგრეში. ზოგიერთ პოლიტიკოსს, ნათქვამია დასასრულ НТВ-ს ცნობაში, შეუძლია კალინინგრადის ამბავი გაასაღოს ევროსკეპტიკოსებისა და ნატოს მომხრეების პირშეკვრად ერთიანი ევროპისა და ევროპული სამხედრო კავშირის წინააღმდეგ. თუმცა, პუბლიკაციის ავტორის თქმით, ამ პირშეკვრამ ევროკავშირის ლეგაციაზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. კერძოდ, შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო არ გამოთქვამს შეშფოთებას რაკეტების გამო, რომლებიც შეიძლება მისი ქვეყნის კართან იყოს განლაგებული.

# კლაინს 9 წლიწადი მიუსაჯეს

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის იოშკა ფიშერის ყოფილ თანამოსაგრეს ცხრა წლის პატიმრობა მიესაჯა იმისათვის, რომ 1975 წელს მონაწილეობდა ოპეკ-ის ვენის სესიის დელეგატებზე თავდასხმაში.

ფრანკფურტის სახელმწიფო სასამართლომ ჰანს-იოაჰიმ კლაინი ბრალეულად ცნო მძევალთა მეპყრობის იმ ოპერაციის დროს მომხდარ მკვლელობაში, რომელსაც მეთაურობდა გაფარდნილი ტერორისტი კარლოსი.

52 წლის კლაინმა აღიარა თავდასხმაში მონაწილეობა, მაგრამ ამტკიცებს, რომ პირადად არავინ არ მოუკლავს.

რაც შეეხება კარლოსს, რომელიც აგრეთვე ილიჩ რამირეს სანჩესის სახელით არის ცნობილი, იგი ამჟამად საფრანგეთის ერთ-ერთ საპყრობილეშია დამწყვდეული და ჩვენებათა მიცემისას განაცხადა, რომ კლაინმა შუბლში დაახალა ტყვია ერთ-ერთ მცველს.

ჰანს იოაჰიმ კლაინი გადაურჩა სამუდამო პატიმრობას იმის წყალობით, რომ დაეხმარა გამოძიებას და საჯაროდ განუდგა ტერორიზმს.



კლაინი გადაურჩა სამუდამო პატიმრობას.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

*არჩილ მანჯგალაძე, კახა ქორიძე.*

## რაგბი

# საქართველო — პორტუგალია

**დღეს, 15 საათზე, თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე „ევროპის ერთა თასის" გათამაშების მეორე ტურში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები პორტუგალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს.**

შეგახსენებთ, რომ „ევროპის ერთა თასი" წლეულს მეორედ თამაშდება ორ წრედ (მეორე წრე გაისად გაიმართება). შარშან მთავარი პრიზი რუმინეთის ნაკრებმა მოიპოვა თბილისში ქართველი მორაგბეების ძლევით (23:20). ამჟამინდელ ტურნირშიც 6 ქვეყანა მონაწილეობს (საქართველო, რუმინეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ჰოლანდია, რუსეთი) და იგი 2003 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ასპარეზობაც არის. ჩვენმა ბორჯღალოსნებმა პირველი მატჩი ტიტების ქვეყანაში გამართეს 4 თებერვალს, რომელიც მოიგეს ანგარიშით 32:3. პაატა ჯიმშელაძის საჯარიმოთი გატანილ გოლს ნაკრების ახალბედამ გრიგორი იაშვილმა ლელო დაუმატა, ჩვენებმა კიდევ სამჯერ დაამიწეს ლელო ჰოლანდიელთა ჩათვლის მოედანზე (ორი — დიდებულიძემ, ერთი — ხეხელაშვილმა), ჯიმშელაძემ კი სამი გარდასახვითა და კიდევ ერთი საჯარიმოთი წერტილი დაუსვა მატჩის საბოლოო ანგარიშს.

იმ დღეს ჯგუფის კიდევ ორმა ფავორიტმა მოიგო სტუმრად: რუმინელებმა 47:0 სძლიეს პორტუგალიელებს, ხოლო რუსებმა — ესპანელებს 30:29.

რაც შეეხებათ ჩვენს დღევანდელ მეტოქეებს — პორტუგალიელ მორაგბეებს, ბორჯღალოსნები მათ უკვე ორჯერ ეთამაშნენ. პირველად — 1997 წლის 19 აპრილს ლისაბონში. მაშინ ფრანგი მსაჯის დახმარებით მასპინძლებმა გაიმარჯვეს 21:17 (არბიტრის არაობიექტურობამ გვარიანი შეხლა-შემოხლა გამოიწვია მოედანზე და ფრანგიც ვერ გადაურჩა მიბეგვას). გუნდები შარშან 6 თებერვალს „ევროპის ერთა თასის" გათამაშებაზე კვლავ ლისაბონში შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად ჩვენებმა მოიგეს — 32:30. რას მოგვიტანს მესამე შეხვედრა, ამას დღევანდელი ორთაბრძოლა გვიჩვენებს.

ხვალ ორი მატჩი გაიმართება: რუმინელები სევილიაში ესპანელებს ეთამაშებიან, ამსტერდამში კი ჰოლანდიელები რუსებს უმასპინძლებენ.

## ედუარდ დალაქიანი — 70



# ნოდარ დუმბაძის შთაგონების წყარო

დიდი ქართველი მწერალი ნოდარ დუმბაძე ფეხბურთის ჭეშმარიტი ქომაგი გახლდათ. ამიტომაც აღწერს იგი თავისი რომანის „მარადისობის კანონის" ერთ-ერთ ეპიზოდში ნაწარმოების გმირის ბუღიკას ოცნებებს ედუარდ დალაქიანზე, როგორც შესანიშნავ ფეხბურთელზე და მასავით ჯიგრიანი თბილისელი სომეხი ბიჭებისგან გუნდის შექმნაზე...

ედუარდ დალაქიანის თაობაში მახსოვს ლეგენდარული „ტოდოდან". იგი ძალზე პოპულარული ფეხბურთელი იყო, გულშემატკივრებიც ბევრი ჰყავდა და არმიელთა გუნდის წარმატებებში ლომის წილი აქვს. გუნდი, რომელიც საკავშირო პირველობის „ბ" კლასში გამოდიოდა, უმეტეს მატჩებს ასტრონომიული ანგარიშით იგებდა. 1955 და 1956 წლებში თბილისელი არმიელები ზედიზედ ორჯერ გახდნენ სსრკ შეიარაღებული ძალების ჩემპიონები.

ედუარდის მამა გიორგი დალაქიანი საქართველოში ცნობილი პოლიგრაფისტი იყო, ფეხბურთის თავგადაკლული მოყვარული. მას ხშირად დაჰყავდა შვილი მატჩებზე. მალე 15 წლის ედუარდი ცნობილი მწვრთნელის ასირ გალპერინის შეგირდი გახდა „ნორჩი დინამოელის" გუნდში...

1949-56 წლებში ედუარდ დალაქიანი თამაშობდა თბილისის „ტტუ"-ში, „სპარტაკში", ქალაქ ივანოვოს „კრასნოე ზნამიაში", თბილისის „სკა"-ში („ტოდო"). 1957 წელს, როცა ერევნის „სპარტაკს" გაუჭირდა, სომხებმა სამეველად უხმეს ე. დალაქიანს. იქ მან წარმატებით ითამაშა ერთი საფეხბურთო სეზონი.

1958 წელს ე. დალაქიანი ჩვენი ქვეყნის სახელოვან გუნდში თბილისის „დინამოში" ასპარეზობდა, 7 მატჩი გაიმართა, 2 გოლი გაიტანა, მათ მორის ერთი — სახელგანთქმულ ბორის რაზინსკის კარში („დინამო" — „ცსკ-მო" 21). 1959-60 წლებში ე. დალაქიანი კვლავ თბილისის „ტოდომია", სადაც მარჯვენა და მარცხენა გარემარბად თამაშობდა. ეს იყო აღმავლობის წლები როგორც გუნდისთვის, აგრეთვე, ედუარდ დალაქიანისათვის. „დინამოს" სტადიონზე არმიელთა მატჩებს უამრავი მაყურებელი ესწრებოდა.

ე. დალაქიანი ძალზე ტექნიკური და სწრაფი, მესანიშნავი დრიბლიორი იყო, ხშირად იყენებდა ფინტებს და კარშიც ძლიერად ურტყამდა. მან 29 წლის ასაკში დაანება თავი დიდ ფეხბურთს, თუმცა მოასწრო სახელოვანი ფურცელი ჩაეწერა ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

ედუარდ დალაქიანს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. არის თვითნასწავლი მხატვარი და კერამიკის ოსტატი. გამოირჩევა იუმორით. ოჯახურ გარემოში, მეგობრებთან შეხვედრაზე თუ საზეიმო სუფრასთან, სამხედრო ფორმით გამოწყობილი, ჩემს მიერ ნაჩუქარი ჩიბუხით ხელში, ბრწყინვალედ ანსახიერებს სტალინს და ახმოვანებს მის მიერ წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვებს.

40 წელია ედუარდი დიდუბეში ცხოვრობს ლეგენდარულ ოთარ ქორქიას მეზობლად. იგი საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის წევრია. ედუარდ დალაქიანს დღეს, 17 თებერვალს 70 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ!

**ვაჟა ქიაურელი.**



**სურათზე:** შეტევაზეა ედუარდ დალაქიანი (ცენტრში).

## ფეხბურთი

# პირველი რაუნდი

UEFA CUP

**გთავაზობთ უეფას თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩების შედეგებს:**

„სლავია" — „კაიზერსლაუტერნი" 0:0,
„ალავესი" — „ისტერი" 3:3,
აეკ — „ბარსელონა" 0:1,
„ეინდჰოვენი" — „პარმა" 2:1,
„შტუტგარტი" — „სელტა" 0:0,
„რაიო ვალეკანო" — „ბორდო" 4:1,
„რომა" — „ლივერპული" 0:2,
„პორტუ" — „ნანტი" 3:1.

საპასუხო შეხვედრები 1 მარტს გაიმართება.

## ცინცხალი ამბები

ვის ემინია მაიკ ტაისონს? — ისმის ასეთი კითხვა, მას შემდეგ, რაც გაისმა ხმები ტაისონ-ლუისის ახალი შეხვედრის შესაძლო ჩატარებაზე. შედ-



გება თუ არა ეს ორთაბრძოლა, მსჯელობენ ამჟამად პროფესიული კრივის სამყაროში.

ერთადერთი პიროვნება, რომელიც არცთუ დიდი ენთუზიაზმით უყურებს ამ მოვლენას, ეს თვითონ ტაისონია. მაგრამ კრივის მესვეურები ვარაუდობენ, რომ მოახერხებენ მის დაყოლიებას. ამის იმედს კი მათ აძლევს ის მატერიალური დაინტერესება, რომლისთვისაც შესაძლოა ტაისონმა გადაწყვიტოს, რინგზე ლენოქს ლუისის პირისპირ დადგომა.

საფრანგეთში თავდამსხმელი ნიკოლა ანელკა განაწყენებულია პარი-სენ-ჟერმენის გულშემატკივრებზე, რომლებიც სპორტსმენით თქმით, მისდამი არავითარ პატივისცემას არ გამოხატავენ.

ოთხშაბათს „არსენალისა" და „რეალის" ყოფი-



ლმა. მოთამაშემ, როგორც იქნა, მეწყვიტა უგოლო მატჩების სერია და ჩემპიონთა ლიგის თასზე მილანთან შეხვედრაში სტუმრად გოლი გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ სეზონის დაწყებიდან პსჟ ცდილობს თავი დააღწიოს სატურნირო ცხრილის შუაგულს და როგორმე გააუმჯობესოს მდგომარეობა, ამის ფონზე კი ანელკა იშვიათად თუ თამაშობს ისეთ დონეზე, როგორც ეს ევროპის ჩემპიონს შეეფერება.

## ჭიდაობა

# „კლასიკოსების" ჟერი დგება

**არმიის სპორტული კლუბის დარბაზი დღეს და ხვალ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 120 მოჭიდავე ჩაებმება. გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას ხვალ საღამოს შევიტყობთ. ასპარეზობა კი დღეს 11 საათზე დაიწყება.**

**აქვე გთავაზობთ თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა 2001 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარს:**

### თავისუფალი ჭიდაობა

**2-4 მარტი.** საერთაშორისო ტურნირი. ტაშკენტი.
**2-3 მარტი.** საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებს შორის. ანკარა.
**10-11 მარტი.** ა. მეკოკიშვილის სახელობის ტურნირი ჭაბუკთა შორის. საგარეჯო.
**16-17 მარტი.** საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის. გორი.
**28-30 მარტი.** ზ. ბერიაშვილის სახელობის ტურნირი ჭაბუკთა შორის. თბილისი.
**7-8 აპრილი.** ბულგარეთის საერთაშორსო ტურნირი ახალგაზრდებს შორის. სოფია.
**19-22 აპრილი.** ევროპის ჩემპიონატი. ვარშავა.
**24-25 აპრილი.** საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის. თბილისი.
**19-20 მაისი.** საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებს შორის. ლარისა.
**23-25 მაისი.** ირანის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკებს შორის. თეირანი.
**1-3 ივნისი.** რუმინეთის საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებს შორის. ბუქარესტი.
**9-10 ივნისი.** ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი. თბილისი.
**22-24 ივნისი.** გერმანიის საერთაშორისო ტურნირი. ლაიპციგი.
**28 ივნისი-5 ივლისი.** ევროპის პირველობა ჭაბუკთა შორის. ანკარა.
**21-23 ივლისი.** ი. იარიგინის სახელობის საერთაშორისო ტურნირი. კრასნოიარსკი.
**9-13 აგვისტო.** ახალგაზრდების მსოფლიო პირველობა. ტაშკენტი.
**17-19 აგვისტო.** ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატი. შვეიცარია.
**26-30 სექტემბერი.** მსოფლიო ჩემპიონატი. ნიუ-იორკი.
**3-5 ოქტომბერი.** ირანის საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებს შორის. თეირანი.
**8-9 ოქტომბერი.** ლ. თედიაშვილის სახელობის ტურნირი ჭაბუკთა შორის. საგარეჯო.
**23-24 ნოემბერი.** საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირი. ნიცა.

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

**23-24 თებერვალი.** ვ. მაისურაძის სახელობის ტურნირი ჭაბუკთა შორის. თბილისი.
**2-4 მარტი.** უზბეკეთის საერთაშორისო ტურნირი. ტაშკენტი.
**5-6 მარტი.** მ. სალაძის სახელობის ტურნირი ჭაბუკთა შორის. თბილისი.
**2-3 აპრილი.** საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის. თბილისი.
**7-8 აპრილი.** თურქეთის საერთაშორისო ტურნირი. იზმირი.
**7-8 აპრილი.** საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა შორის. ოდესა.
**14-15 აპრილი.** თურქეთის საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებს შორის. სტამბოლი.
**27-28 აპრილი.** საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის. თბილისი.
**17-20 მაისი.** ევროპის ჩემპიონატი. ანტალია.
**19-20 მაისი.** საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებს შორის. ლარისა.
**19-20 მაისი.** თურქეთის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა შორის. ბურსა.
**28 ივნისი-5 ივლისი.** ევროპის პირველობა ჭაბუკთა შორის. ანკარა.
**1-2 ივლისი.** გ. კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი. თბილისი.
**9-13 აგვისტო.** მსოფლიო პირველობა ახალგაზრდებს შორის. ტაშკენტი.
**1-19 აგვისტო.** ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატი. შვეიცარია.
**26-30 სექტემბერი.** მსოფლიო ჩემპიონატი. ნიუ-იორკი.
**20-21 ოქტომბერი.** ი. სიორიძის სახელობის ტურნირი ახალგაზრდებს შორის. ოზურგეთი.
**19-25 ნოემბერი.** სტუდენტთა საქართველოს პირველობა. თბილისი.
**8-9 დეკემბერი.** ფინეთის საერთაშორისო ტურნირი. ვანტა.

## ყოველი მხრიდან

### შეუკვეთეთ ბილეთები!

გუშინწინ მსოფლიოს ფეხბურთის შტაბმა — ფიფამ დაიწყო გულშემატკივრების განაცხადების მიღება 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებზე. ხარვეზებმა პირველსავე დღეს იჩინა თავი. ტექნიკური გაუმართაობის გამო, ორი დღით გადადეს ინტერნეტით განაცხადების მიღება ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყნებიდან — იაპონიიდან და სამხრეთ კორეადან. კორეის მხრიდან საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარემ მუნ დონ ხუმ იმედი გამოთქვა, რომ ამ ქვეყნების გულშემატკივრებს უბილეთოდ არ დატოვებენ.





თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ განაცხადის შეტანაც როდი უზრუნველყოფს ბილეთის მიღებას. 30 აპრილს გაიმართება ყველა განაცხადის ლატარია, რაც გაარკვევს ბილეთების შეძენის უფლების მქონეთა ვინაობას.

— განაცხადების რაოდენობა ბევრად აღემატება ბილეთების რაოდენობას, — ამბობს მუნ დონ ხუ, — ჩვენი ამოცანაა, რომ მაქსიმალურად დავიცვათ სამართლიანობა. იაპონიასა და კორეაში გაიყიდება 1,3 მილიონი ბილეთი, დანარჩენ მსოფლიოში კი — 1,5 მილიონი, 200 ათასს შევინახავთ ფიფას ოფიციალური პირებისა და ჟურნალისტებისათვის.

*სურათზე: ტოკიოში ფიფას ოფიციალური მაღაზიის თანამშრომელი 2002 წლის ჩემპიონატის განაცხადებით.*

სპორტის რედაქცია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 39. შაბათი, 17 თებერვალი, 2001 წელი.

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



თიკო და სიმონ (სიკო) ციხისთავები.
სურათი გადაღებულია 1899 წელს და მოგვაწოდა ქეთევან ჩოლოყაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*რედაქცია გთხოვთ, მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.*

## ღიმილის დოზა



ავტომობილი ფუფუნება კი არ არის, არამედ – საშუალება ავტოინსპექციის ერთი საგუშაგოდან მეორემდე გადასაადგილებლად.

* * *

გადაწყვიტა კაცმა ბერად აღკვეცილიყო და მივიდა მონასტერში. წინამძღვარი ეუბნება:
– ჩვენი მონასტერი განსაკუთრებულია: 5 წლის განმავლობაში მხოლოდ ორი სიტყვის თქმის უფლება გექნება.
დათანხმდა.
ხუთი წლის შემდეგ ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს:
– გავიდა ხუთი წელიწადი, შეგიძლია თქვა ორი სიტყვა.
– საწოლი ხისტია.
კიდევ ხუთი წლის შემდეგ:
– შეგიძლია ორი სიტყვის თქმა.
– საჭმელი უგემურია.
კიდევ ხუთი წელიწადი გავიდა:
– თქვი ორი სიტყვა.
– მე მივდივარ!
– ვიცოდი, რომ ვერ გაუძლებდი.

* * *

– ცოლი მღალატობს.
– რა იცი?
– სხვა ქალაქში გადავედით და ჩვენთან ისევ ის სანტექნიკოსი დადის.

* * *

– მართალია, იმ გოგოსთან იმიტომ მეგობრობ, რომ ბევრი ფული აქვს?
– ჭორია და ცილისწამება! ვმეგობრობ იმიტომ, რომ კაპიკი ფული არა მაქვს.

* * *

მესაზღვრეებს ძაღლი ალია სოფლის სასადილოში გაექცათ. მესაზღვრეთა მოთხოვნაზე დაბრუნებულიყო დისლოკაციის ადგილას, მან განაცხადა, რომ გადაწყვიტა ალტერნატიული სამსახური სწორედ სასადილოში გაიაროს.

* * *

ცოლი – ქმარს:
– გუშინ ბედნიერი ვიყავი შენ რომ ფხიზელი განახე.
– დღეს ჩემი რიგია ბედნიერი ვიყო...

## ტელევიზია – შაბათი, 17 თებერვალი

**1** 10.00 დილის პაემანი 11.30 მოსკოვი-თბილისი 12.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.15 ნანა ჯაფარიძე წარმოგიდგენთ 13.25 მხ.ფ. **"დოლბანდით გადახვეული"** 14.55 რაგბიში 6 ერის პირველობის მატჩი. **საქართველო - პორტუგალია** (პირდაპირი რეპორტაჟი. შესვენებისას მოამბე) 16.45 საქართველო, დრო, მოვლენები 17.10 "კვაზიმოდო" 17.35 რეალური სამყარო 17.55 მთელი ეს ტელევიზია 18.15 აბდა-უბდა 18.35 მხიარული კარუსელი 19.00 ვესტნიკი 19.35 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა 20.00 ტაიმ-აუტი 20.50 აზრი 21.00 მაესტრო 22.10 მუსიკალური ოქტაგონი 22.55 სერიალი **"წვრილვარსკვლავთა ღამე"** 23.25 მეალომანია 00.00 მოამბე 00.10 "ილუზიონი". მხ.ფ. **"სამოთხის დაპყრობა"**

**2** 19.00 ინფორმაცია 19.30 მოკლ.მხ. ფილმი 20.20 იყო და არა 20.50 დასაბამიდან 21.00 საუკუნის ჰიტები 22.00 ინფორმაცია 22.15 ახლო ხედი 22.55 ჰიტ-პარადი 23.05 მხ.ფილმი **"ეპიცენტრი"**

**რუსთავი 2** 08.00 მუსიკა 08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 10.50 მულტსერიალი 11.30 საბავშვო ფილმი 12.45 მუსიკა 12.55 სერიალი **"კოლომბო"** 13.40 სიმფსონები 14.05 სერიალი **"ნაზი შხამი"** 15.00 მხ.ფილმი 18.00, 21.00, 01.00 კურიერი 18.20 ტოქ-შოუ 18.30 სერიალი **"ოკეანის მარგალიტი"** 19.00 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 19.50 სერიალი **"ნაზი შხამი"** 22.00 **ფსიქო**. მხ.ფ. **"ბრძნობა"** რეჟ. ლუკინო ვისკონტი 01.10 სერიალი **"წითელი ფეხსაცმლის დღიური"** 01.40 ღამის ჯაზი

**იბერია** **მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია** 20.00 ანონსები, მუსიკალური ნომერი 20.10 მულტფილმი 20.25 ალსავალი 20.30, 22.00, 00.10 მუსიკალური ნომერი 20.35 მხ.ფ. **"მისტერ მაგუ"** 22.05 მხ.ფ. **"ტურა"**

**ევრიკა** 10.00 მხ. ფილმი 12.00 პროგრამა "სალონი" 13.30 მხ.ფ. **"წითელი მზე"** 15.00, 21.00 ვესტი 15.20 მხ.ფილმი **"წარმოგზავნილი"** 16.50 მხ.ფ. **"კედლებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ"** 19.00 თქვენი ადვოკატი 20.00 თინეიჯერები 21.30 ცეროდენა 22.00 მსოფლიო სპორტი 23.00 მენიუ 23.15 ინდური მხ.ფილმი

**1ST** 07.30 ცხოვრება სიტყვაში 08.00 "ბისი". მხ.ფ. **"უკოცნელი"** 09.45, 13.55, 18.20, 20.25, 22.00, 00.00 კლიპ-მიქსი 10.15 მულტფილმი 11.30 მხ.ფ. **"სოლომონი და სავიას დედოფალი"** 17.00 მულტფილმი 18.35 "Co.მედია" მხ.ფ. **"დამიბრუნდი"** 20.40 პროგრამა "F" მხ.ფ. **"წინასწარმეტყველება-3"**. მთ. როლში კრისტოფერ უოკენი 22.15 "ბრავო" მხ.ფ. **"ვერტიკალური ზღვარი"**. მთ. როლებში: კრის ო დონელი, ბილ პეკსტონი 00.15 "ღამურა" მხ.ფ. **"ღამის ცხოვრება"**. მთ. როლში ბეატრის დალი 01.45 ნონ-სტოპი.

## წიგნი

# დამაგვირგვინებელი ნაშრომი




გამომცემლობა „მეცნიერებამ" დასტამბა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ავტორთა ჯგუფის მიერ მომზადებული საქართველოს გეოგრაფიის პირველი ნაწილი (ფიზიკური გეოგრაფია).

ამ დამაგვირგვინებელ ნაშრომში მკაფიოდ აისახა არა მარტო ქართული გეოგრაფიული მეცნიერების მიღწევები XX საუკუნის მანძილზე, არამედ ჩვენი ქვეყნის ბუნების კომპონენტების თანამედროვე მდგომარეობა და ბუნებრივ გარემოში არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირურთიერთობები. ნაშრომში თვალნათლივ ჩანს, თუ რაოდენ დიდი გზა გაიარა ქართულმა გეოგრაფიულმა სკოლამ, რამდენად მოხერხდა, გეოგრაფია აღწერილობითი მეცნიერებიდან გადაქცეულიყო სივრცე-დროითი მოვლენების, ბუნებრივი პროცესების, გარემოზე ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგების საფუძვლიანი ანალიზის, შეფასებისა და პროგნოზის მეცნიერებად.

მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომში აღწერილია: საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, ტერიტორიის ფორმირებისა და საზღვრების თავისებურებანი; ბუნების ცალკეული კომპონენტების ფიზიკურ-გეოგრაფიული ხასიათი, საქართველოს ბუნების ჩამოყალიბების ეტაპები, სტიქიური გეომორფოლოგიური მოვლენები, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ასპექტები, ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური ზონალობა, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი და სხვა.

მონოგრაფიის მაღალ მეცნიერულ დონეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ავტორთა მიერ გამოყენებულია ყველა მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროდუქცია, რომელიც ოდესმე გამოცემულა საქართველოს გეოგრაფიაში. აღსანიშნავია, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თვით მონოგრაფიის შემდგენელთა შრომის შედეგია.

„საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია" გამოცემულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, უხვადაა ილუსტრირებული რუკებით, სქემებით, დიაგრამებით, ცხრილებითა და ფოტოებით. ამგვარი მიდგომა კიდევ ერთხელ მიუთითებს მისი სარედაქციო კოლეგიის (მთავარი რედაქტორი – გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ზურაბ ტატაშიძე) დიდ ენთუზიაზმზე, პროფესიონალიზმზე და, რაც მთავარია, ქართული პოლიგრაფიის მნიშვნელოვან პოტენციალზე.

„საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია" ერთგვარი საჩუქარია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების კომპლექსური, სივრცე-დროებითი შესწავლის გზებზე. ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია ბუნებრივი პირობებისა თუ რესურსების გამოყენებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სრულყოფილი ანალიზი და პროგნოზი. იმედია, დაინტერესებული მკითხველი დროულად მიიღებს საქართველოს გეოგრაფიის მეორე ნაწილს.

ჩვენი აზრით, ნაშრომი კიდევ უფრო მოიგებდა, თუ მასში განხილული იქნებოდა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა საქართველოს დაცული ტერიტორიების ახალი სისტემა. ბიომრავალფეროვნება და მისი შენარჩუნების გზები, ბუნების ცალკეულ კომპონენტთა ეკოლოგიური მდგომარეობა და სხვა.

XXI საუკუნის მიჯნაზე ქართულმა გეოგრაფიულმა მეცნიერებამ და ფართო საზოგადოებრიობამ მნიშვნელოვანი საჩუქარი მიიღო. იმედი გვაქვს, რომ „საქართველოს გეოგრაფია" გეოგრაფიული მეცნიერებისა და განათლების მყარი საფუძველი გახდება.

**ოთარ ხმალაძე,**
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

**ნოდარ ელიზბარაშვილი,**
საქართველოს გეოგრაფიის კათედრის გამგე, დოცენტი;

**გელა მარგველანი,**
ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს დაცვის კათედრის დოცენტი.

## დიდების ზღაპარი

# ჩქარი მატარებელი

„მატარებელი ნომერი 2001 გადის ცენტრალური ვაგზლის პირველი ლიანდაგიდან. მგზავრებო, გთხოვთ დაიკავოთ თქვენი ადგილები!"

ამ მიმართვით იწყება „დიდების ზღაპრის" ახალი სერია. ვაგონები უკვე თითქმის შევსებულია, თუმცა, ზოგიერთი სწორედ „ბეწვზე მიასწრებს" მატარებლის გასვლას, ზოგიერთი კი, უკვე დაძრულ მატარებელს მისდევს და ველარ ეწევა, „მაგრამ ეგ პირველი არ არის და უკანასკნელი, ვინც მატარებელს ჩამორჩა. ეჰ, მშვიდობით, ჩემო ძამიკო, რას იზამ, ტვოი პოეზდ უჟე უშოლ".

მგზავრობას თავისი წესები აქვს და, ცხადია, გამცილებელი თავის საქმეს ბილეთების შემოწმებით იწყებს. და აი, პირველი მგზავრი „პროეზდნოის" წარუდგენს და ეტყვის, მოსკოვში მივემგზავრებიო, გამცილებელს კი გაუკვირდება, „რა მოსკოვიო, კაცო, გიჟია თხერი, ამან იცის, ვაბშე, სად მიდის ეს მატარებელი?" და ახლა სხვა კუპეში გადაინაცვლებს:

– აბა, ბილეთები წარმოადგინეთ, თუ შეიძლება.
– ჰა. რა კაი დროს შემოხვედი, პრავადნიკ. – ერთი გაგვაგებინე, ეს მატარებელი საით მიდის?
– და რამია საქმე?
– როგორ თუ რამშია, – აგერ ეს კაცი ამბობს ყაზბეგში მივდივარო.
– ვამბობ კი არა, მივდივარ!
– ჩვენ კი ბათუმში მივდივართ.
– ეს ყაზბეგში, თქვენ ბათუმში, ის მოსკოვში... ტაში, კარგია, დაწყნარდი, ზურიკო, ნერვებს არ აჰყვე. – თავს იწყნარებს გამცილებელი და შემდეგ კუპეში შედის:
– უკაცრავად, თქვენ საით მიბრძანდებით?
– ამ ქალმა აიჩემა, კარლენახში მივდივართო.
– კარლენახში? კარგია... თქვენ თავად სად მიბრძანდებით, ქალბატონო?
– როგორ თუ სად?! რა თქმა უნდა, სტრასბურგში.
– აბა, კეთილი მგზავრობა, დაწყნარდით, დილას ორივე ადგილზე იქნებით... კარლენახი, სტრასბურგი, მოსკოვი, ყაზბეგი, ბათუმი – არ აჰყვე, ზურიკ, გიწყობენ, გაგიჟებენ, – კვლავაც თავის თავს მიმართავს „პრავადნიკი" და ასე შედის მომდევნო კუპეში.
– ძმებო, თქვენ საით მიდიხართ?
– მე, ჩემო ძმაო, გერმანიაში. ისეთ აპარატურას ჩამოვიტან ტელევიზიისთვის, გაგიჟება აწი ნახე.
– ჰო, გაგიჟება მაკლია. თქვენც გერმანიაში მიდიხართ?
– არა, ამერიკაში მივდივარ, „დისნეილენდში", – პატიმრებისთვის ატრაქციონები უნდა ჩამოვიტანო, აი, ისა, „ამერიკანსკიე გორკი".
– აუჰ, კარგი აზრია, ოღონდ ისე დაამონტაჟეთ ეგ ატრაქციონი, რომ პატიმარი კაპეზედან პროკურატურაში გასრიალდეს, იქიდან სასამართლოში, მერე პირდაპირ თავის კამერაში შესრიალდეს.

მომდევნო კუპეში მეტი მრავალფეროვნებაა – ერთი ბაქოში, ერთი ერევანში, ორიც ქუთაისში მიემგზავრება და გამცილებელიც დაეჭვდება: „მაიცა, ორჯერ ორი ოთხია, საქართველოს დედაქალაქი – თბილისი, მუდმივი კავშირის სამყარო – მაგთი ჯიესემი, პრეზიდენტი შევარდნაძეა, მმართველი პარტია – მოქალაქეთა კავშირი... მე კიდე გავრეკე!".. და აქვეთინდება, მაგრამ შემდეგ კუპეში ხომ უნდა შევიდეს?!
– თქვენ სად მიდიხართ?
– მივდივარ კი არა, მოვდივარ.
– მოიცა, კაცო, ბოლოსდალო შენ მიდიხარ თუ მოდიხარ?
– რა მოგივიდათ, კონდუქტორო, მე კუბიდან მოვდივარ, არ გაგიგიათ, ფიდელ კასტროსთან ვიყავი აუდიენციაზე.

ამის გაგონებაზე კი, უკვე გონი დაკარგა გამცილებელმა და იატაკზე დაეცა. მოასულიერეს, მაგრამ მომსულიერებელი, თურმე, წითელი ჯვრის ოფისში მიემგზავრება, ქენევაში და ზურიკოს ისღა დარჩენია, სასწრაფოდ გაიქცეს მემანქანესთან და ყველაფერი უამბობს, თუმცა, „პრავადნიკისგან" განსხვავებით „მაშინისტი" მშვიდად აღიქვამს შექმნილ ვითარებას და მხოლოდ ერთს დაავალებს: „წადი ეხლა, მგზავრებს მიხედე, სიჩქარეს უნდა მოვუმატო და არ შემიმინდეთ". სამგზავრო ვაგონში დაბრუნებულს, ახალი თავსატეხი დახვდება:
– დაწყნარდით! 500 კილოვატიან გადამცემ ხაზებზე სანადიროდაა გამოსული გასვიანი.
– მოკლედ, ამ გასვიანმა „პროვოლკა" აღარ დაუტოვა ჩიტებს დასაჯდომად.
– ნუ, ყველაფერს დაიჯერებდი, მაგრამ, თუ საქართველოს ენერგეტიკა ერთი თოფის გასროლაზე იყო დამოკიდებული, ამას ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი.
– აბა, ეგეთი რამე გაგონილა, ხალხნო? ამდენი წელია ერთი თოფის ლულაზე ვყოფილვართ დაკიდებული, მე კიდევ, არა ვფიქრობდი, ნეტა რაზე დაგვეკიდებს მეთქი?!
– კაცო, ეს ერთი რკინიგზა მუშაობს საქართველოში და ესეც გინდათ გააჩეროთ?
– ეგ მართლაც ბევრს უნდა, მაგრამ არ გამოვა მაგი ნომერი.
– და თუ კარგად მუშაობს, რატომ უნდათ გაჩერება, ვერ გამიგია?!

მაგრამ არ იდარდოთ, – ერის გეტყვით, – გასვიანთან მოლაპარაკება შედეგიანად დასრულდა და მატარებელმაც განაგრძო სვლა, მაგრამ სადამდე?

თუ ამ და სხვა კითხვებზე პასუხი გაინტერესებთ, უყურეთ „დიდების ზღაპრის" ახალ სერიას კვირას, 18 თებერვალს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საღამოს ეთერში და გამხიარულდით „დიდების ზღაპრის" გმირებთან ერთად.

„ჩქარი მატარებლის" სცენარის ავტორები არიან გია კაჭარავა და ილია და ალექსანდრე ჯიბლაშვილები, რეჟისორი ლევან კიტია.

* * *

**„დიდების ზღაპრის" სპონსორები არიან ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „მაგთი – GSM" და საუკეთესო ღვინოები „ძველი თბილისი". „დიდების ზღაპრის" საინფორმაციო მხარდაჭერას ახორციელებენ რადიო „აუდიენცია" FM 105,9 და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა".**

**ვაგონ ჩუძუჩუძუშვილი.**



**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს მხარდაჭერით აწყობს მასმედიაში მომუშავე კოლეგების მხატვრული ნამუშევრების გამოფენას.**
**გთხოვთ მოგვმართოთ:** *ჟურნალისტთა სახლი (ერეკლე II მოედანი №3) ტელ: 98-24-47. 93-68-06.*
*საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია.*

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო (დ. არაყიშვილის ქ. №3) გაცნობებთ, რომ სასამართლოში შემოსულია მოქ. ა. მაჭავარიანის (მცხ. ქ. თბილისში, კიროვის ქ. №5) განცხადება ქ. შარტავას ქ. №24, ბინა 9-ის 1/3 იდეალური წილის უპატრონოდ ცნობის თაობაზე.
აღნიშნული წილი ეკუთვნოდა მოქ. ანა ივანეს ასულ ოქროპირიძეს, რომელიც გარდაიცვალა 1999 წლის 15 თებერვალს.
იმ პირებმა, რომელთაც შეიძლება პრეტენზია ჰქონდეთ ზემოთხსენებულ ფართზე უნდა განაცხადონ ამის შესახებ სასამართლოში სამი თვის განმავლობაში დღიდან საგაზეთო პუბლიკაციისა.

მეუღლე ნელი, შვილები თინა, ბუბა ბერიძეები, და ეთერი, სიძე კოკი კეკელიძე, რძალი მია ლვინიაშვილი, შვილიშვილები მაია, ირინა, ნოდარი, ანა, მძახლები თენგიზ, თათული ლვინიაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნოდარ ბერიძე
პანაშვიდი 18, 19 II, 4 სთ. გამოსვენება 20 II, 2 სთ. უზნაძის ქ. №4, სადარბაზო №5.

თენგიზ, თათული, დათო, ნინკა ლვინიაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნოდარ ბერიძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლიანა, კიტა მაჟიშვილები, ბაბულია შელია-მეგრელიშვილი, თეიმურაზ ლაფითაშვილი იუწყებიან უახლოესი მეგობრის
ნოდარ ბერიძის
გარდაცვალებას.

## ხსოვნა

### თამაზ გოცირიძე



მოსკოვში, ჯერჯერობით დაუდგენელ ვითარებაში, დაიღუპა „იბერია-სპექტრის" გამომცემლისა და მთავარი რედაქტორის ირაკლი გოცირიძის ვაჟიშვილი – კინორეჟისორი თამაზ გოცირიძე. მას დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი, მუშაობდა „მოსფილმში", კინოსტუდია „ქართულ ფილმში", საქართველოს ტელეფილმების გაერთიანებაში, სადაც დადგმული აქვს სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები.

ამჯერად იგი მოსკოვში იმყოფებოდა თავისი სცენარით ახალი ფილმის დასადგმელად კინოსტუდია „მოსფილმში". მოსკოვში, საქართველოს საკონსულოს თქმით, გახშირებულია კავკასიური ეროვნების ადამიანთა მკვლელობები სუფთა წყლის კრიმინალური მიზეზებით. სწორედ ასეთ შემთხვევას შეეწირა ქართველი კინორეჟისორი თამაზ გოცირიძე.

საქართველოს საზოგადოებრიობა გულისტკივილით ეთხოვება ამ მართლაც ჩინებულ და ნიჭიერ ადამიანს.

**მეგობრების ჯგუფი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ გაზეთ „იბერია-სპექტრის" მთავარ რედაქტორს, ცნობილ ჟურნალისტს ირაკლი გოცირიძეს ვაჟის, კინორეჟისორ
თამაზ ირაკლის ძე გოცირიძის
გარდაცვალების გამო.

## სანთელი

### ჩემი სერგო ბატონი



გარდაიცვალა სერგო თურნავა. ერთი ფუტკარივით მშრომელი, ვერცხლისწყალივით მოძრავი, ნიადაგ მოუსვენარი კაცი.

მწერლობას, მეცნიერებას, ქართულ მთარგმნელობით ხელოვნებას დააკლდა დახვეწილი გემოვნების ლიტერატორი. უეცრად კი არ გარდაიცვალა ბატონი სერგო, ნელ-ნელ გაილია ისედაც განმორჩილი, სათნო ბერიკაცი.

მე მას ჩემი ცხოვრების გარიჟრაჟზე შევხვდი. იმთავითვე გამაოცა მისმა დიდმა ერუდიციამ, შრომისმოყვარეობამ, გონების სისადემ, რაც მას სიცოცხლის ბოლომდე შერჩა...

რაღაც განსხვავებული გარეგნობისა გახლდათ. ევროპული ენების ცოდნას თითქოს მის გარეგნობაზეც ემოქმედნა. იმიტომაც იყო, რომ ერთი შეხედვით უცხოელი გეგონებოდათ.

მხცოვან შემოქმედს ცხოვრების ძალზე ძნელი გზა ჰქონდა გამოვლილი. მას არც ომის საშინელება მოჰკლებია და არც ცხოვრებისეული სიდუხჭირის მსახვრალი ხელი, რის შესახებაც მოგვიანებით, უკვე შელამაზებულად, მისთვის დამახასიათებელი პოეტურობით საუბრობდა.

ბატონი სერგოს მაღალი პიროვნულობის დამადასტურებელი იყო ისიც, რომ მას მრავალი მეგობარი ჰყავდა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. რად ღირს მარტო მისი ახლო დამოკიდებულება დიდ კონსტანტინე გამსახურდიასთან, თანამედროვეობის თვალსაჩინო იტალიელ პოეტთან მიმო მორინასთან, რომლის შესახებაც მშვენიერი მოგონებების წიგნი დაწერა.

შესანიშნავმა მთარგმნელმა და მეცნიერმა ასევე შესანიშნავი და მართლაც მისაბაძი ოჯახი შექმნა. მან და მისმა დაუვიწყარმა მეუღლემ, კარგმა პედაგოგმა ქალბატონმა მარიამმა, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ თავისი გარდაცვალებით მას სიბერე გაუმწარა, განათლებული და ღირსეული შვილები აღზარდეს.

და, აი, აღარ არის ბატონი სერგო ჩვენს შორის, აღარ შემოგვეხედება მისთვის სათაყვანებელ რუსთაველის ინსტიტუტისკენ აჩქარებით მიმავალი, აღარ შემოგვეცინებს თავისი მართლაც საოცარი ფერის თვალებით, მაგრამ დარჩება სიტყვა და საქმე კაცისა, მთარგმნელისა, მეცნიერისა, ვისაც ხატისხატად პატიოსნება და კაცური კაცობა მიაჩნდა.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა...

**თემურ ჩალაბაშვილი.**

## ხსოვნა

### ნოდარ ბერიძე



არიან ადამიანები, რომლებიც წარუშლელ კვალს ტოვებენ თაობის ცხოვრებაში. ისინი ვაჟკაცობის, სიმართლის, ქვეყნის ერთგულების მაგალითსაც აძლევენ ახალგაზრდობას.

სწორედ ასეთი ღირსეული კაცის ცხოვრებით იცხოვრა და დარჩა თბილისელთა მეხსიერებაში ბატონი ნოდარ ბერიძე.

დაიბადა 1928 წელს. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის კალინინის პარტრაიკომის მეორე მდივნად, თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსად, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსად. იყო თბილისის ფერადი ტელევიზორების ქარხანა „ეკრანის" გენერალური დირექტორი, საკავშირო „სახსტანდარტის" მთავარი სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი. რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილე, თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ვიცე-პრემიერი.

ერუდირებული ინჟინერ-ტრანსპორტელი, გარეგნულადაც წარმოსადეგი და უნაკლო იყო.

ამიტომაც, როცა წავიდა, დარჩა დიდი სიცარიელე. უცებ ყველას დააკლდა. არდავიწყების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა მისი ღირსეული შთამომავლობაა.

**თბილისის მერია და მთავრობა.**



დედა ვალენტინა, მეუღლე მაგული, შვილი თამუნა, ძმა ოთარი, დები ქეთევან, ნაზი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ჯემალ ვარლამის ძე
კაპანაძე
პანაშვიდი 18, 19, II, გამოსვენება 20 II, 2 სთ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი, საქართველოს პერსონალური პენსიონერი, საქართველოს დამსახურებული მოქანდაკე, ღირსების ორდენის კავალერი
ბიძინა გრიგოლის ძე ლოლობერიძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბესო ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში. ხომარაულის 29